

178  
1584/3

ISSN 0132-5981

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
საგარეო პრესის ცენტრი

# საგარეო ურთიერთობების საგარეო პრესის ცენტრი



6 1984

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს  
არჩევნებისა და საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო  
დეპუტატთა აღზილობრივი საბჭოების არჩევნების  
დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ მათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ  
მეთვრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა აღზილობრივი საბჭოების უფლებამო-  
სილების ვადის განვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86-ე  
მუხლის, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს  
სსრ კანონის მე-12 მუხლისა და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა აღზილო-  
ბრივი საბჭოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-12 მუხლის  
საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგანს:

დანიშნოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე  
მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები და საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის  
სახალხო დეპუტატთა აღზილობრივი საბჭოების არჩევნები კვირას, 1985 წლის  
24 თებერვალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე  
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი  
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 8 დეკემბერი.

# საბჭოთა სამართალი

№ 6

ნოემბერი  
დეკემბერი

1984 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და  
უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

## შინაარსი

ა. არსენაშვილი, ბ. ბერძენიშვილი — საქართველოს მეცნიერ იურიისტთა კირ- ველი შეხვედრა	3
არჩევნები და ჩვენი ამოცანები	9
ბ. მაინაშვილი — საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიზმი	11
<u>კანონის კომენტარი</u>	
3. ლორია — რესპუბლიკის კირველი კოდექსი აღმინისტრაციულ სამართალდარ- ღვევათა შესახებ	15
ა. ფალიაშვილი — ბრალდებულის სამართალში მიცემა	23
თ. ვგარლიძე — კანონისგანაღობა დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულ- წლოვანის ჩაბმისათვის	32
<u>პროფილაქტიკა — მთავარი მიმართულება</u>	
ბ. გელოვანი — ავტომანქანის გატაცვის პროფილაქტიკის საკითხისათვის	40
<u>საპროკურორო ჯედაგმედველოვის პრაქტიკა</u>	
რ. გილიგაშვილი — ხულიგნობა და მათთან ბრძოლა	46
<u>მომხე სოციალისტურ ქვეყნებში</u>	
ლე ვან კამ — საბჭოთა სისხლის სამართლის მინიშნელობა ვიეტნამის სოცია- ლისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის ჯოგადი ნაწილის კოდი- ფიკაციისათვის	51
3. კაჭუაძე — იდეის სტრუქტურა სასამართლო მეგვრემეტყველებაში	55
ბ. ქურდაძე — გვლელეობები ბაიხსნა თითქმის ოცი წლის შემდეგ	58
ოფიციალური მასალა	62
ა. შუშანაშვილი, რ. მებრეველი, თ. შავგულიძე — სისხლის სამართლის პრობ- ლეების ამგვადი გვლევარი	64
ს. კვაჭაძე — ხალხის ბედნიერებისათვის დაუცხროველი მეგროლი	67
ინფორმაცია	70
გიგლიოზრაფია	77
ცნობები ავტორთა შესახებ	80

# СОДЕРЖАНИЕ



<b>А. Арсенашвили, Г. Бердзенишвили</b> — Первая встреча ученых-юристов Грузии	3
Выборы и наши задачи	9
<b>М. Мамнишвили</b> — Демократизм советской избирательной системы	11
<b>Комментарий закона</b>	
<b>В. Лория</b> — Первый кодекс Грузинской ССР об административных правонарушениях	15
<b>А. Палишвили</b> — Предание обвиняемого суду	23
<b>Т. Эбралидзе</b> — Ответственность за вовлечение несовершеннолетних в преступную деятельность	32
<b>Профилактика — главное направление</b>	
<b>М. Гелоян</b> — К вопросу о профилактике угона автомашин	40
<b>Практика прокурорского надзора</b>	
<b>Р. Гиригашвили</b> — Хулиганство и борьба с ним	46
<b>В братских социалистических странах</b>	
<b>Ле Ван Кам</b> — Значение советского уголовного права в кодификации общей части уголовного права Социалистической Республики Вьетнам	51
<b>В. Качахидзе</b> — Структура идеи в судебном красноречии	55
<b>М. Курдадзе</b> — Убийства были раскрыты почти спустя двадцать лет	58
<b>Официальный материал</b>	
<b>А. Шушанашвили, Р. Метревели, Т. Шавгулидзе</b> — Крупнейший исследователь проблем уголовного права (о В. Г. Макашвили)	64
<b>С. Квачадзе</b> — Неутомимый борец за счастье народа (к 100-летию со дня рождения Г. М. Мгалоблишвили)	67
Информация	70
Библиография	77
Сведения об авторах	80



## სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე** (მთ. რედაქტორი), **ლ. აღუქსიძე**, **ა. ბარაბაძე**,  
**გ. ბერძენიშვილი** (პ/მგ მდივანი), **გ. ინწკირველი**, **ა. კარანაძე**,  
**მ. ლეკვეიშვილი**, **გ. ტყეშელაიძე**, **ა. შუშანაშვილი**,  
**ა. ხოჭოლავა**, **ხ. ჯორბენაძე**

© „საბჭოთა სამართალი“, 1984 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი კლავანოვის კრ. 103. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა წარმოებას 11. 01. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 03. 85 წ.,  
 ფორმატი 70×1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
 ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5  
 შეკვ. № 105 ტირაჟი 24600 უე 05412

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# საქართველოს მეცნიერ იურისტთა პირველი შეხვედრა

1964 წლის 26-27 ოქტომბერს ქუთაისში გაიმართა საქართველოს მეცნიერ იურისტთა პირველი რესპუბლიკური შეხვედრა, შემდეგი პროგრამით — „სკკ XXVI ყრილობა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემები რესპუბლიკაში განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პირობებში“. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლში შეიკრიბნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურატურის პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის მასწავლებლები, თბილისის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქუთაისის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

შეხვედრა ვრცელი შეხავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა მ. ხარაძემ.

საქართველოს მეცნიერ იურისტთა პირველ შეხვედრას ფართო მიზნები და ამოცანები აქვს, თქვა ე. ხარაძემ. მან კიდევ უფრო უნდა გააფართოოს პრაქტიკოსი და სწავლული იურისტების ურთიერთთანამშრომლობა, რაც უცილობლად შეუწყობს ხელს რესპუბლი-

კაში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას. ხალხის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს უპირატესობას აქცევენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს. დღეს ჩვენს წინაშე მწვავედ დგას ისეთი საკითხები, როგორც არის ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრა, ხალად მოაზროვნე, პოლიტიკურად და იდეურად ჩამოყალიბებული ახალგაზრდების აღზრდა, შეურიგებლობა ყოველგვარ დანაშაულთან და გადაცდომასთან, კანონისა და კანონიერების პატივისცემა, იურისტთა კადრების სიწმინდე, მათი შრომისა და ავტორიტეტის დაფასება და სხვა.

ამ რთულ და პასუხსაგებ საქმეში უპირველესი როლი ენიჭებათ იურისტებს და ისინიც პარტიის, ქვეყნის ერთგულნი უნდა იყვნენ უველა უბანზე, სადაც მათ უხდებოდათ მოღვაწეობა.

რესპუბლიკის სამართლიანად შეუძლია იამაყოს სახელოვანი და აღიარებული სწავლული და პრაქტიკოსი იურისტებით. სასიამოვნოა, რომ გრძელდება უკვე დამკვიდრებული ტრადიციები, საქართველოს სწავლული იურისტების გამოკვლევები და შრომები არა მარტო კავშირის მასშტაბით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არის ცნობილი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს მეცნიერ იურისტთა და პრაქტიკოსთა დღევანდელი შეხვედრა ბევრ კარგ წამოწყებას, სიახლეს და სასარგებლო საქმეს ჩაუყრის საფუძველს.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ენუქიძე. დღეს ჩვენ მონაწილენი ვართ, თქვა მან, უაღრესად დირსშესანიშნავი, შეიძლება ითქვას ისტორიული ფაქტისა, როდესაც საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრში — ქუთაისში, საფუძველი ეყრება ახალ ტრადიციას: მეცნიერ-იუ-

საქ. სსრ კ. მარქსის  
ს.ს. საზ. რესპუბ.



რისტა რეგულარულ შეხვედრებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მინდა მოგესალმოთ თქვენ, პირველი ასეთი შეხვედრის მონაწილეებს და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა: კარგ დასაწყისზე ხომ ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება მომდევნო შეხვედრები. პასუხისმგებლობას ისიც აძლიერებს, რომ იურისტთა ამ შეხვედრით იწყება მთელი ციკლი საქართველოს საზოგადოებათმცოდნეთა მსგავსი შეხვედრებისა, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ამიერიდან გამართავენ ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ეკონომისტები და ფილოსოფოსები.

აკადემიკოს ე. ხარაძის შესავალ სიტყვაში უადრესად ნათლად იყო წარმოჩენილი საქართველოს მეცნიერ იურისტთა შეხვედრის მნიშვნელობა და მიზანდასახულობა. და თუ მე მაინც ვუბრუნდები ამ საკითხს, მხოლოდ იმიტომ, რომ იურისტის პროფესია განსაკუთრებულია და ამას საგანგებოდ მინდა გავუსვა ხაზი. 60 წელზე მეტია, რაც საქართველოს იურისტები გვევლინებიან როგორც პარტიის პოლიტიკის ერთგული მხარდამჭერნი და დამამკვიდრებელნი, და უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველთვის წარმატებით ართმევდნენ თავს ამ მისიას. არ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ, რომ ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოთხოვნათა მკვეთრი ამადლები კვალდება იურისტების წინაშე მდგომი ამოცანები გაცილებით უცრო გართულდა და გამრავალფეროვდა. შესაბამისად, განუზომლად გაიზარდა პასუხისმგებლობა, რომელიც საქართველოს იურისტებს აკისრიათ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების საქმეში. იმიტომ ხახვებით გამართლებულია, რომ საქართველოს მეცნიერ იურისტთა პირველი შეხვედრის თემად შერჩეულია: „სკკ XXVI ყრილობა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება საქართველოს სსრესპუბლიკაში განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პირობებში“.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ სწავლულ იურისტთა მთელი ენერგია და შემოქმედებითი ძალევი კონცენტრირებული იქნეს იმ საკითხების გადაწყვეტაზე, რომლებიც წამოჭრეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმებმა, კანონმა „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანი-

ზაციების მართვაში მათი როლის ამადლების შესახებ“ და სხვა.

მშობლიური ენის განვითარებისათვის ზრუნვა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ისევე მუდმივი და შეუწყობელი უნდა იყოს, როგორც ამ ენით სარგებლობა. მართებულად არის შენიშნული: „ენა სახლია, რომლის სასუფეველშიც ცხოვრობს ადამიანი და არა ტაძარი, სადაც კვირაში ერთხელ სალოცავად დადიანო“. ამიტომაც არ უნდა ვეგუბოდეთ ენის ნორმების თუნდაც უმნიშვნელო შებღალვას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იურისტები საქმოდ ხშირად ვერ არიან ამ მოწოდების სიმალღზე. მათ მიერ შედგენილ იურიდიულ დოკუმენტებში იშვიათად როდი შეხვედებით ენის დამახინჯების, დაბალი სტილისტური კულტურის, შეცდომების, ზოგჯერ კი ელემენტარული უწიგნურობის ფაქტებს. ასეთ ვითარებაში უფოლად მისასალმებელია პუბლიკაციები, რომლებიც უჭრნალმა „სახპოთა სამართალმა“ მიუძღვნა იურიდიული ენის საკითხებს, და შესაბამისი გამოხმაურებანი; თუმცა, სხვა მხრივ, უჭრნალის მუშაობა შემდგომ სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა და, საერთოდ, ამგვარი შეხვედრები ჩვეულებრივი სიმპოზიუმში ან კონფერენცია როდია. ეს არის სწავლულ და პრაქტიკოს იურისტთა აგრთვე პარტიულ და სახელმწიფო ორგანოთა მუშაკების პირველი რესპუბლიკური შეხვედრა. იგი მეცნიერული მსჯელობაა სამართლის ყველაზე უფრო საქართველო საკითხებზე, ამავე დროს, ერთგვარი ანგარიშიც ან, თუ გნებავთ, იურისტთა ძალების საჯარო დათვალიერება. ამგვარმა შეხვედრებმა შესაძლებლობა უნდა მოგვცეს შევაჯამოთ სამართლის თეორიისა და პრაქტიკის დარგში მიღწეული შედეგები და დავსახოთ აქტუალური სამომავლო ამოცანები. მათ უნდა წარმოაჩინონ, თუ როგორ ასრულებენ იურისტები პარტიის მოთხოვნებს, როგორც წმინდა თეორიულ საქმიანობაში, ისე მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის განმტკიცების საქმეში. ასეთი შეხვედრების მიზანია გამოავლინონ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები.

მინდა გამოვთქვა ღრმა რწმენა, თქვა დასასრულს ამბ. გ. ენუქიძემ, რომ საქართველოს იურისტები გაამართლებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმედებს, არ უღალატებენ თავიანთი სახელოვანი წინაპრების — ლ. ანდრონიკაშვილის, გ. ნანეიშვილის, ირ. სურგულაძის, ე. ტატიშვილის, დ. პოლუმორდვინოვის, თ. წერეთლის, ა. ვაჩიშ-



ვილის ღირსეულ ტრადიციებს, უფრო მეტიც, შეეცდებიან გააღრმავონ და განავითარონ მათი შემკვიდრებობა, ახალგაზრდა იურისტთა სასახელო კადრების აღზრდით თავიანთი საიმედო ცვლა მოუშვადონ სამშობლოს. ამ გზაზე სიძნელეც ბევრია მოსალოდნელი, მაგრამ საქართველოს იურისტთა სახელოვანი რაზმი ყველა დაბრკოლებას გადალახავს, თუ მის მხარეზე იქნება, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ აშხ. კ. უ. ჩერენკომ თქვა, „...იდეური პოზიციის სიზუსტე, მაძიებელი აზრის ხიბლი და პიროვნების ზნეობრივი მიმზიდველობა“.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. შაპვაშვილი. მისი თემა იყო „მართლშეგნება და სამართლებრივი აღზრდის ამოცანები სკკპ XXVI ყრბლობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1888 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

მართლშეგნებას სამი ძირითადი ფუნქცია აქვს, თქვა მომხსენებელმა, შემეცნებითი, შეფასებითი და რეგულაციური. მართლშეგნების ამოღება მხოლოდ სამართლის ცოდნას არ გულისხმობს. ადამიანი მაღალი მართლშეგნებისა, თუ მან იცის კანონი, იზიარებს მის მოთხოვნებს და, რაც მთავარია, მზად არის კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად. სამართლებრივ ცოდნას სამართლებრივი აღზრდა განაპირობებს და იგი იდეური აღზრდის შემადგენელი ნაწილია. სამართლებრივი აღზრდის ერთერთი მიზანია მართლშეგნების ამოღება, რაც თავისთავად დანაშაულის თავიდან აცილების ქმედითი საშუალებაა.

მართლშეგნების დონეზე ბევრი სუბიექტური და ობიექტური ხასიათის ფაქტორი მოქმედებს. მათგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივ აზრს აქვს, რაც ძირითადად განისაზღვრება წარმოების წესით, სოციალური და პოლიტიკური წყობით, ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობებით, საზოგადოების შეგნების დონით და სხვა.

მართლშეგნების და საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით ჩვენ შევისწავლეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელი კლასების და პროფსაზრდებლების მოხსენებთა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების და ახალგაზრდების

მართლშეგნება საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. შესწავლის საგანი იყო სამართლის პრობლემების ცოდნის დონე ახალგაზრდათა შორის, მათი დამოკიდებულება სამართლებრივი ნორმებისა და სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისადმი, აგრეთვე ის, თუ როგორ ეხმის ახალგაზრდას სასამართლო ორგანოების ძირითადი ფუნქციები და მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები.

სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ახალგაზრდების ცოდნა დანაშაულისა და სასჯელის პრობლემების სფეროში არ არის სათანადო დონეზე.

ამავე მეთოდით საქართველოს ერთერთ დიდ ქალაქში მოეწყო გამოკვლევა, სადაც რესპოდენტებად საშუალო სკოლების პედაგოგები შევარჩიეთ. შედეგები თითქმის ისეთივე იყო, რაც იმავე ქალაქის მოსწავლეთა გამოკითხვამ მოგვცა.

კვლევა ამ მიმართულებით გრძელდება. სსრ კავშირის პროკურატურის ინსტიტუტთან ერთად მოეწყო შედარებითი ემპირიული გამოკვლევა რუსეთსა და საქართველოში. კვლევის თემა იყო „საზოგადოებრივი აზრი და დანაშაული“. ახლა მიმდინარეობს მოსწავლე ახალგაზრდობის მართლშეგნების დონის ემპირიული კვლევა დინამიკაში. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი აზრი სამართლებრივი მოვლენების შესახებ და საზოგადოების მართლშეგნების დონე ისეთი კატეგორიაა, რომლის შეცვლა ადვილი არ არის. ამგვარი სოციოლოგიური კვლევა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორში კვლავ გრძელდება.

შეხვედრის მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ს. ჯორბენაძის მოხსენებამ „სოციალისტური სამართლის როლი დემოკრაფიული პროცესების ოპტიმიზაციაში“.

მომხსენებელმა მსმენელთა ყურადღება გაამახვილა რესპუბლიკის დემოკრაფიულ მდგომარეობაზე. მან გააანალიზა პრესის ფურცლებზე გამართული დისკუსიის „რამდენი შვილი უნდა გაყვადეს?“ შედეგები და სწავლული იურისტის თვალთახედვით შეფასა იგი. ამასთან ერთად ვრცელად ილაპარაკა იმ შედეგათა და უპირატესობებზე, რომლებსაც რესპუბლიკის მთავრობა აწესებს მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, იმ ახალგაზრდა დედებისა და სტუდენტებისათვის, რომლებიც



ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს ეწევიან, სწავლასთან ერთად შვილებსაც ზრდიან.

ალბათ შემდგომში კიდევ უფრო გაფართოვდება იმ შედეგათების წრე, რასაც ახალგაზრდა დედები იმსახურებენ, თქვა ს. ჯორბენაძემ, ზოგი რამ უკვე დაინერგა კიდევ უნივერსიტეტში. მაგალითად, მისაღები გამოცდების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმ აბიტურირენტებს, რომლებიც დედები არიან. როგორც წესი, ისინი პროფილით მომუშავეთა თანაბარი უპირატესობით სარგებლობენ მისაღები გამოცდების შემდეგ გამართულ კონკურსში და მათი ჩარიცხვა პირველ რიგში ხდება. წახალისებას და წარმოჩენას იმსახურებენ, აგრეთვე, ქართველი მეცნიერი, ხელოვანი და საერთოდ მოწინავე ქალები, რომლებსაც სამი ან მეტი შვილი ჰყავთ, რადგან ისინი, საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, ოჯახშიც ზრამობენ და ღირსეულად ემსახურებიან შვილების აღზრდის, ერის გამრავლების პატრიოტულ საქმეს.

ცნობილია, რომ კანონი საქმაოდ ბევრ შედეგათს, უპირატესობას და წახალისებას აწესებს მარტოხელა დედებისათვის. თავიანთი მდგომარეობით ისინი მართლაც საჭიროებენ ყოველდღიურ ყურადღებას და მხარდაჭერას, მაგრამ სინამდვილეში პირიქით ხდება. ახლობლები, და ზოგჯერ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებიც კი, არავითარ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ მარტოხელა დედებს, რომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. მიგვაჩნია, რომ მარტოხელა დედებთან დამოკიდებულების საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, როგორც ამას კანონი ითვლისწინაშე. იქნებ ურიგო არ იყოს ამ მხრივ სხვა რესპუბლიკების გამოცდილებების გამოვლენა.

„ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები თანამედროვე ეტაპზე“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციალოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბ. ბაბინაშის მოხსენება.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა მატერიალურ და სულიერ ზარალზე, რომელიც ლოთობასა და ალკოჰოლიზმს მოაქვს ადამიანებისათვის და მოიყვანა კონკრეტული მაგალითები იმ სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევებიდან, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობის,

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის დავალებით მოეწყო.

სოციალოგიური გამოკვლევა, აღნიშნა ა. გაბინაშა, განაპირობა იმან, რომ სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაშიც მოიკილა ფეხი საშიშმა სენმა — ლოთობამ. თუ წინათ სხვა რეგიონებთან შედარებით საქართველოში ნაკლებად იყო გავრცელებული ლოთობა და ითვლებოდა, რომ ჩვენში ალკოჰოლიზმის გავრცელებას არ გააჩნდა სოციალური საფუძველი, დღეს უკვე უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ ისეთ ფაქტებს, როცა თვალნათლივ შეიმჩნევა, თუ როგორ საშიშ სახეს იღებს ბევრგან ლოთობაც და ალკოჰოლიზმიც. ჩვენი აზრით, ამას ხელი შეუწყოს უპირველესად რესპუბლიკაში რატომღაც წესად ქცეულმა და დამკვიდრებულმა უყურადღებობამ, ლოთობასთან ბრძოლის ტემპის შენელებამ და სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების მოუგვარებლობამ.

შემდეგ მომხსენებელმა წამოაყენა წინადადებანი მიზანმიმართული პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გამწვავებას, რაც თავისთავად უცილობლად მოიტანს დედებით შედეგებს.

აქტუალური და საინტერესო მოხსენება წარმოადგინა შეხვედრაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა თ. ლილუაშვილმა. „საბჭოთა სამართლის როლი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში“ — ასეთი იყო მისი გამოსვლის თემა.

საბჭოთა სამართალს, თქვა თ. ლილუაშვილმა, სხვა ღირებულებებთან ერთად ის დიდი ეკონომიკური ღირებულებაა აქვს, რომ ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ამისათვის უპირველესად საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში მოქმედი ნორმების დასაბუთებულობა ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით და, რაც მთავარია, მიღებული ნორმატიული აქტების, დადგენილებების განუხრელად განხორციელება.

სამართალი განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომიკური თუ სხვა ფაქტორები თვითონ სთავაზობდნენ კანონმდებელს დადგენილებებს თუ სხვა ნორმატიუ-



ლი აქტების მწამწარებელ ვარიანტებს. ეკონომიკური ფაქტორები მხოლოდ მიმართულებას აძლევენ კანონმდებელს, აძლულებენ მას დასახოს და განხორციელოს გარკვეული ღონისძიებები. ხოლო თუ რა ღონისძიება უნდა დაისახოს, რა ფორმისა და შინაარსის ნორმატიული აქტი იქნება ყველაზე უფრო ოპტიმალური შექმნილი სიტუაციისათვის — ეს საკითხი თვითონ კანონმდებელმა, სამართალშემოქმედებითმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს.

მაგრამ მთავარია არა მართლ ნორმატიული აქტის შემუშავება და მიღება, არამედ მისი პრაქტიკული განხორციელება, რომ სამართალმა გაამართლოს თავისი დანიშნულება და ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ამ მხრივ კი ჩვენ ზოგჯერ შეუწყწარბლად ვცოდავთ. გვაქვს შესანიშნავი საკანონმდებლო აქტები, მაგრამ მათი ნორცემსმა სრულყოფილად ყოველთვის ვერ ხერხდება. ამის მაგალითად შეგვიძლია დავახსელოთ საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამწადების და შესყიდვის საკითხებს აწესრიგებენ.

სსრ კავშირში დღეს წარმატებით მოქმედებს მოსახლეობისაგან ზოგიერთი სახის პროდუქციის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულება, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში რატომღაც არა გვაქვს ასეთი პრაქტიკა ურუმენზე, მსხალზე, ციტრუსებზე, დღენის ფოთოლზე და სხვა.

მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულებების შემუშავება, მათი საკანონმდებლო წესით განმტკიცება და ცხოვრებაში დანერგვა ორგანიზებულობასა და წესრიგის შეიტანს ამ მეტად მნიშვნელოვან ურთიერთობაში, რაც თავის მხრივ დიდ ეფექტს მოგვცემდა როგორც ეკონომიკური, ისე იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები ბ. ინწპირიშვილი, შ. ნიკიშვილი, მ. კიკაშვილი, ვ. აბაშვილი. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ქ. რუსთავის პროკურორი მ. შაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, აჭარის ასსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე ი. ბაბაძე, სამხრეთ ოსეთის პროკურორი მ. ბატირაძე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფილიალის უმედლები სკოლის თბილისის იაკულებების უფროსი ი. შიშკაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის

პროფესორისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი ბ. მიძინაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ზ. რუსიანაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელი ბ. ლეშაძე.

გამომხვედლებმა ილაპარაკეს სამართლის თეორიისა და რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის აქტუალურ პრობლემებზე, იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში და რაც ბევრად შეუწყობს ხელს სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, წამოაყენეს ბევრი საინტერესო კონკრეტული წინადადება.

შეხვედრის მეორე დღეს მუშაობას შეუდგა სამი სექცია: სამართლის თეორიის, სახელმწიფო სამართლისა და საბჭოთა აღმშენებლობის (ხელმძღვანელები დოცენტი ი. შუბარძე, ბ. ჯაბარბაძე). სამოქალაქო, სამეურნეო და შრომის სამართლის (ხელმძღვანელები პროფესორი ი. ლუბაშვილი, დოცენტი რ. შანგიანი) და სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინოლოგიის სექცია (ხელმძღვანელები პროფესორები ბ. ტყეშელაშვილი, ი. შაპვაშვილი).

სექციებში მოისმინეს მოხსენებები და განიხილეს პლენარულ სხდომაზე აღძრული საკითხები, შეაჯამეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემათა მეცნიერული კვლევის შედეგები, გააანალიზეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 1981-1985 წლების საკოორდინაციო გეგმის შესრულების მიმდინარეობა და შემუშავეს რეკომენდაციები მეცნიერული კვლევის კოორდინაციის გასაუმჯობესებლად სკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

დასკვნით პლენარულ სხდომაზე მოისმინეს სექციათა ხელმძღვანელების პროფესორ ბ. ტყეშელაშვილის, დოცენტების ი. შუბარძის და რ. შანგიანის ანგარიშები. განიხილეს და მიიღეს შესაბამისი რეკომენდაციები.

მეცნიერ იურისტთა პირველი რესპუბლიკური შეხვედრის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ე. ხარბაძემ, სიმოვნებით მინდა აღვნიშნო, თქვა მან, რომ როგორც ძირითად მოხსენებებში, ასევე გა-



მოსვლებში ლაბარაკი იყო სამართლებრივ-  
 ნობისა და ადმინისტრაციული ორგანოების  
 პრაქტიკული საქმიანობის უადრესად აქტუალ-  
 ურ საკითხებზე. მისასაღმებელია ის ფაქტიც,  
 რომ მუშაობა ფართო პლანით წარმართა  
 როგორც თემატიკურად, ასევე გეოგრაფიუ-  
 ლად და ასაკობრივად. ამდენად, ცხადად  
 გამოიკვეთა, რომ ასეთი შეხვედრების დანერ-  
 გვის აუცილებლობა თვით თანამედროვე  
 ცხოვრებით არის ნაკარნახევი და მათ დიდი  
 სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. მართალია,  
 როგორც მოხსენებები, ისე გამოსვლები  
 ზოგჯერ სცილდებოდა შეხვედრის ძირითად  
 თემას — „საზოგადოებრივ ურთიერთობა-  
 თა სამართლებრივი რეგულირება განვითარე-  
 ბული ხოციალიზმის სრულყოფის პირობებ-  
 ში“ მაგრამ ეს, აღბათ, მოხალოდნელიც იყო,  
 რადგან პრობლემათა არეალი ძალზე ვრცე-  
 ლია. ეს სათანადოდ აისახა იმ რეკომენდა-  
 ციებშიც, რომლებიც დღეს მივიღეთ. მარ-  
 თალია, ყოველივე ის, რაც ჩვენ დავსახეთ,  
 ერთი ხელის მოხმით ვერ გადაიჭრება, მაგ-

რამ მათი ყოველდღიურ საქმიანობაში გათვა-  
 ლისწინება კი აუცილებელია.

აკადემიკოსმა მ. ხარბაძემ საქართველოს  
 სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით მად-  
 ლობა გადაუხადა ამ შეხვედრის ინიციატორს  
 — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ  
 კომიტეტს, ორგანიზატორებს, მასხიძეებს,  
 ყველა მონაწილეს და აღნიშნა, რომ ქუ-  
 თაისში სანიმუშო პირობები იყო შექმნილი  
 მეცნიერული დისკუსიის ნაყოფიერად წარ-  
 მართვისათვის.

მეცნიერ იურისტთა პირველ რესპუბლიკურ  
 შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კომ-  
 პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიე-  
 რებისა და სასწავლებლების განყოფილების  
 გამგის მოადგილე მ. უბრაშელიძე, საქარ-  
 ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე-  
 ტის ადმინისტრაციული ორგანოების განყო-  
 ფილების გამგის მოადგილე მ. ბენძინაძე,  
 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილე-  
 ბის აკადემიკოს-მდივანი ბ. აბუშაძე, ქუთა-  
 ისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი  
 მ. ასლანიძე-პროფირი.

ა. არსენაშვილი,  
 გ. ბერძენიშვილი.

**საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალსო  
 სასამართლოების სახალსო მსაჯულთა არჩევნების შედეგები**

„საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალსო სასამართლოების სახალსო  
 მსაჯულთა მორიგი არჩევნების მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი  
 საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად 1984  
 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო)  
 სახალსო სასამართლოების სახალსო მსაჯულთა არჩევნები.

მთლიანად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში რაიონულ (საქალაქო) სახალსო  
 სასამართლოებში არჩეულია 12670 სახალსო მსაჯული. სახალსო მსაჯულთა შორის  
 4991 მუშაა (39,4 პროცენტი), 1408 — კოლმეურანი (11,1 პროცენტი), 6072 მამაკაცი  
 (47,9 პროცენტი), 8598 — ქალი (52,1 პროცენტი), 6187 — სპკ წევრი და წევრობის კან-  
 დიდატი (48,8 პროცენტი), 8488 უპარტიო (51,2 პროცენტი), 2786 — 80 წლამდე ასაკის  
 ასალგაზრდა (22 პროცენტი), 1851 — სრულიად სპაპრობრო ალკა წევრი (10,7 პრო-  
 ცენტი). სახალსო მსაჯულთა შემადგენლობა განსჯდა 58 პროცენტით.

სახალსო მსაჯულთა არჩევნებამ ორგანიზებულად, საქართველოს სსრ კონსტი-  
 ტუციის, „საქართველოს სსრ სასამართლო წარმოების შესახებ“ საქართველოს  
 სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალსო სასამართლო-  
 ბის არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად ჩაიარა.



## პარეზნები და რეზნი ამოხანები

1985 წლის 24 თებერვალს გაიმართება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის და აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იქნება 440 დეპუტატი, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში 250 დეპუტატი, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში 50.923 დეპუტატი. არჩევნები განხორციელდება საბჭოთა კონსტიტუციით დადგენილი ჭეშმარიტად დემოკრატიული საარჩევნო სისტემისა და წესის მიხედვით. არჩევნებში, რომელიც მოეწყობა ფარული კენჭისყრით, საყოველთაო თანასწორობა და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე მონაწილეობას მიიღებს სამი მილიონ სამასი ათასზე მეტი ამომრჩეველი.

არჩევნებისათვის მზადება უკვე დაიწყო. იგი მიმდინარეობს მშრომელთა შემოქმედებითი შრომისა და პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში, ხელისუფლების ყველა რგოლის მუშაობის გაუმჯობესების, მათი ავტორიტეტის ამაღლების, მოსახლეობასთან საბჭოების კავშირის განმტკიცების ნიშნით. იმისათვის, რომ უფრო სრულად გამოვლინდეს საბჭოთა წყობილებისა საარჩევნო სისტემის უპირატესობა, მისი დემოკრატიული ხასიათი უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინასაარჩევნო საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვას, საავტორიტეტო-პროპაგანდისტულ მუშაობას. პარტიული, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან არჩევნების დებულების შესაბამისად საარჩევნო ოლქებისა და უბნების შესაქმნელად, არჩევნების მომწყობი კომისიების დასაჯომამლეტებლად, რომლის წევრებადაც არჩევენ ყოველმხრივ გამოცდილ და დიდად ავტორიტეტთან პირებს. ზუსტდება ამომრჩეველთა სიები. მთელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ზრუნვითა და ხელმძღვანელობით.

არჩევნები დიდ ამოცანებს უსახავს რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებს, უკლებლივ მის ყველა მუშაკს. ისინი მოვალენი არიან უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფართო პროპაგანდისტულ მუშაობაში, რომელიც უკვე დაიწყო, განუმარტონ მშრომელებს სოციალისტური დემოკრატიის ნამდვილად ხალხური ბუნება, ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისი, მისი გახრწნა და დეგრადაცია, საბჭოთა საარჩევნო სისტემის პრინციპები და უპირატესობა, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელობა სოციალიზმის სრულყოფისა და განვითარებისათვის. საარჩევნო სამზადისი მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს ეკონომიკური და სოციალური განვითარების იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომელიც საბჭოთა ხალხს დაუსახეს სკკპ XXVI ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებმა. მთელი ეს საქმიანობა უნდა დაეკვემდებაროს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის სრულყოფის, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, მასების ინიციატივის ზრდის ინტერესებს.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში ტრადიციულად დიდ როლს ასრულებს ამომრჩეველთა კლუბები, სადაც იმართება საინტერესო შეხვედრები, თემატიკური და კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები, დისკუტები სხვადასხვა თემაზე. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაებმა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად ყველაფერი უნდა იღონონ, რათა არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ამომრჩეველთა კლუბები და ავტობუსები გადაიქცნენ აღმზარდებლობით და საავტორიტეტო-პროპაგანდისტულ მუშაობის ნამდვილ ცენტრებად, რათა ისინი კომპლექსურად წვეტდნ მასობრივ ავტორიტეტის ამოცანებს.

მთელი წინასაარჩევნო კამპანია მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადებას, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის თარიღის საზეიმოდ აღნიშვნას.



ცხადია, რომ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში უდიდესი ყურადღება უნდა დავუთმოს იმას, თუ როგორ მიუშაობდნენ განვლილ პერიოდში სახალხო დემუტატთა საბჭოები, მისი დემუტატები და საბჭოებთან შექმნილი მუდმივი კომისიები, უპირველესად, აღმინისტრაციული, არასრულწლოვანთა, კანონიერების დაცვის კომისიები, რომელთა გამართული საქმიანობაც ბევრად არის დამოკიდებული სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელთა ყურადღებასა და მხარდაჭერაზე. მხედველობაშია მისაღები, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორები და სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების უმრავლესობე, აგრეთვე სხვა მუშაკები თვითონ არიან საბჭოების დემუტატები და ამდენად — ანგარიშვალდებულნი ამომარჩევლების წინაშე. ისინი მოვალენი არიან წარდგენ დაწვრილებითი ანგარიშით თავიანთი დემუტატო მოღვაწეობის შეხახებ, გაცნონ ამომარჩევლებს, თუ როგორ იმართეს იმისათვის, რომ კეთილსინდისიერად მოეხადათ თანდათან კონსტიტუციური მოვალეობა, შეესრულებინათ ამომარჩეველთა განაწესი. ამომარჩევლებმა უნდა იცოდნენ, თუ რა გააკეთეს სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებმა — დემუტატებმა ქალაქში, რაიონში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებმა კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები და თანამდებობის პირები საბჭოთა კანონის მოთხოვნებს. დასამალი არ არის, რომ ბევრ ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ ურიგდებიან კანონის, საბჭოთა სამართლის ნორმების უგულვებელყოფის, მშრომელთა კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტებს, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ცალკეულ გამოვლინებებს. ბევრგან ირღვევა საბინაო და შრომის კანონმდებლობა, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სამოქალაქო და სისხლის სანართლის საქმეების განხილვის ვადები, არის სხვა ბევრი ნაკლი და ხარვეცი, რომლებიც ყველაზე რელიეფურად თავს იჩენს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში. საქირთა წინაარჩევნო კრებაზე გამოქმული ყველა კრიტიკული შენიშვნა და მოსახლეობის ყველა საქმიანი წინადადება აღიროცხოს და მის კანონიერ გადაწყვეტას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. არც ერთი პრობლემა და საკითხი არ უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უნარიან გამოყენებას. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები მოვალენი არიან წინაარჩევნო პერიოდში სისტემატურად გამოვიდნენ ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით, გაკრიტიკონ ცალკეული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების თანამდებობის პირები, რომლებიც უხეშად არღვევენ კანონს, ურიგდებიან მშრომელთა ინტერესების აბუჩად ადგებას.

ახლა, ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიების ჩატარების დროს, საქირთა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებზე მიუშაობას, რომელიც ყოველთვის ითვლება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საქმედ. მხედველობაშია მისაღები, რომ ასეთი კამპანიის პირობებში მატულობს იმ წინადადებების რაოდენობა, რომლებსაც მოსახლეობა აყენებს პარტიული, საბჭოთა, სამართალდაცვითი ორგანოების წინაშე ცხოვრების მიერ წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად. ყველა მათ დროულად უნდა გაუცეთ დასაბუთებული პასუხი. ფართოდ უნდა დაინერგოს მოქალაქეთა უშუალოდ საწარმოებსა და დაწესებულებებში მიღების პრაქტიკა, გადაჭრით აღმოფხვრას მიღებაზე მოსულ პირთა მიმართ გულგრილობისა და უწინეობის გამოვლინის ფაქტები. უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე მოსახლეობის იურიდიული მომსახურება. ამ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქალაქებისა და რაიონების იურიდიულ კონსულტაციებს, რომლებმაც საწარმოებში, დაწესებულებებში პროფკავშირულ ორგანოებთან საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბებული იურიდიული კონსულტაციების მეშვეობით პასუხი უნდა გასცენ მშრომელთა ყველა შეკითხვას, რომლებიც სამართლებრივ საკითხებს შეეხება.

საარჩევნო კამპანიის დასკვნითს ეტაპზე სამართალდაცვითმა ორგანოებმა სააგანგებო ყურადღება უნდა დაუთმონ იმას, რომ განუხრელად შესრულდეს მშრომელთა საარჩევნო უფლებები, არ დაუშვან მათი დარღვევის არცერთი აქტი.

ეკვი არ არის, რომ არჩევნები ერთხელ კიდევ დაადასტურებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მის დარაზმულობას კომუნისტური პარტიის ირგვლივ, მის უსაზღვრო ერთგულებას სოციალიზმისა და კომუნისმის იდეალებისადმი.



მ. მანიაშვილი

1985 წლის 24 თებერვალს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოებში და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში აირჩევენ ხალხის ყველაზე ღირსეულ და საუკეთესო წარმომადგენლებს და ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ მონოლითურ დარაზმულობას მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

არჩევნები ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს შეადგენს. სსრ კავშირში საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპების დაფუძნებასა და განვითარებას საფუძვლად დაედო საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის, გამარჯვება. სახელმწიფო ხელისუფლების ამ ახალმა პოლიტიკურმა ფორმამ განაპირობა სრულიად ახალი საარჩევნო სისტემის და საარჩევნო უფლების დამკვიდრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე აღნიშნა: „შეგახსენებთ, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვ. ი. ლენინმა მაშინვე დასახა ამოცანა საბჭოები გადაქცეულიყო სახელმწიფო ხელისუფლების ისეთ ორგანოებად, რომლებიც იმუშავებდნენ არა მარტო მშრომელებისათვის, არამედ მშრომელების მეშვეობითაც, ახლა სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ამოცანა ძირითადად გადაწყვეტილია“<sup>1</sup>.

1977 წლის კონსტიტუციამ, რომელმაც საკანონმდებლო წესით განამტკიცა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დასაწყისი ეტაპის მონაპოვარი, კიდევ უფრო სრულყო საბჭოთა საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო უფლების დემოკრატიული ხასიათი. იგი კონკრეტულ ფორმებში აისახა სპეციალურ კანონში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1978 წლის 6 ივლისს, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების კანონებში, სახელდობრ, საქართველოს სსრ კანონებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ, რომლებიც მიღებულია 1979 წლის 15 ივნისს. ამ ნორმატიულ აქტებში ნათლად არის ნაჩვენები საბჭოთა საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო უფლების დიდი უპირატესობა ბურჟუაზიული ქვეყნების საარჩევნო სისტემასთან და მოქალაქეთა საარჩევნო უფლებასთან შედარებით.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში „საარჩევნო უფლებას უყურებენ, როგორც ყიდვა-გაყიდვის საგანს“<sup>2</sup>, რომ „ყოველგვარ არჩევნებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში თან სდევს ფრაზების ორომტრიალი, აღვირაზნისილი ცრუ დაპირებანი“<sup>3</sup>. იგი მიუთითებდა, რომ „რაკი კაპიტალი არსებობს, ის

<sup>1</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1984 წლის 11 აპრილი.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 46.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 193-194.

ბატონობს მთელ საზოგადოებაზე და ვერავითარი დემოკრატიული რესპუბლიკა, ვერავითარი საარჩევნო უფლება საქმის ვითარებას ვერ სცვლის“<sup>4</sup>.

სსრ კავშირში რეალურად ხორციელდება დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემა. ზემოთ დასახელებული არჩევნების შესახებ კანონების შესაბამისად აკრძალულია საარჩევნო უფლების რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა წარმოშობის, სოციალური თუ ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილზე ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა თუ ხასიათის გამო. არჩევნების შესახებ კანონები იმასაც განსაზღვრავენ, რომ საარჩევნო კომისიითა წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ უსწოროდ დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლო ან დაუშვეს კანონის სხვა დარღვევები, აგრეთვე პირებს, რომლებიც ხელს უშლიან სსრ კავშირის მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული სახალხო დეპუტატთა ამა თუ იმ საბჭოში, ეკისრებათა კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად საბჭოთა საარჩევნო სისტემის ელემენტებია: საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება, რომელიც ხორციელდება ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 96-ე მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად. მოქალაქის უფლებას — აირჩიოს სხვა პირი, მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში — ეწოდება აქტიური საარჩევნო უფლება. ხოლო პასიური ნიშნავს უფლებას — არჩეულ იქნეს ამა თუ იმ საბჭოს დეპუტატად.

საბჭოთა კავშირში მოქალაქის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება განსაზღვრულია პიროვნების ასაკით. ჩვენს ქვეყანაში თავიდანვე დადგენილი იყო საარჩევნო უფლების ერთიანი ასაკობრივი ცენზი, ე. ი. საარჩევნო უფლების მქონე პირს 18 წლის ასაკიდან ჰქონდა აქტიური საარჩევნო უფლება.

1945 წლის 10 ოქტომბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად პიროვნების არჩევნისათვის მინიმალურ ასაკად დაწესდა 23 წელი, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებულებით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში ასარჩევ მოქალაქეთა ასაკობრივი ცენზი განისაზღვრა 21 წლით, რაც შეეხება ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატისათვის ასაკობრივ ცენზს, იგი ძველებურად 18 წელია.

1977 წლის კონსტიტუციით ყველა საფეხურის საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გარდა, ასაკობრივ ცენზად განისაზღვრა 18 წელი, ხოლო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატებად არჩევა შეიძლება იმ მოქალაქეებისა, რომელთაც არჩევნების დღისათვის 21 წელი შეუსრულდათ.

ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო საარჩევნო უფლება ვრცელდება მხოლოდ

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, 1 გამოც. გვ. 573.

საბჭოთა მოქალაქეებზე. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები არც აქტიური და არც პასიური საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ.

საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალურად განხორციელებისათვის დადგენილია არჩევნების ორგანიზაციის სათანადო წესი, რომელიც შეეხება საარჩევნო უბნების შექმნას, ამომრჩეველთა სიების შედგენას, არჩევნების დღისა და საათების დაწესებას და ა. შ.

ყოველი არჩევნების წინ ახლად უნდა შედგეს ამომრჩეველთა სიები, რათა სსრ კავშირის არც ერთი მოქალაქე არ დარჩეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების გარეშე და მტკიცედ განხორციელდეს პიროვნების საყოველთაო საარჩევნო უფლება.

საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა აგრეთვე საარჩევნო უბნების შექმნა დასახლებულ პუნქტებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებში, დიდი რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში, ნავსადგურებში, ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ა. შ.

იმისათვის, რომ ყველა ამომრჩეველმა დაუბრკოლებლად განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლება, კენჭისყრა ეწყობა არასამუშაო დღეს, დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე ადგილობრივი დროით. კენჭისყრის დროსა და ადგილს საუბნო-საარჩევნო კომისია ყველა ამომრჩეველს აუწყებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 10 დღისა. არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საარჩევნო უბნებში ყველა პირობაა შექმნილი, რათა პიროვნებამ სრულიად და დაუბრკოლებლად განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლება. როცა ცალკეულ ამომრჩეველს არა აქვს ფიზიკური შესაძლებლობა ხმის მისაცემად გამოცხადდეს კენჭისყრის შენობაში, მაშინ მისი თხოვნით საუბნო კომისიას შეუძლია დაავალოს კომისიის ერთ ან რამდენიმე წევრს კენჭისყრა მოაწყოს იქ, სადაც ეს ამომრჩეველი იმყოფება.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის შემდეგი აუცილებელი ელემენტია თანასწორი საარჩევნო უფლება. მისი შინაარსი განმარტებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 97-ე მუხლში, სადაც წერია, რომ „დეპუტატთა არჩევნები თანასწორია, ყოველ ამომრჩეველს მხოლოდ ერთი ხმა აქვს, ყველა ამომრჩეველი თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში“.

თანასწორი საარჩევნო უფლება გულისხმობს არა მარტო იმას, რომ თითოეული ამომრჩეველი შეტანილ იქნეს მხოლოდ ერთ საარჩევნო სიაში, არამედ იმასაც, რომ საარჩევნო ოლქები შექმნილი იყოს მოსახლეობის თანაბარი რიცხვის პრინციპის დაცვით. ამასთან იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანასწორი საარჩევნო უფლებები აქვთ, ხოლო სამხედრო მოსამსახურეები ყველა მოქალაქის თანაბრად სარგებლობენ საარჩევნო უფლებებით.

ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში მოქალაქეებს აქვთ ერთზე მეტი ხმა. მაგალითად, ავსტრალიის ზოგიერთ შტატში დიდი საკუთრების მქონე პირებს აქვთ რამდენიმე ხმა, დასავლეთ ავსტრალიასა და ტასმანიის შტატებში — ოთხ ხმამდე, ხოლო ვიქტორიის შტატში — სამ ხმამდე. ახალ ზელანდიაში 1953 წელს მიღებული კანონის ძალით, ვისაც ჰყავს 1000 ცხვარი, მას აქვს მხოლოდ



ერთი ხმა, 5-დან 10 ათასამდე ცხვრის პატრონს — ორი ხმა, 20-დან 30 ათასამდე ცხვრის მესაკუთრეს კი ხუთი ხმა და ა. შ.

ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყნებში ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით დიდია ის საარჩევნო ოლქები, სადაც მშრომელი მოსახლეობა ცხოვრობს (ერთი საარჩევნო ოლქიდან ირჩევენ ერთ დეპუტატს) და, პირიქით, მცირეა ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით ის საარჩევნო ოლქები, სადაც კაპიტალისტები ცხოვრობენ. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში № 101 საარჩევნო ოლქი შედგება 79.300 ამომრჩევლისაგან, ხოლო № 99 საარჩევნო ოლქი 247.000 ამომრჩევლისაგან, მაშინ როცა ორივე ოლქი ირჩევს თითო დეპუტატს<sup>5</sup>.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის შემდეგი ელემენტია პირდაპირი საარჩევნო უფლება.

პირდაპირი არჩევნების დროს მოქალაქენი ყველა რგოლის წარმომადგენლობითს ორგანოებში დეპუტატებს ირჩევენ უშუალოდ, ე. ი. ყოველგვარი საფეხურების გარეშე. ასეთი პრინციპის განხორციელების რეალურ საშუალებად ის ითვლება, რომ თითოეული საბჭოს ტერიტორია იყოფა საარჩევნო ოლქებად, სადაც დეპუტატობის კანდიდატის უშუალო რეგისტრაცია ხდება. ამომრჩევლები პირდაპირ კონტაქტებს ამყარებენ დეპუტატობის კანდიდატებთან, კარგად ეცნობიან მათს პიროვნებას.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის შემდეგი ელემენტია არჩევნების ჩატარება ფარული კენჭისყრის წესით. სრ კავშირის კონსტიტუციის 99-ე მუხლში ფიქსირებულია, რომ დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნებასურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი არ დაიშვება. პიროვნების ფარული კენჭისყრის უფლება გარანტირებულია აგრეთვე იმით, რომ საარჩევნო უბნებში, სადაც ხმის მიცემა წარმოებს, მოწყობილია ცალკე კაბინები ან ოთახები, სადაც ამომრჩეველი სრულიად დამოუკიდებლად ავსებს საარჩევნო ბიულეტენს და პირადად უშვებს მას საარჩევნო ყუთში. ასეთ კაბინაში ბიულეტენის შევსების დროს არც ერთ სხვა პირს არა აქვს შესვლის უფლება. შენობაში, სადაც ხმის მიცემა წარმოებს დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ საარჩევნო აგიტაცია არ დაიშვება, რათა არ მოხდეს რაიმე ზეგავლენა ამომრჩევლის თავისუფალი ნების განხორციელებაში.

ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატების არჩევნები ტარდება ერთიანი ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. დეპუტატების არჩევნები ხდება საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო დეპუტატების რაოდენობა შეესაბამება ასარჩევ დეპუტატთა რიცხვს. სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების საფუძველზე სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ წარგზავნილი წარმომადგენლებისაგან იქმნება. ისევე, როგორც ყოველთვის, ახლაც საბჭოთა საქართველოს მშრომელები 1985 წლის 24 თებერვალს ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების კანდიდატებს, ამით პირნათლად შეასრულებენ თავიანთ საპატიო მოვალეობას.

<sup>5</sup> М. А. Крутоголов — «Лицо и маска буржуазных выборов», М., 1970 г., стр. 18—19.



## რესპუბლიკის პირველი კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ

### 3. ლოგია

1984 წლის 15 დეკემბერს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეათე მოწვევის X სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ. ეს არის პირველი და ერთადერთი კოდიფიციური აქტი, რომელიც აწესრიგებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ჩვენს რესპუბლიკაში. იგი მიღებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად<sup>1</sup>.

ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიკაციის საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში. ჯერ კიდევ 1922 წელს რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ადმინისტრაციული კოდექსის პროექტი, მაგრამ იგი არ მიუღიათ. ასეთი პროექტები შემუშავდა უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკებში, მაგრამ მხოლოდ უკრაინის რესპუბლიკამ მიიღო იგი 1929 წელს. კოდექსი არეგულირებდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხს, მაგრამ 1962 წლიდან ფაქტობრივად აღარ მოქმედებდა, ვინაიდან ახალმა კანონმდებლობამ მისი დებულებანი მთლიანად შეცვალა<sup>2</sup>.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, რომელიც მიღებულ იქნა 1980 წლის 23 ოქტომბერს ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ შეიმუშავა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსების პროექტები, რსფსრ რესპუბლიკის და უზბეკეთის სსრ კოდექსები მიღებულია 1984 წლის ზაფხულში, ხოლო სხვა რესპუბლიკებისა — 1984 წლის დეკემბერში. კოდექსები ძალაში შევა 1985 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსს აქვს 5 განყოფილება: ზოგადი დებულებანი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა; ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან განიხილონ საქმეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; ადმინისტრაციული საბედლების დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულების წესი.

<sup>1</sup> იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 44, მუხ. 909.

<sup>2</sup> იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1961, № 35, მუხ. 368.

ჩვენს რესპუბლიკაში ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ძირითადად აწესებს ეს კოდექსი, მაგრამ მომავალში შეიძლება გამოიცეს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სხვა აქტებიც, რომლებიც გაითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ცალკეული გადაცდომებისათვის. შემდგომ ისინი აუცილებლად უნდა აისახოს კოდექსში ცვლილებების შეტანით.

კოდექსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, დაწყებული რაიონული და საქალაქო საბჭოებით, უფლება ავტო მთავრად გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ მხოლოდ შემდეგ საკითხებზე: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის (მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს), სტიქიური უბედურებისა და ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, თუ ეს საკითხები კოდექსში გათვალისწინებული არ არის.

ვინაიდან კოდექსში უკვე გათვალისწინებულია საზოგადოებრივი წესრიგის (თავი მე-13), ეპიდემიის, ეპიზოოტის (მუხ. მუხ. 43, 202) და სტიქიური უბედურების (მუხ. მუხ. 61, 76 და სხვ.) წესების დარღვევების თითქმის ყველა შემთხვევა, პრინციპში საჭირო აღარ იქნება სხვა ორგანოებმაც მიიღონ იმავე საკითხებზე ახალი აქტები, ეს კი კოდექსის სტაბილურობის საწინააღმდეგობაა.

საქართველოს სსრ კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ აწესებს მოქალაქეთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას 16 წლის ასაკიდან დამრღვევის ბრალის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან გამორიცხულია საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მათი საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული დარღვევებისათვის (მაგალითად, მდინარეების გაჭუჭყიანებისათვის, სანიტარიული უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის და სხვ.), პასუხს ამისათვის აგებენ ის თანამდებობის პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამა თუ იმ დარღვევისათვის. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც საწარმოო საქმიანობით გამოწვეული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დგება მაგალითად, ჭიათურის მარგანცის საწარმოთა მუშაობა წარმოუდგენელია მდინარე ყვირილას წყლის გამოუყენებლად, რის გამოც ეს მდინარე გაჭუჭყიანებული და გამოუსადეგარია ტექნიკური დანიშნულებისთვისაც კი, მაგრამ ამისათვის პასუხს არავინ აგებს. ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად გათვალისწინებულია მდინარე ყვირილაზე ქ. ჭიათურასთან აიგოს მძლავრი საფილტრაციო სადგური, რომელიც სრულიად უვნებელს გახდის ამ მდინარის წყალს და ყვირილა სუფთა იქნება წვიმით გამოწვეული ღვარცოფების დროსაც კი. დღეს ჩვენს ქვეყანაში დიდი ღონისძიებები ხორციელდება ბუნების დასაცავად, მდინარეების, ტბების და ზღვების გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, დიდი ხანია შავ ზღვაში საწარმოო ნარჩენები აღარ იყრება და ამის გამო ზღვა სუფთა და უვნებელია. ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში დაიდგა ახალი ელექტროლუმები, რომლებმაც საგრძნობლად შეამცირა ატმოსფერული ჰაერის გაბინძურება და სხვ.

თავისებურად არის გადაწყვეტილი ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები. შემამსუბუქებელ გარემოებებად მიჩნეულია: ბრალეულის გულწრფელი მონანიება; ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების აღკვეთა; სამართალდარღვევა ძლიერი სულიერი აღვლევების შედეგად ან პირადი თუ მძიმე ოჯახურ გარემოებათა გამო; სამართალდარღვევა არასრულწლოვანის, ორსული ქალის ან ერთ წლამდე ასაკის ბავშვის დედის მიერ (მუხ. 34). იმ ორგანოს თანამდებობის პირს, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე აქვს მინდობილი გადასაწყვეტად, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებებიც, რომელიც არ არის გათვალისწინებული კოდექსით. გარდა ამისა კოდექსის 33-ე მუხლით სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალეულობის ხარისხი და ქონებრივი მდგომარეობა.

დამამძიმებელი გარემოებების ჩამოთვლა კოდექსში ამომწურავია. კერძოდ, 35-ე მუხლით ასეთ გარემოებებად მიჩნეულია: მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა მისი შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის მიუხედავად; ერთი წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სახეობის სამართალდარღვევის განმეორება, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი; სამართალდარღვევა იმ პირის მიერ, რომელმაც წინათ ჩაიდინა დანაშაული: არასრულწლოვანის ჩაბმა სამართალდარღვევაში; სამართალდარღვევა პირთა ჯგუფის მიერ, სტიქიური უბედურების პირობებში ან სხვა საგანგებო გარემოებათა დროს; სამართალდარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც მთვრალი იყო, ამასთან ადმინისტრაციული სახდელის დამდებ ორგანოს (თანამდებობის პირს) სამართალდარღვევის ხასიათის კვალობაზე შეუძლია არ ცნოს სიმთვრალე დამამძიმებლად.

კოდექსის დემოკრატიულობის მაჩვენებელია ის, რომ იგი ითვალისწინებს პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, როდესაც გადაცდომა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ხოლო დამრღვევი არ იმსახურებს მკაცრ დასჯას და შეიძლება დაკმაყოფილება სიტყვიერი შენიშვნით, რომელიც ადმინისტრაციულ სახდელად არ ითვლება (მუხ. 22). ეს იძლევა საშუალებას ინდივიდუალურად მივუდგეთ თითოეულ დამრღვევს, გავითვალისწინოთ მისი დადებითი თვისებები და გადავწყვიტოთ საკითხი პასუხისმგებლობიდან მისი განთავისუფლების შესახებ.

კოდექსში მოცემულია ადმინისტრაციული სახდელების მრავალფეროვანი სახეობანი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-12 მუხლით დაწესებულ ადმინისტრაციულ სახდელთა გარდა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებს თავიანთი საკანონმდებლო აქტებით შეუძლიათ შემოიღონ სხვა ადმინისტრაციული სახდელებიც<sup>3</sup>. სამწუხაროდ, არც ერთი რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს სსრ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსიც არ ითვალისწინებს ახალ, დამატებით ადმინისტრაციულ სახდელებს, თუმცა შეიძლებოდა დაწესებულიყო ისეთი სახეობის სახდელი, როგორც არის საზოგადოებრივი ვაკიცხვა, რომელიც ხშირად უფრო ეფექტიანია, ვიდრე ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კოდექსის 21-ე მუხლით დარღვევისა და პიროვნების ხასიათის გათვალისწინებით შეი-

3 იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 44, მუხ. 909.

2. „საბჭოთა სამართალი“, № 6.

ძლება ადმინისტრაციული სახდელის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება. ამ შემთხვევაში საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან შრომითს კოლექტივს.

კოდექსში ადმინისტრაციული სახდელები წარმოდგენილია სამი სახით: საზოგადოებრივი ხასიათისა (გაფრთხილება), ფულადი და ქონებრივი (ჯარიმა, კონფისკაცია, რეკვიზიცია) და პირადი შეზღუდვითი ხასიათისა (უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა). ამასთან ჯარიმა, კონფისკაცია, რეკვიზიცია, უფლების ჩამორთმევა და გამასწორებელი სამუშაოები შეიძლება დაწესდეს როგორც სსრ კავშირის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

კონფისკაცია და რეკვიზიცია გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელების სახით, სხვა სახდელები — მხოლოდ ძირითადი სახდელის სახით. ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სახდელები. ამასთან კანონი უშვებს რამდენიმე ძირითადი სახდელის გამოყენებას ერთი და იმავე პირის მიმართ, როცა მას ჩადენილი აქვს რამდენიმე სამართალდარღვევა. მაგრამ კოდექსის 36-ე მუხლით თუ პირის რამდენიმე სამართალდარღვევის საქმეებს განიხილავს ერთი და იგივე ორგანო ან თანამდებობის პირი, დამარღვევს შეეფარდება ყველაზე უფრო სერიოზულ დარღვევისათვის გათვალისწინებული სანქცია. უმჯობესი იყო კოდექსში გათვალისწინებულიყო არა დარღვევის სერიოზულობა, არამედ სახდელის სიმკაცრე.

პირი ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში ნამყოფად ითვლება სახდელის გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი პირს ავტომატურად ეხსნება (მუხ. 39). მაგრამ მანამდე პირმა თუ ხელმეორედ ჩაიდინა იგივე სამართალდარღვევა, ჩვეულებრივ დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც, როგორც ცნობილია, შთანთქავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. ხოლო თუ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა დანაშაულის უმნიშვნელო ხასიათის გამო, მის მიმართ გამოყენებულ იქნება ადმინისტრაციული სახდელი საქმის შეწყვეტიდან ორი თვის განმავლობაში (მუხ. 38). კოდექსი, სამწუხაროდ, არ იძლევა პასუხს გათვალისწინებულ უნდა იქნეს თუ არა ამ შემთხვევაში წინასწარ პატიმრობაში პირის ყოფნა, რომელიც ზოგჯერ განისაზღვრება რამდენიმე თვითაც კი და ადმინისტრაციულ სახდელებს აღემატება. ვფიქრობთ, ასეთ ვითარებაში პირი უნდა განთავისუფლდეს როგორც სისხლის სამართლის ისე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

კოდექსმა გაითვალისწინა მატერიალური ზარალის ანაზღაურების შემთხვევები, როდესაც იგი მოპყვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. კერძოდ, კოდექსის მე-40 მუხლით, ადმინისტრაციული ორგანო ან თანამდებობის პირი უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სახდელთან ერთად პირს დააკისროს იმ ზარალის ანაზღაურებაც, რომელიც მის არამართლზომიერ ქმედობას მოპყვა თუ ეს ზარალი არ აღემატება 50 მანეთს.

კოდექსის მეორე განყოფილება („ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“), შედგება ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან. ზოგად ნაწილში მოცემულია ადმინისტრაციული გადაცდომის ცნება; მისი სუბიექტები; სახდელები და მათი დაკისრების წესი, ხოლო განსაკუთრებულ ნაწილში — ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სახეები და შესაბამისი სანქციები მათი ჩადენისათვის. კოდექსი მოიცავს ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახეობებს, მაგრამ ითვალისწინებს ისეთ გადაცდომებსაც, რომლებსთვისაც პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში. ასეთებია, მაგალითად, ცხოველთა სამყაროს დაცვის წესების დარღვევა (მუხ. 85), რომელიც გულისხმობს ცხოველთა გავრცელებისა და მიგრაციის ადგილების, აგრეთვე მათი გადაადგილების, აკლიმატიზაციისა და შეჭვარების წესების დაცვას. სიახლეს წარმოადგენს 89-ე მუხლიც, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს მხრივ განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ობიექტების რეჟიმისა და დაცვის წესების დარღვევისათვის. როგორც ცნობილია, საქართველოში მრავალია ნაკრძალი, აღკვეთილები, ეროვნული და ბუნებრივი პარკები, ბუნების ობიექტები. ამ ობიექტებს ადრინდელი კანონმდებლობაც იცავდა, მაგრამ ზოგადად, რის გამოც ნაკლებად ეფექტიანი იყო. როგორც 1984 წლის 15 დეკემბერს საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიაზე ითქვა, „ეს კონკრეტული მუხლი ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის ამოღებას კონსტიტუციური მოვალეობის შესრულებისათვის — გავუფრთხილდეთ ბუნებას, დავიცვათ მისი სიმდიდრენი“<sup>4</sup>.

სიახლეა აგრეთვე 144-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ვათვალისწინებულა 50 მანეთი ჯარიმა ტაქსოფონების, სატელეფონო კაბინების, საფოსტო ავტომატებისა და მონეტების დასახურდავებელი ავტომატების, სატელეფონო გამანაწილებელი ჯიხურებისა და სააბონენტო მოწყობილობათა დაზიანებისათვის, აგრეთვე მოქმედი აბონენტის ხაზებზე ტელეფონის თვითნებური მიერთებისათვის. უკანასაყნელ ხანს ამგვარი დარღვევები განშორდა, რაც მოქალაქეთა და სახელმწიფო დაწესებულებათა სამართლიან გულისწყრომას იწვევს, გაზრდილი ადმინისტრაციული ჯარიმის შემოღება უზრუნველყოფს ამ დარღვევების შემცირებას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ის სიახლეც, რომელიც ვათვალისწინებულა 152-ე მუხლით, იგი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ეზოების, ქუჩებისა და მოედნების უნებართვოდ გათხრისათვის; სამშენებლო მასალებით მათი ჩანგრევისათვის, გათხრის ადგილების წესრიგში მოსაყვანად ზომების მიუღებლობისათვის, აგრეთვე მშენებლობისა და რემონტის დამთავრების შემდეგ სამშენებლო მოედნების უწესრიგოდ მიტოვებისათვის. ასეთი დარღვევა გამოიწვევს თანამდებობის პირების დაჯარიმებას 100 მანეთით. ჩვენ რატომღაც მივეჩვიეთ თანამდებობის პირებისადმი მორიდებულობას და დარღვევების პატიებას, მაშინ როცა მათზე ბევრად არის დამოკიდებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღკვეთა. პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი თანამდებობის პირებზეც უნდა გავრცელდეს, რაც საერთო წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საწინდარია. ზოგჯერ თანამდებობის პირი თითქოსდა

<sup>4</sup> იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1984 წ. 18 დეკემბერი.

საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, განზრახ სჩადის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, მაგალითად, სამშენებლო ობიექტის ხელმძღვანელი სამუშაოზე იღებს უპასპორტო ან ჩაუწერელ მუშას. კოდექსის 188-ე მუხლით ეს პირველად იწვევს ჯარიმას 10 მანეთამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში — 50 მანეთ ჯარიმას. ასეთი თანამდებობის პირები დღემდე არ ისჯებოდნენ, რაც გაუმართლებელი იყო.

კოდექსის თავისებურება ისიც არის, რომ ამ აქტში გაერთიანებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური ნორმებიც. აქვეა მოცემული იმ ორგანოთა კომპეტენცია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში, რომლებიც უფლებამოსილი არიან განიხილონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები.

ამის გამო ეს კოდექსი საკმაოდ რთული და მრავალდარგოვანია. საბჭოთა საკანონმდებლო პრაქტიკაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც კოდექსში ერთობლივად წარმოდგენილია მატერიალური, პროცესუალური და ორგანოთა კომპეტენციის მომწესრიგებელი ნორმები. ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობა საერთოდ მოუწესრიგებელი იყო, ეს კოდექსიც ამ ხარვეზის შევსების პირველი ცდაა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მას გაეერთიანებინა და კოდიფიცირებული სახით გადმოეცა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ყველა საკითხი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოება ადმინისტრაციული პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამას დათმობილი აქვს კოდექსის მე-4 განყოფილება, რომელშიც უპირველესად განხილულია საქმის წარმოების ისეთი დემოკრატიული პრინციპები, როგორიც არის: კანონის წინაშე მხარეების თანასწორობა (მუხ. 233); საქმის ღიად განხილვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, როცა აუცილებელია აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი როლის ამაღლება — საქმის განხილვა უშუალოდ შრომით კოლექტივებში, სწავლისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (მუხ. 234); მშობლიურ ენაზე გამოსვლის შესაძლებლობა (მუხ. 252); გამოტანილი დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობა (მუხ. 271) და სხვ. კოდექსის 230-ე მუხლში ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოების ამოცანებს შეადგენს: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გარკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობ მიზეზთა და პირობათა გამოვლინება, სამართალდარღვევების თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონების დაცვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების სულისკვეთებით.

ადმინისტრაციული გადაცდომის საქმის წარმოება იწყება მისი აღძვრით, რომელიც უნდა მოხდეს დარღვევის ჩადენის დღიდან ორი თვის ვადაში. ამავე დროში უნდა განიხილონ გადაცდომის საქმე. გამოტანილი დადგენილების აღსრულებისათვის დაწესებულია სამი თვე, რომლის შემდეგაც საქმე წარმოებით უნდა შეწყდეს. ცალკეულ სახდელებს აღსრულების თავისი წესი აქვს. მაგალითად, ჯარიმა პირმა უნდა გადაიხადოს დადგენილების ჩაბარებიდან 15 დღის მანძილზე, თუ ნებაყოფლობით არ გადაიხდის, მას ხელფასიდან დაუკავე-

ბენ ხოლო თუ არ შეუძლია, ჯარიმის თანხას ამოიღებენ მისი ქონებიდან. ჯარიმის შეცვლა სხვა სახდელით არ შეიძლება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღკვეთი ღონისძიებების სწორად გამოყენებას, მას აწესრიგებს კოდექსის მე-19 თავი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით, აგრეთვე პიროვნების ვინაობის დასადგენად, ოქმის შესადგენად, როცა ეს ადგილზე შეუძლებელია, საქმის დროული და სწორი განხილვის უზრუნველსაყოფად და მიღებული დადგენილების აღსასრულებლად ნებადართულია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი და პირადი ნივთების დათვალიერება, ნივთებისა და დოკუმენტების ამოღება (მუხ. 244).

დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება ნებადართულია 3 საათამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განსაკუთრებული აუცილებლობის გამო (საომარი ვითარება) სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით დაწესებულია ადმინისტრაციული დაკავების სხვა ვადები. სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის ან სსრ კავშირის საზღვარზე გადასვლის წესების შეუსრულებლობის დროს დასაშვებია დაკავება სამი დღე-ღამის განმავლობაში, რაც უნდა ეცნობოს პროკურორს 24 საათში, ან პროკურორის სანქციით 10 დღე-ღამის განმავლობაში. ამ ვადით დაკავება საზღვარზე ხდება მაშინ, როცა პირს არა აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ადმინისტრაციული დაკავების ვადა იანგარიშება ოქმის შესადგენად დამრღვევის მიყვანის მომენტიდან, ხოლო ნასვამი პირისათვის — მისი გამოფხიზლების დროიდან.

კოდექსის 250-ე მუხლით თუ არის საკმაო საფუძველი ვიფიქროთ, რომ საჭესთან მჯდომი მძღოლი ნასვამია, ავტონისპექტორმა იგი უნდა ჩამოაცილოს საჭეს და წაიყვანოს სიმთვრალის მდგომარეობის შესამოწმებლად. ეს უნდა მოხდეს საკავშირო აქტების საფუძველზე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის ჯანდაცვისა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროების მიერ დადგენილი წესით.

არასწორი ადმინისტრაციული დაკავება, პირადი დათვალიერება, ნივთების დათვალიერება, ნივთებისა და დოკუმენტების უმართებულო ამოღება და ინტერესებულმა პირმა შეიძლება გაასაჩივროს ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან (მუხ. 251).

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს აქვს დიდი უფლებები დაიცვას თავისი ინტერესები. კოდექსის 252-ე მუხლით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობა, საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით, გამოვიდეს დედაენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება და სხვ. საქმეს განიხილავენ იმ პირის მონაწილეობით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. მის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არის ცნობები მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის შეტყობინების შესახებ და თუ მისგან არ არის მიღებული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადაღების თაობაზე.

კოდექსის ნორმების განხორციელება დამოკიდებულია არა მარტო მოქალაქეთა მართლშეგნებაზე, არამედ იმ ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობაზეც, რომლებსაც დავალებული აქვთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან ბრძოლა. ამ ორგანოთა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს კოდექსის მესამე განყოფილება. ეს ორგანოებია: სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასკომები, ადმინისტრაციული, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, რაიონული, საქალაქო სახალხო სასამართლოები, მილიციის, სახანძრო დაცვის, ტრანსპორტის ორგანოები, პროფკავშირების სამართლებრივი და ტექნიკური ინსპექტორები, სამთო ზედამხედველობის ორგანოები, მანქანათმშენებლობის სამინისტროს ინსპექციები, საბაჟო, თავდაცვის, სანიტარული ზედამხედველობის ორგანოები, ვეტერინარული ზედამხედველობის, წყლის რესურსების დაცვის, თევზის დაცვის, სატყეო მეურნეობის ორგანოები, ნადირობის წესების დაცვისადმი ზედამხედველობის ორგანოები, კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირის სახელმწიფო ინსპექციისა და სოფლტექნიკური ზედამხედველობის ორგანოები.

ამ ორგანოთა ჩამოთვლიდანაც კარგად ჩანს, თუ რა ფართოა ის სფერო, რომელსაც აწესრიგებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მისი სამოქმედოდ შემოღება გამოიწვევს მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების (დებულებების, ინსტრუქციების და სხვ.) გაუქმებას, რამდენადაც იმოქმედებს ეს ერთიანი საკანონმდებლო აქტი, კოდექსის ნორმების განხორციელება უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა, დაწესებულებათა, საწარმოთა უფლებებისა და ინტერესების, საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური კანონიერების განუხრელ დაცვას.



# ბრალდებულის სამართალში მიხვევა

## ა. ფალიაშვილი

1. ბრალდებულის სამართალში მიხვევა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დამოუკიდებელი სტადიაა. მას აქვს საკონტროლო ხასიათი გამოძიების ორგანოების მიმართ, რადგანაც მოსამართლე ან სასამართლო განმწესრიგებელ სსდომაზე ამოწმებს: სრულყოფილად, ყოველმხრივად და ობიექტურად არის თუ არა ჩატარებული მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება; დატულია თუ არა საქმის გამოძიების დროს სისხლის სამართლისა და საპროცესო კანონის მოთხოვნები; დასაბუთებულად და კანონიერად არის თუ არა პირი მიცემული პასუხისგებაში; საკმარისია თუ არა მტკიცებულებები ბრალდებულის სამართალში მისაცემად.

ამავე დროს სამართალში მიხვევა მოსამზადებელი სტადიაა საქმის სასამართლოში განხილვის დასაწყებად, რადგანაც ამ დროს წყდება საკითხი, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი და იურიდიული საფუძველი ბრალდებულის სამართალში მისაცემად და ხორციელდება თუ არა ღონისძიებანი, რათა სასამართლომ საქმე განიხილოს ოპერატიულად, დაუბრკოლებლად, სრულყოფილად და ყოველმხრივ.

ბრალდებულის სამართალში მიხვევის სტადიას აქვს გარკვეული თავისებურებანი. კერძოდ, ეს იმით გამოიხატება, რომ მოსამართლე ან სასამართლო განმწესრიგებელ სსდომაზე წინასწარ არ წყვეტს პირის ბრალეულობის საკითხს. ეს ხდება საქმის სასამართლოში განხილვის შემდეგ, განაჩენის დადგენის დროს. თავისებურება აგრეთვე იმით გამოიხატება, რომ ამ სტადიაზე მოწმდება და ანალიზდება მხოლოდ საქმეში არსებული მასალები და მტკიცებულებანი, განიხილება შუამდგომლობანი, რომლებიც აღძრულია ამ მომენტი-სათვის. სამართალში მიხვევის სტადიაზე არ შეიძლება ჩატარდეს სასამართლო მოქმედებანი (დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა და ა. შ.). თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ამ დროს მართალია, კრიტიკულად ფასდება საქმეში არსებული მტკიცებულებანი (წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე და სასამართლო ვერ მივლენ დასკვნამდე მტკიცებულების საკმარისობის შესახებ), მაგრამ არ წყდება მტკიცებულებათა ჭეშმარიტებისა და უტყუარობის საკითხი. ეს ღვინდება სასამართლოში საქმის განხილვის დროს საჯარობის, შეკითხვითობის, ზეპირობისა და უშუალობის პირობებში. შემდეგ თავისებურებად ითვლება ის, რომ ბრალდებულის სამართალში მიხვევის დროს განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბრალდებულის, დამცველის და სხვა დაინტერესებულ პირთა შუამდგომლობანი დოკუმენტების გამოთხოვის, ახალი მოწმეების გამოძახების,

ექსპერტიზის დანიშვნის, საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების, მისი შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ და ა. შ. ბოლოს, აქვე უნდა გადაწყდეს ყველა ორგანიზაციული საკითხი, რომლებიც უზრუნველყოფს საქმის სასამართლოში სწორ და დაუბკროლებლად განხილვას, კერძოდ: საქმის განხილვა მოხდეს საჯაროდ, დახურულ სხდომაზე თუ გამსვლელ სესიაზე; დამცველის, საზოგადოებრივი დამცველის, პროკურორის, საზოგადოებრივი ბრალდებლის მონაწილეობის საკითხი; ვინ იქნეს გამოძახებული სასამართლოში მოწმეებად, დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩლედ, სამოქალაქო მოპასუხედ ან მათ წარმომადგენლებად; საჭიროა თუ არა სასამართლომ მოიწვიოს ექსპერტები, სპეციალისტები; აუცილებელია თუ არა დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვა და ა. შ.

ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს კანონის დაცვას ამქამად სავანგებო ყურადღება ექცევა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1980 წლის 28 ნოემბერს მიიღო დადგენილება „ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“<sup>1</sup>.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1984 წლის 22 სექტემბერს იმსჯელა და მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1980 წლის 28 ნოემბრის № 8 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ამ დადგენილებებში აღნიშნულია ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაში. ეს არის კერძოდ: ბრალდებულის სამართალში მიცემისადმი ფორმალური დამოკიდებულება; კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობა; ბრალდებულის სამართალში დაუსაბუთებელი მიცემა; აღძრულ შუამდგომლობათა ზერელედ განხილვა და ა. შ.

დადგენილებებში ხაზგასმულია, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ზუსტი და განუზრელი შესრულება აუცილებელი პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოში მხოლოდ იმ საქმეთა განხილვას, რომელზეც არსებობს საკმარისი ფაქტობრივი და იურიდიული საფუძველი ბრალდებულის სამართალში მიცემისათვის.

2. ბრალდებულის სამართალში მიცემის ორი წესი არსებობს: ერთპიროვნულად გადაწყვეტა მოსამართლის მიერ და კოლეგიურად სასამართლოს მიერ განმწესრიგებელ სხდომაზე. უმრავლეს სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებულის სამართალში მიცემა ხდება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად. ბრალდებულის სამართალში მიცემას კოლეგიური წესით განსაზღვრავს კანონი. იგი დამოკიდებულია დანაშაულის კვალიფიკაციაზე, ვინ არის დანაშაულის სუბიექტი და თვით მოსამართლის გადაწყვეტილებაზე. კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის შესაბამისად ბრალდებულის სამართალში მიცემა განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა მოხდეს ოთხ შემთხვევაში თუ: 1. მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას, 2. მოსამართლე მიიჩნევს, რომ ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს, 3. იხილება არასრულწლოვანის

<sup>1</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1981, № 1, с. 7—12.

პერ ჩადენილი დანაშაულის საქმე, 4. ბრალდებულს შეიძლება შეეფარდოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გაფართოდეს იმ საქმეთა კატეგორია, რომელზეც ბრალდებულის სამართალში მიცემა განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა მოხდეს კოლეგიურად. ნ. ვ. რადუტნიას თეზისი, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემა უნდა მოხდეს განმწესრიგებელ სხდომაზე ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია მთლიანი მოცულობით განახორციელოს დაცვის უფლება და როდესაც ბრალდებულმა არ იცის ის ენა, რომელზეც წარმოებდა საქმის გამოძიება<sup>2</sup>. ვ. პ. ბოჟევის აზრით, როდესაც აღძვრულია შუამდგომლობა საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ, საქმის წარმოებით შეწყვეტის ან დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე ბრალდებულის სამართალში მიცემა უნდა მოხდეს მხოლოდ განმწესრიგებელ სხდომაზე<sup>3</sup>. ტ. მიხაილოვა ასევე მიიჩნევს, რომ კოლეგიურად ბრალდებულის სამართალში მიცემა უნდა მოხდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ამას შუამდგომლობს პროკურორი, დამცველი ან ბრალდებული<sup>4</sup>. ეს მოსაზრებები იმით არის დასაბუთებული, რომ იგი კიდევ უფრო განამტკიცებს სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიულ საწყისებს და თავიდან აგვაცილებს ბრალდებულის ერთპიროვნულად სამართალში მიცემის დროს დაშვებულ შეცდომებს.

ნ. ვ. რადუტნიას და ვ. პ. ბოჟევის მოსაზრება გასათვალისწინებელია, რადგან სხვა ამოცანებთან ერთად იგი მიზნად ისახავს აგრეთვე იმასაც, რომ სამართალში მიცემის დროს გაძლიერდეს ბრალდებულის დაცვის უფლება და მათი გარანტიები. რაც შეეხება ტ. მიხაილოვას მოსაზრებას, შუამდგომლობის აღძვრამ ყოველთვის ავტომატურად არ უნდა გამოიწვიოს ბრალდებულის სამართალში მიცემა კოლეგიალური წესით, არც ერთ შუამდგომლობას მოსამართლისათვის არა აქვს საეალდებულო ხასიათი. მოსამართლე მხოლოდ ვალდებულია განიხილოს და გადაწყვიტოს იგი არსებითად: დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა.

3. ბრალდებულის სამართალში მიცემა განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა მოხდეს მაშინ თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას. თეორიასა და პრაქტიკაში დადგენილია ტიპური შემთხვევები, როდესაც მოსამართლე არ უნდა დაეთანხმოს საბრალდებო დასკვნას, კერძოდ: თუ არ არის საკმარისი მტკიცებულებანი საქმის სასამართლოში განხილვისათვის; თუ დანაშაულის კვალიფიკაცია უსწორია; თუ ბრალდების მოცულობა და ფორმულირებასწორად არ არის განსაზღვრლი; თუ დანაშაულის ჩამდენი ყველა პირი არ

<sup>2</sup> Радутная Н. В., Народный заседатель, М., 1978, с. 43—45.

<sup>3</sup> Божьев В. П., Пути совершенствования законодательства о предании суду «Правоведение», 1969, № 6, с. 75.

<sup>4</sup> Михайлова Т., Как избежать ошибки в стадии предания суду, «Советская юстиция», 1978, № 12, с. 6.

არის მიცემული პასუხისგებაში; თუ დარღვეულია კანონის არსებითი მოთხოვნები; თუ თვით საბრალდებო დასკვნა არ არის სწორად შედგენილი<sup>5</sup>.

თუ მოსამართლე არ ეთანხმება აღკვეთის ღონისძიებას, ეს წარმოადგენს საფუძველს ბრალდებულის სამართალში მიცემისათვის განმწესრიგებელ სხდომაზე. ეს უთანხმოება შეიძლება იმით გამოიხატოს, რომ მოსამართლეს მიაჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიება უნდა შეიცვალოს უფრო მსუბუქით ან უფრო მძიმე სახეობით, ან მოსამართლეს მიაჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიება გაუქმდეს ანდა შერჩეული იქნეს აღკვეთის ღონისძიება, თუ იგი საერთოდ არ არის გამოყენებული გამოძიების პროცესში.

ყველა შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია დაასაბუთოს, თუ რატომ არ ეთანხმება იგი საბრალდებო დასკვნას ან აღკვეთის ღონისძიებას. საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს თუ რომელ პროცესუალურ დოკუმენტში უნდა დასაბუთდეს ეს. ამიტომ საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე გატანის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ან ამ საკითხზე ადგენს წერილს, ანდა რეზოლუციის სახით აყალიბებს უთანხმოების მოტივებს. კანონის ეს ხარვეზი უნდა შეივსოს იმ ვაგებით, რომ მოსამართლემ გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება ბრალდებულის განმწესრიგებელ სხდომაზე სამართალში მიცემის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება რთულდება იმის გამო, რომ პროკურორმა არ იცის, რა მოტივების გამო ხდება ბრალდებულის სამართალში მიცემა განმწესრიგებელ სხდომაზე. მხოლოდ ოთხი მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კოდექსი (უკრაინის სსრ, ლატვიის სსრ, მოლდავეთის სსრ, თურქმენეთის სსრ) ავალდებულებს მოსამართლეს აცნობოს პროკურორს, სად, როდის და რა მოტივების გამო განიხილება საქმე განმწესრიგებელ სხდომაზე.

კანონმდებლობის სრულყოფის და სიციხადის მიზნით მიზანშეწონილია, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს ნორმა, რომელიც დაავალდებულებს მოსამართლეს სამი დღით ადრე აცნობოს პროკურორს განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების ადგილი, დრო და მოტივები, რომლებიც საფუძველად დაედო საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე გატანას. პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმული დასაბუთებული მოსაზრება, რომ საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე გატანის შესახებ მოსამართლემ გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება, რომლის პირიც გადაუგზავნოს პროკურორს იმ მიზნით, რომ იგი მომზადებული მივიდეს განმწესრიგებელ სხდომაზე<sup>6</sup>.

4. პროცესუალურ ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ დიდ და მრავალ

<sup>5</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1981, № 1, с. 8; Загорский Г., Основания и порядок проведения распорядительного заседания суда, «Советская юстиция», 1979, № 7, с. 17—18; Мартынич Е. Г., Гарантии прав обвиняемого в суде первой инстанции, Кишинев, 1975, с. 110—116.

<sup>6</sup> Савицкий В. М., Очерк теории прокурорского надзора, М., 1975, с. 234; Басков В. И., Прокурор в суде первой инстанции, М., 1968, с. 52; Левашов В., Стрёмовский В., Распорядительное заседание суда, «Советская юстиция», 1977, № 9, с. 7; Волкодаев Н. Ф., Правовая культура судебного процесса, М., 1980, с. 13.

ვალეპიზოდიან საქმეებზე განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორის გარდა მოწვეულ იქნეს გამოძიებელი, რომელმაც გამოიძია სისხლის სამართლის საქმე. ეს იმით არის მოტივირებული, რომ გამოძიებელი უკეთ იცნობს საქმის მასალებს და მისი პასუხები განმწესრიგებელ სხდომაზე ხელს შეუწყობს საკითხის სრულყოფილად განხილვას<sup>7</sup>. ეს მოსაზრება მკაცრად არის გაკრიტიკებული ვ. მ. სავიციის მიერ, როგორც კანონსაწინააღმდეგო<sup>8</sup>.

მართალია, კანონით არ არის გათვალისწინებული გამოძიებლის მონაწილეობა განმწესრიგებელ სხდომაზე, მაგრამ გამოძიებელი მაინც შეიძლება გამოიძახოს სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე განმარტების მისაცემად და ეს არ უნდა ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად.

პროკურორის პროცესუალური მდგომარეობა განმწესრიგებელ სხდომაზე ერგვაროვნად არ არის გადაწყვეტილი პროცესუალურ ლიტერატურაში. მ. ს. სტროგოვიჩს მიაჩნია, რომ განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორი გამოდის როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი<sup>9</sup>. ჩვენ სადავოდ ვთვლით ამ მოსაზრებას. სახელმწიფო ბრალმდებლად პროკურორი გამოდის მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში, როდესაც არსებითად განიხილება და წყდება სისხლის სამართლის საქმე მხარეთა და საზოგადოებრიობის მონაწილეობით. სახელმწიფო ბრალდება ხორციელდება მხოლოდ საჯაროობის პირობებში. განმწესრიგებელ სხდომაზე კი ასეთი პირობები არ არსებობს, აქ საერთოდ არ წყდება ბრალეულობის საკითხი. ამიტომ პროკურორი ამ დროს გამოდის როგორც ზედამხედველობის განმხორციელებელი ორგანოს წარმომადგენელი და არა როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. ამ მოსაზრებას იზიარებენ სხვა პროცესუალისტებიც<sup>10</sup>.

5. ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაზე მოსამართლემ ერთპიროვნულად ან სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ სსსკ 230-ე მუხლში. ყველა მათ განხილვას წინამდებარე სტატიაში არ შეგუდგებით, გვარკვევთ მხოლოდ ერთ საკითხს, კერძოდ: როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როდესაც იგი დაადგენს გამოძიების დროს კანონის დარღვევის ფაქტს.

ბრალდებულის სამართალში მიცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოძიების დროს დაცულია საპროცესო კოდექსის ნორმები ან დაშვებულია კანონის უმნიშვნელო დარღვევები, რომელთა გამოსწორებაც შეიძლება სასამართლოში საქმის განხილვის დროს. სხვა შემთხვევაში სასამართლომ უნდა ამჯგულოს განმწესრიგებელი სხდომიდან საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ.

საქმე დამატებითი გამოძიებისათვის უნდა დაბრუნდეს ყველა შემთხვევაში, როდესაც საპროცესო კანონი არსებითად არის დარღვეული (იხ. საქართველოს სსრ სსსკ 355-ე მუხლი). მართალია, ეს მუხლი კანონის არსებითი

<sup>7</sup> Басков В. И., Прокурор в суде первой инстанции, М., 1968, с. 53.

<sup>8</sup> Савицкий В. М., Очерк теории прокурорского надзора, М., 1975, с. 236.

<sup>9</sup> Строгович М. С., Курс советского уголовного процесса, том 2, М., 1970, с. 200.

<sup>10</sup> Гальперин И. М., Лукашевич В. З., Предание суду по советскому уголовно-процессуальному праву, М., 1965, с. 108.

დარღვევის შემთხვევებს უკავშირებს განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველს, მაგრამ მას ხშირად მნიშვნელობა და კავშირი აქვს ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიისთვისაც.

კანონის არსებით დარღვევას, რამაც უნდა გამოიწვიოს საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიებისათვის, მიეკუთვნება შემთხვევები, რომლებიც მითითებულია სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 28 ნოემბრის № 8 დადგენილებაში „ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“<sup>11</sup>, და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1984 წლის 22 სექტემბრის დადგენილებაში „ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს სასამართლოს მიერ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 28 ნოემბრის დადგენილების შესარჩულების მიმდინარეობის თაობაზე“. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლომ უნდა გამოიყენოს აგრეთვე რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 17 აპრილის № 2 დადგენილება „ზოგიერთი საკითხის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოების მიერ იმ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების გამოყენებასთან, რომლებიც აწესრიგებენ საქმის დაბრუნებას დამატებითი გამოძიებისათვის“.<sup>12</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის არსებით დარღვევას, რომელმაც უნდა გამოიწვიოს საქმის დაბრუნება განმწესრიგებელ სხდომიდან დამატებითი გამოძიებისათვის, განეკუთვნება: გამოძიება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე გამოყოფილ საქმეზე სხვა პირის მიმართ ახალი ბრალდებით; მოკვლევა, როდესაც კანონი ითვალისწინებს საქმეზე წინასწარ გამოძიებას; ბრალდებულის დაცვის უფლების შეზღუდვა; საქმის გამოძიება თარჯიმნის მონაწილეობის გარეშე, როდესაც ბრალდებულმა არ იცის ენა, რომელზეც მიმდინარეობს საქმის წარმოება; მტკიცებულებათა მიღება კანონსაწინააღმდეგო გზით; ბრალდებულისათვის და პროცესის სხვა შესაბამისი მონაწილეებისათვის წინასწარი გამოძიების დამთავრებასთან დაკავშირებით საქმის მასალების არგაცნობა; ექსპერტიზის ჩაუტარებლობა, როდესაც იგი სავალდებულო იყო კანონის საფუძველზე; საბრალდებო დასკვნის უსწორო შედგენა და მისი დაუმტკიცებლობა პროკურორის მიერ; ბრალდების უსწორო ფორმულირება; საქმის გამოძიება იმ პირის მიერ, რომელიც აცილებას ექვემდებარებოდა და სხვ. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით აწესრიგებს რუსეთის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება<sup>13</sup>.

6. სისხლის სამართლის საქმე განმწესრიგებელ სხდომაზე განიხილება მოსამართლის, ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით და სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობით. პროკურორის დასწრება განმწესრიგებელ სხდომაზე სავალდებულოა. თუ იგი არ გამოცხადდა განმწესრიგებელი სხდომა უნდა გადაიდოს. მხოლოდ სამი მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობით (უკრაინის სსრ, ყაზახეთის სსრ, თურქმენეთის სსრ) პროკურორის გამოუცხადებლობა განმწესრიგებელ სხდომაზე არ აბრკოლებს საქმის განხილვას. განმწესრიგებელი სხდომა დაჯურულია, ამიტომ სასამართლო შემაღვენ-

<sup>11</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1981, № 1, с. 8—9.

<sup>12</sup> Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1984, № 7, с. 10.

<sup>13</sup> Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1984, № 7, с. 10.

ლობის გარდა მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც სასამართლომ გამოიძახა ახსნა-განმარტების მისაცემად მათ მიერ განცხადებული შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით.

განმწესრიგებელი სხდომის მიმდინარეობის წესს კანონი დაწვრილებით არ აწესრიგებს. საქართველოს სსრ სსსკ 229-ე მუხლის შესაბამისად საქმის განხილვა განმწესრიგებელ სხდომაზე იწყება მოსამართლის მოხსენებით, შემდეგ სასამართლო მოუსმენს პროკურორს. საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განმწესრიგებელი სხდომის გახსნას, სასამართლო შემაღენლობის გამოცხადებას, გამოძახებულ პირთა გამოცხადების შემოწმებას, სასამართლო შემაღენლობის აცილების საკითხის გადაწყვეტას, რაც კანონის ერთგვარ ხარვეზს წარმოადგენს. ეს სამართლიანად არის ნათქვამი პროცესუალურ ლიტერატურაში<sup>14</sup>.

გარდა იმ საკითხების განხილვა-გადაწყვეტისა, რომელიც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ სსსკ 230-ე მუხლში, განმწესრიგებელ სხდომაზე განხილული და გადაწყვეტილი უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დამცველის, ბრალდებულის, დაზარალებულის და სხვა პირთა შუამდგომლობები, რომლებიც განცხადებულ იყო ამ სტადიაზე.

შუამდგომლობათა განხილვასთან დაკავშირებით სასამართლო მოისმენს პროკურორის დასკვნას. ყველა შემთხვევაში განმწესრიგებელ სხდომაზე შუამდგომლობათა შედეგი უნდა ეცნობოს მის აღმძვრელ ორგანიზაციას ან პირს. შუამდგომლობაზე უარი არ გასაჩივრდება, მაგრამ იგი კვლავ შეიძლება აღიძვრას საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

7. გარკვეული თავისებურება ახასიათებს ბრალდებულის სამართალში მიცემას იმ საქმეებზე, რომლებზეც არ ყოფილა მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება. კერძო ბრალდების საქმეებზე, რომელიც აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, არ ხდება მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება. დაზარალებული მიმართავს განცხადებით უშუალოდ სასამართლოს.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მოსამართლე მოვალეა გამოიძახოს დაზარალებული, ბრალდებული და მიიღოს ზომები მათ შესარიგებლად, თუ შერიგება ვერ მოხერხდა, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და პირის სამართალში მიცემის შესახებ. სამართალში მიცემის შემდეგ არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე განსასჯელს უნდა ჩაბარდეს დაზარალებულის განცხადების პირი, სასამართლო სხდომაზე დაბარების უწყება და სასამართლოში დაბარებულ პირთა სია.

თავისებურად წყდება აგრეთვე ხულიგნობის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის I ნაწილი) და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების (95-ე მუხლის I ნაწილი) საქმეებზე პირის სამართალში მიცემის საკითხი.

მოსამართლე, როდესაც მიიღებს ამ კატეგორიის საქმეებზე მასალებს და ოქმს, რომელიც დამტკიცებულია პროკურორის მიერ, ერთპიროვნულად შეისწავლის საქმეს იმ მიზნით, რომ გადაწყვიტოს საკითხი სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და პირის სამართალში მიცემის შესახებ. თუ ამ საკითხს მო-

<sup>14</sup> Волкодаев Н. Ф., Правовая культура судебного процесса, М., 1980, с. 13—14.

სამართლე გადაწყვეტს, მას გამოაქვს ერთი დადგენილება საქმის აღძვრის, პირის სამართალში მიცემის, მოქალაქის დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ.

ამ კატეგორიის საქმეებზე ბრალდებულის სამართალში მიცემა ხდება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად, განმწესრიგებელ სხდომაზე კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმე უნდა დაბრუნდეს გამოძიებისათვის, პირს უნდა შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიება ან საქმე შეწყვეტილ იქნეს წარმოებით.

✓ 8. ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე უფლებამოსილია გამოიტანოს ერთ-ერთი რომელიმე სახის განჩინება: ა) ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ; ბ) საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების თაობაზე; გ) საქმის წარმოებით შეჩერების შესახებ; დ) საქმის წარმოებით შეწყვეტის ან ე) საქმის ქვემდებარეობისამებრ გადაგზავნის თაობაზე.

მოსამართლის დადგენილება და განმწესრიგებელი სხდომის განჩინება უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და მოტივირებული, აკმაყოფილებდეს ყველა იმ შთოხვნას, რომლებსაც ითვალისწინებენ საქართველოს სსრ სსსკ 223-ე და 234-ე მუხლები.

განმწესრიგებელ სხდომაზე კერძო განჩინება შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის წარმოებით შეწყვეტის შემთხვევაში პირის უსაფუძვლოდ პასუხისმგებლობაში მიცემის ფაქტის დადგენის დროს. ამ კერძო განჩინებით გამოძიებლის ან მომკვლვეი პირის ყურადღება უნდა მიექცეს კანონის იმ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებულ იქნა გამოძიების დროს. სწვა სახის კერძო განჩინების გამოტანა შეიძლება მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის დროს<sup>15</sup>.

განმწესრიგებელი სხდომის მიერ გამოტანილი განჩინება საქმის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში, შვიდი დღის ვადაში დაზარალებულისა და ბრალდებულის მიერ, თუ მათ საქმის შეწყვეტის მოტივები უსწოროდ მიაჩნიათ. სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის ყველა სახის განჩინება შეიძლება გაპროტესტდეს პროკურორის მიერ შვიდი დღის ვადაში.

პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროკურორმა, როგორც წესი, არ უნდა გააპროტესტოს სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის განჩინება საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ, ანდა საერთოდ უნდა აეკრძალოს პროკურორს ასეთი განჩინების გაპროტესტება. ვ. მ. სავიციკი თვლის, რომ საერთო წესის მიხედვით მიზანშეუწონელია გაპროტესტდეს განმწესრიგებელი სხდომის განჩინება დამატებით გამოძიების ჩატარების შესახებ<sup>16</sup>. ზოგიერთი ავტორი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ პროკურორს აეკრძალოს განმწესრიგებელი სხდომის განჩინების გაპროტესტება დამატებით გამოძიების შესახებ<sup>17</sup>.

<sup>15</sup> Бюллетень Верховного Суда СССР, 1981, № 1, с. 11.

<sup>16</sup> Савицкий В. М., Очерк теории прокурорского надзора, М., 1975, с. 258.

<sup>17</sup> Выдра М. М., Обжалование судебного определения и гарантии прав участников процесса, «Советская юстиция», 1964, № 8, с. 11.



ეს ავტორები თვლიან, თუ სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე მიიჩნეეს, რომ არ არის საკმარისი საფუძველი საქმის სასამართლოში განხილვისათვის გამოძიების დროს დაშვებული ხარვეზების გამო, როგორ შეიძლება სასამართლომ არსებითად განიხილოს საქმე და გამოიტანოს განაჩენი.

მართალია, სასამართლომ არსებითად უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, მაგრამ პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სასამართლო დაუსაბუთებლად აბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიებისათვის ისეთი უმნიშვნელო ხარვეზების გამო, რომელთა გამოსწორება ადვილად შეიძლება სასამართლოში საქმის განხილვის დროს. ასეთ ვითარებაში კი საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ზემდგომი სასამართლო აკმაყოფილებს პროკურორის პროტესტს განმწესრიგებელი სხდომიდან საქმის დაუსაბუთებლად და უკანონოდ დაბრუნების თაობაზე. პროკურორი სწორად იქცევა, როდესაც აპროტესტებს განმწესრიგებელი სხდომის დაუსაბუთებელ და უკანონო განჩინებას საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ.

საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა მცდარია, ვინაიდან ზღუდავს პროკურორის, როგორც კანონთა შესრულებისადმი ზედამხედველი ორგანოს წარმომადგენლის უფლებამოსილებას.

ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაზე კანონის ნორმების სწორი გამოყენება ხელს უწყობს სასამართლოში საქმის ყოველმხრივ და ობიექტურ განხილვას, საქმეზე კეშმარიტების დადგენას.



# პასუხისმგებლობა დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმისათვის

თ. შარალიძე

1. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი საქმიანობის დადგენის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი სატყვიარია. კრიმინოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის 20-30 პროცენტი ჩადენილია სრულწლოვან დანაშაულებრივ საქმიანობაში. არასრულწლოვანი, რომლის ზნეობრივი ჩამოყალიბებაც ვერ კიდევ არ დასრულებულა, ადვილად ექცევა სხვისი ზეგავლენის ქვეშ. ამით სარგებლობენ უფროსები, რომლებიც პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით ცდილობენ დანაშაული ჩაიდინონ არასრულწლოვანის ხელით. ასეთი პირები უადრესად საშიში არიან საზოგადოებისათვის და მათ წინააღმდეგ შეუბოვარი ბრძოლა საჭიროა. მათი დროული გამოვლენა არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირების საწინდარია.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით ისჯება „არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში, ჩათრევა ლოთობაში, დაყოლიება მათხოვრობაზე, პროსტიტუციაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე“. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში დანაშაულის ცალკეული სახეობანი განლაგებულია მათი გვარეობითი თბიქტის მიხედვით. ჩვენ მიერ განსახილველი დანაშაული მოთავსებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 თავში „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ“. ამ თავში მოცემულ შემადგენლობათა გვარეობითი თბიქტია საზოგადოებრივი წესრიგი ან საზოგადოებრივი უშიშროება, ანდა მოსახლეობის ჯანმრთელობა<sup>1</sup>. არასრულწლოვანის ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩვეულებრივ აკუთვნებენ საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჯგუფს.

საზოგადოებრივი წესრიგი ფართო შინაარსის ცნებაა. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისით, საზოგადოებრივი წესრიგი „მოიცავს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ ერთობლიობას, რომელიც რეგულირებულია როგორც სამართლის ნორმებით, ასევე სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებით, ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით“<sup>2</sup>.

როდესაც ვლაპარაკობთ საზოგადოებრივ წესრიგზე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 თავში მოთავსებულ დანაშაულთა გვარეობით თბიქტზე, ცხადია, მისი ასეთი ფართო, ყოვლისმომცველი გაგება არ გამოგვადგება. სწორედ ამიტომ ზოგიერთი კრიმინალისტი ცდილობს საზოგადოებრივი

<sup>1</sup> «Криминология», М., 1976, с. 294.

<sup>2</sup> რსფსრ და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი თავის სათაურია — დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის წინააღმდეგ.

<sup>3</sup> Н. И. Загородников, Общественный порядок и пути его укрепления, «Советское государство и право», 1971, № 10, с. 7; М. И. Еропкин и Л. Л. Попов. Административно-правовая охрана общественного порядка, Лениздат, 1973, с. 7; Теория государства и права, под редакцией А. М. Васильева, М., 1977, с. 411.

წესრიგის ცნება ჩამოაყალიბოს ვიწრო მნიშვნელობით. ამ შემთხვევაშიც ამ ცნების შინაარსში ხშირად რთავენ საკმაოდ ფართო წრის საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებსაც ფაქტობრივად ნებისმიერი დანაშაული არღვევს. მაგალითად, ს. იაცენკოს აზრით, „საზოგადოებრივი წესრიგი, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 თავში მოცემულ დანაშაულთა ერთი ჯგუფის გვარეობითი ობიექტი, შედგება იმ სისხლისსამართლებრივი ნორმებით რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობისაგან, რომელთა მიზანია უზრუნველყოს ადამიანთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის, დასვენებისა და ყოფის მშვიდი პირობები, ასევე საზოგადოებრივი ზნეობის მოთხოვნათა და შრომის კონსტიტუციური მოვალეობის შესრულება“<sup>4</sup>.

ამ განმარტებაში ჩამოთვლილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ხელყოფს არა მარტო კოდექსის მე-10 თავში მოცემული, არამედ მთელი რიგი სხვა დანაშაულიც. ამ თავში მოცემულ დანაშაულთა ერთი ჯგუფის გვარეობითი ობიექტის კონკრეტულ და ზუსტ განმარტებას ვერც სხვა ავტორები გვაძლევენ<sup>5</sup>. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 თავი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი თავები შეიცავენ დანაშაულთა მრავალგვარ შემადგენლობებს, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათი უშუალო ობიექტის მიხედვით. საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჯგუფში გაერთიანებულია ისეთი არაერთგვაროვანი დანაშაულობანი, როგორიც არის ხულიგნობა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეტენა ან გასაღება, გარყვნილების ბუდის შენახვა და მაქანკლია, მოქალაქეთა პიროვნებისა და უფლებების ხელყოფა რელიგიური წესების შესრულების სახით, სისტემატური მაწანწალობა ან მათხოვრობა, არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სარეზერვო თავი იმ დანაშაულთა შემადგენლობებისათვის, რომელთა შეტანა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სხვა თავებში არ მოხერხდა უშუალო ობიექტის თავისებურებათა გამო. ამიტომ ამ დანაშაულთა საერთო ნიშნების პოვნა და გვარეობითი ობიექტის ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია. ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსში სწორედ ეს თავი საჭიროებს ყველაზე მეტ დაზუსტებას სისტემატიზაციის თვალსაზრისით<sup>6</sup>. ვფიქრობთ, რომ არც 236-ე მუხლის ადგილია სწორად შერჩეული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემაში.

ეს დანაშაული ხელყოფს მოზარდის პიროვნებას, მის ნორმალურ ზნეობრივ და სოციალურ განვითარებას. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დანაშაულის მთელ რიგ სხვა შემადგენლობებს, რომელთა მიზანია და-

<sup>4</sup> С. С. Яценко, Ответственность за преступления против общественного порядка, Киев, 1976, с. 39.

<sup>5</sup> იხ., მაგალითად, И. Н. Даньшин, Уголовно-правовая охрана общественного порядка, М., 1973, с. 143—144; Н. Т. Куц, Преступления против общественного порядка и общественной безопасности, Киев, 1974, с. 4; Курс советского уголовного права, т. 6, М., 1971, с. 306.

<sup>6</sup> სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში უკვე დაისვა საკითხი ამ თავის შემდგომი დახვეწის შესახებ. იხ. А. Н. Игнатов, Совершенствование особенной части УК РСФСР, «Советское государство и право», 1972, № 5, с. 95—96.

3. „საბჭოთა სამართალი“, № 6.

იცვას არასრულწლოვანთა ინტერესები დანაშაულებრივი ხელყოფისაგან (სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია, გარყვნილი ქმედობა არასრულწლოვანის მიმართ, ალიმენტის გადახდის ან შვილების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდება, არასრულწლოვანის დათრობა და ა. შ.). ვინაიდან ეს ქმედობანი ხელყოფენ არასრულწლოვანის პიროვნებას, ისინი ძირითადად შეტანილია პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 236<sup>1</sup> (არასრულწლოვანის დათრობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. ვფიქრობთ, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ეს მუხლებიც ამავე თავში შესულიყო.

უფრო სწორად კი მიგვაჩნია არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობები გაერთიანდეს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე თავში. ამით გამოიკვეთება არასრულწლოვანი, როგორც სისხლის-სამართლებრივი დაცვის ობიექტი, რაც ხაზს გაუსვამს ამ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას, ხელს შეუწყობს იმ სისხლისსამართლებრივი ნორმების შინაარსის უფრო ღრმად გარკვევას, რომლებიც იცავენ არასრულწლოვანთა ინტერესებს, უკეთესი შესაძლებლობები მოგვეცემა აღნიშნული ნორმების ლოგიკური და სისტემური განმარტებისათვის, დაცული იქნება აგრეთვე კოდიფიკაციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ერთგვაროვანი დანაშაული კოდექსის ერთ თავში უნდა იყოს შეტანილი.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსებში არასრულწლოვანთა ნორმალური ფიზიკური და ზნეობრივი განვითარების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მათ შორის ისეთი, როგორიც არის არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად, დაყოფილება ალკოპოლიანი სასმელების ხმარებასა და სხვა ამორალური მოქმედების ჩადენაზე. შეტანილია სპეციალურ თავში — დანაშაული ოჯახისა და ახალგაზრდობის წინააღმდეგ (გდრ-ის სსკ-ის IV, ჩეხოსლოვაკიის სსკ-ის V თავები)<sup>7</sup>.

3. განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია არასრულწლოვანის ნორმალური სოციალური განვითარება და ზნეობრივი აღზრდა. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმით დამნაშავე დამლუპველ ზემოქმედებას ახდენს მოზარდის პიროვნების ფორმირებაზე, ხელს უწყობს მის სულიერ დეგრადაციას. მართალია, 236-ე მუხლში ლაპარაკია მხოლოდ არასრულწლოვანზე, მაგრამ, ცხადია, კანონმდებელი ამ მუხლით იცავს მცირეწლოვანის ინტერესებსაც, რადგან არასრულწლოვანის ცნება მოიცავს მცირეწლოვანსაც, ე. ი. 14 წლის ასაკს მიუღწეველ პირსაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 236-ე მუხლით პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად საჭიროდ მიგვაჩნია მცირეწლოვანის ასაკობრივი განვითარება იმ დონეს მაინც აღწევდეს, რომ იგი უფროსის მითითებით ავტომატურად კი არ ასრულებდეს რაიმე მოქმედებას, არამედ ესმოდეს, რომ ეს მოქმედება აკრძალულია, მიუღებელია. სწორედ ასეთ შემთხვევებში ახდენს წაქეზება გამხრწნელ ზემოქმედებას მცირეწლოვანზე.

7 ანალოგიური თავები არსებობს პოლონეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსებში. ესენია (შესაბამისად): დანაშაული ოჯახის, მეურვეობისა და ახალგაზრდობის წინააღმდეგ; დანაშაული ქორწინების, ოჯახისა და ახალგაზრდობის წინააღმდეგ; დანაშაული ოჯახის, ახალგაზრდობისა და სქესობრივი მორალის წინააღმდეგ.

4. ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება აქტიური მოქმედებით არასრულწლოვანზე აქტიური ზემოქმედებით, რომელიც მიზნად ისახავს მის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩათრევას დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმად არ ჩაითვლება ის, რომ ასაკოვანი ხელს არ უშლის არასრულწლოვანს დანაშაულის ჩადენაში, თუმცა ასეთი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება საკმაოდ დიდია. მსგავს შემთხვევებში უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ განუცხადებლობისათვის პანუხისმგებლობით, თუ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილია ისეთი დანაშაული, რომლის განუცხადებლობა ისჯება სისხლის სამართლის კანონით.

დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის არ არის აუცილებელი არასრულწლოვანის რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ჩაბმა. საკმარისია არასრულწლოვანის წაქეზება თუნდაც ერთი დანაშაულის ჩასადენად.

იმ დანაშაულებრივი საქმიანობის ხასიათი, რომელშიც შეიძლება ჩააბან არასრულწლოვანი, სხვადასხვაგვარია. „ტერმინი „დანაშაულებრივი საქმიანობა“ ნახმარია კანონში არასრულწლოვანის დანაშაულში მონაწილეობის ფორმების მრავალგვარობის მნიშვნელობით (ამსრულებელი, თანამონაწილე, დამფარავი)“<sup>8</sup>. მან შეიძლება მონაწილეობა მიიღოს დანაშაულის მოსამზადებელ საქმიანობაში და ა. შ.

ჩაბმა უმეტესად ხდება წაქეზებით, ზოგჯერ კი დახმარებითაც. წამქეზებელი და დახმარებ პანუხს აგებს იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ჩასადენადაც წაქეზა ან ხელი შეუწყო არასრულწლოვანს და აგრეთვე 236-ე მუხლით. მაგალითად, თუ არასრულწლოვანი წაქეზეს ქურდობის ჩასადენად, წამქეზებელი პანუხს აგებს 19-150-ე და 236-ე მუხლებით, ხოლო თუ წაქეზებული მცირეწლოვანია, მაშინ — 150-ე (როგორც ქურდობის შუალობითი ამსრულებელი) და 236-ე მუხლებით.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა გვექნება მაშინაც, როცა ასაკოვანი კონკრეტულად განსაზღვრული ქმედობის ჩასადენად არ აქეზებს არასრულწლოვანს, მაგრამ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის მიზნით სისტემატურად ახდენს მასზე გამბრუნებელ ზემოქმედებას, ეწევა დანაშაულის ჩადენის პროპაგანდას, აღუძრავს ინტერესს დანაშაულებრივი საქმიანობისადმი და ა. შ. ასეთ შემთხვევაში პირის მოქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ 236-ე მუხლით, ვინაიდან წაქეზება გულისხმობს კონკრეტულად განსაზღვრული დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებას.

დანაშაულში ჩაბმა შეიძლება მოხდეს არა მარტო წაქეზებით, არამედ დახმარებითაც. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 3 დეკემბრის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში გულისხმობს ფიზიკური იძულების და ფსიქიკური ზემოქმედების ყველა სახეს. მაგალითად „...შეპირება, რომ შეიძენს ან გაასაღებს დატაცებულ ქონებას, რჩევა-დარიგების მიცემა დანაშაულის ჩადენის ადგილისა და ხერხების ან დანაშაულის კვლის დაფარვის შესახებ“<sup>9</sup>. დახმარება ყველა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ჩაბმად დანაშაულებრივ საქმიანობაში, თუ იგი მოხდა დანაშაულის ჩადენამდე.

<sup>8</sup> «Курс советского уголовного права», т. VI, М., 1971, с. 365.

<sup>9</sup> См.: Сборник постановлений пленума Верховного Суда СССР, 1924—1977, часть 2, М., 1981, с. 278.

არასრულწლოვანის ფსიქიკა არ არის მდგრადი. დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება მას შეიძლება დამოუკიდებლად ჰქონდეს მიღებული, მაგრამ ხშირად ეს გადაწყვეტილება სტიქიურია. არ არის სათანადოდ გაცნობიერებული უფროსის მიერ მოწონება, რჩევა-დარიგება ან დანაშაულის ჩადენის საშუალებათა მიცემა კი ფსიქიკურ ზემოქმედებას ახდენს არასრულწლოვანზე. განუმტკიცებს დანაშაულის ჩადენის განზრახვას. ამიტომ დამხმარეც უნდა ჩათვალოს განსახილველი დანაშაულის სუბიექტად.

5. სისწლისამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს განეკუთვნება<sup>10</sup>. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმისგან დამოუკიდებლად, მოახერხა თუ არა დამნაშავემ არასრულწლოვანის ჩათრევა დანაშაულში. საკმარისია მხოლოდ მოქმედების ჩადენა, რომელიც მიზნად ისახავს მოზარდის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმას.

არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის უშედეგო ცდა განხილულ უნდა იქნეს როგორც ამ დანაშაულის მცდელობა.<sup>11</sup> ამ შეხედულების მიმდევრები აღნიშნავენ, რომ „საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც მოცემული დანაშაულის ობიექტს შეადგენენ, მაშინ არის დარღვეული, როცა არასრულწლოვანზე უარყოფით ზემოქმედებას თავისი შედეგი მოჰყვება, როცა ის მორალურად გაიხრწნა“<sup>12</sup>.

ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ობიექტის დაზიანება ყოველთვის არ არის დანაშაულის დამთავრებულად ცნობის აუცილებელი პირობა. ზოგჯერ კანონმდებელი დამთავრებულ დანაშაულად მიიჩნევს მხოლოდ ქმედობას, იმისგან დამოუკიდებლად, გამოიწვია თუ არა მან მავნე შედეგი. ასეთი ქმედობანი „თავის იმანენტურ თვისებად იმთავითვე გულისხმობენ პირობების შექმნას სამართლით დაცული სიკეთის შესაძლო დაზიანებისათვის“<sup>13</sup>. დასჯადობის დაკავშირება მხოლოდ ქმედობის ჩადენასთან, ცხადია, უზრუნველყოფს ობიექტის უფრო ეფექტიან დაცვას.

ჩვენ მიერ განსახილველი დანაშაულიც დამთავრებულად ითვლება არასრულწლოვანის დანაშაულის ჩასადენად წაქეზების მომენტიდან. მაშინაც კი, როცა არასრულწლოვანს დანაშაული არ ჩაუდენია, წაქეზებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ზნეობრივ განვითარებაზე, შეცვალოს მოზარდის წარმოდგენა საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ნორმათა მოთხოვნებზე, ე. ი. ხელყოს ამ მუხლით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

უშედეგო წაქეზების დროს, სრულწლოვანი, 236-ე მუხლის გარდა, პასუხს აგებს აგრეთვე იმ დანაშაულის მომზადებისათვის, რომლის ჩასადენადაც აქე-

<sup>10</sup> См.: например, Проблемы борьбы с вовлечением несовершеннолетних в антиобщественное поведение, М., 1981, с. 8; А. А. Примаченок, Проблемы борьбы с преступностью несовершеннолетних, Минск, 1980, с. 192; Комментарий к Уголовному Кодексу РСФСР, М., 1980, с. 398; А. А. Расулев, Уголовно-правовая борьба с вовлечением несовершеннолетних в преступную деятельность. (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук), Ташкент, 1980, с. 11.

<sup>11</sup> «Курс советского уголовного права», т. VI, М., 1971, с. 364.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 365.

<sup>13</sup> მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბილისი, 1982, გვ. 3.

ზებდა არასრულწლოვანს ასეთი კვალიფიკაცია თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარეობს.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ ჩვენი კანონმდებლობა ცნობს თანამონაწილეობის აქცესორულ ხასიათს<sup>14</sup>. წამქეზებელი და დამხმარე მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან თანამონაწილეებად, როცა ამსრულებელმა განახორციელა დანაშაულებრივი ქმედობა. „თუ დანაშაული არ არსებობს, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არც მასში თანამონაწილეობას“<sup>15</sup>. „საბჭოთა კანონმდებლობა... ლაპარაკობს თანამონაწილეობაზე „დანაშაულში“, მაშასადამე, მხედველობაში აქვს, რომ თანამონაწილეობა მარტო მაშინ არსებობს, როდესაც ამსრულებელიც ბრალეულად მოქმედებს და როდესაც ამსრულებლის მიერ ნამდვილად არის ჩადენილი დანაშაული (დამთავრებული ან დაუმთავრებელი)“, — წერს თ. წერეთელი.<sup>16</sup>

აქცესორობის პრინციპის მიხედვით უშედეგო წაქეზება და დამხმარება არ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილეობად, ვინაიდან ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედობა არ არსებობს. ავტორთა უმრავლესობა ასეთ შემთხვევებს დანაშაულის მომზადებად მიიჩნევს, რადგან ეს მოქმედებანი, თავისთავად აღებულნი, წარმოადგენენ პირობების განზრახ შექმნას დანაშაულის ჩასადენად.

6. 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სრულწლოვანი პირი. ამ მოქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების საფუძველი ის არის, რომ პირი, რომელიც ითრევს არასრულწლოვანს დანაშაულებრივ საქმიანობაში, უხეშად არღვევს სოციალისტური მორალის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც მოზარდი თაობისათვის ზრუნვა ყოველი მოქალაქის მოვალეობაა. ეს მოვალეობა უპირველეს ყოვლისა სრულწლოვანებს აკისრიათ. ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის ზნეობრივი აღზრდის პრინციპების დარღვევისათვის მხოლოდ სრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს. არასრულწლოვანს, რომლის განვითარება ჯერ კიდევ არ დასრულებულა, შეუძლებელია სისხლის სამართლის წესით ვაგებინოთ პასუხი სხვისი აღზრდისა და განვითარების ინტერესების ხელყოფისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დაადგინა, რომ ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს 18 წლის ასაკიდან<sup>17</sup>. სასამართლო პრაქტიკა არსებითად სწორ გზას ადგას, მაგრამ ასეთი

<sup>14</sup> იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 71-74; თ. გამყრელიძე, დანაშაულის შეულობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბილისი, 1974, გვ. 3-23; М. И. Ковалев, соучастие в преступлении, ч. первая, «Ученые труды Свердловского юридического института», т. 3, Свердловск, 1960, с. 98-104.

<sup>15</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ აქცესორობის პრინციპს ზოგი კრიმინალისტი არ იზიარებს. იხ., მაგალითად, Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, с. 67-72; Советское уголовное право, Общая часть, М., 1981, с. 271.

<sup>16</sup> თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>18</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 3 დეკემბრის დადგენილება „სასამართლოების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის და მათი დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის საქმეებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“.

დასკვნა არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12) მუხლის თანახმად, პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება 16 წლის ასაკიდან, ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისათვის კი 14 წლის ასაკიდან. 236-ე მუხლში არაფერია ნათქვამი ამ დანაშაულის სუბიექტზე. ჩვენი აზრით, კანონი უნდა შეიცავდეს მითითებას სუბიექტის ასაკის შესახებ.

7. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსახილველი დანაშაული გულისხმობს არასრულწლოვანზე აქტიურ ზემოქმედებას. „არასრულწლოვანის ჩაბმად დანაშაულებრივ საქმიანობაში, ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოხსენებულ დადგენილებაში, უნდა ჩაითვალოს ისეთი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანის სურვილის, მისწრაფების აღძვრას მონაწილეობა მიიღოს ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში“<sup>18</sup>. აქედან გამომდინარეობს, რომ დანაშაულში ჩაბმა შეგნებული და მიზანდასახული მოქმედებაა და, მასასადამე, შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. გაუფრთხილებლობით მისი ჩადენა შეუძლებელია. ამიტომ, თუ პირის მოქმედება მიზნად არ ისახავდა მოზარდის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმას, მან თავისი მოქმედებით კიდევ რომ გამოიწვიოს ასეთი შედეგი, 236-ე მუხლით პასუხისმგებლობა არ დადგება. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ არსებობს, თუ უფროსი (მაგალითად, მშობელი) საერთოდ ამორალურ ზემოქმედებას ახდენდა არასრულწლოვანზე, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი დანაშაულის გზას დაადგა.

ცალკე განხილვის ღირსია არასრულწლოვანის ასაკისადმი დამნაშავეის ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 3 დეკემბრის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება როგორც იმ შემთხვევაში, როცა ასაკოვანს გაცნობიერებული აქვს დანაშაულში ჩათრეული არასრულწლოვანის ასაკი, ისე მაშინაც, როდესაც საქმის გარემოებათა მიხედვით მას შეეძლო და ვალდებულიც იყო გაეთვალისწინებინა ეს<sup>19</sup>. დაზარალებულის ასაკისადმი დამნაშავეის ფსიქიკური დამოკიდებულების თაობაზე ასეთივე მითითებას შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის დადგენილება „გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“<sup>20</sup>.

ამ დადგენილების შესახებ ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა. ვ. მაცაშვილი, იწუნებს რა პლენუმის პოზიციას ასაკისადმი დამოკიდებულების საკითხში, შენიშნავს, რომ სხვა დადგენილებებში პლენუმი მოითხოვს, რომ განზრახვით მოცული იყოს ყველა ნიშანი, რომლებიც დანაშაულის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის. მაგალითად, პლენუმმა აღნიშნა, რომ გაძლიერებული პასუხისმგებლობა განსაკუთრებული სისასტიკით ან მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით ჩადენილი მკვლელობისათვის შესაძლებელია მხოლოდ

<sup>18</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР, 1924—1977 гг., ч. 2, М., 1981, с. 278.

<sup>19</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР, 1924—1977 гг., ч. 2, М., 1981, с. 278.

<sup>20</sup> Сб. пост. Плен. ВС СССР, 1924—1977 гг., ч. 2, М., 1981, с. 181.



იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს შეგნებული ჰქონდა, რომ ის სჩადის მკვლელობას განსაკუთრებული სისასტიკით ან მრავალ პირთა სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით<sup>21</sup>.

პლენუმის პოზიციის საწინააღმდეგოდ ასევე საინტერესო არგუმენტი მოჰყავს მ. უგრეხელიძეს, რომლის აზრით, „არასრულწლოვანება, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება, საერთოდ არ უნდა შეერაცხოს დამნაშავეს, თუ ის განზრახვით არ იყო მოცული“<sup>22</sup>. ამ აზრს მ. უგრეხელიძე შემდეგნაირად ასაბუთებს: „დანაშაულებრივი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების აქტუალური შეგნება განზრახვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს... მაგრამ იმისათვის, რომ დამნაშავემ შეიგნოს თავისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მას შეგნებული ჰქონდეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც „ძირითად შემადგენლობაში“ აფუძნებენ საზოგადოებრივ საშიშროებას, ხოლო „კვალიფიცირ შემადგენლობაში“ კი ამალღებენ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. დამნაშავეს არ შეუძლია შეიგნოს დანაშაულის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება, თუ მან დანამდვილებით არ იცის, რომ ძალადობას მიმართავს სწორედ არასრულწლოვანის წინააღმდეგ“<sup>23</sup>.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი ასაკისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების შესახებ დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმის დროს. ამ შემთხვევაშიც სწორედ წაქეზებული პირის არასრულწლოვანება განაპირობებს ქმედობის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებასა და მის დანაშაულებრივ ხასიათს. ამიტომ იმისათვის, რომ დამნაშავემ შეიგნოს მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, რაც განზრახი ბრალის აუცილებელი მოთხოვნაა, მან ჯერ უნდა იცოდეს, რომ დანაშაულებრივ საქმიანობაში აბამს სწორედ არასრულწლოვანს.

არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში პირდაპირ არის მითითებული, რომ დამნაშავესათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი დაზარალებულის ასაკი. მაგალითად 16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირისა და გარყვნილი ქმედობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავესათვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ დაზარალებული არ არის მიღწეული 16 წლის ასაკს. ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი არასრულწლოვანის ასაკისადმი დამნაშავეს ფსიქიკური დამოკიდებულების შესახებ არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთა შემთხვევებშიც. ამგვარად, განსახილველი დანაშაულის ჩადენის დროს პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისაცემად საჭიროა მან იცოდეს, რომ თავისი მოქმედებით დანაშაულებრივ საქმიანობაში აბამს სწორედ არასრულწლოვანს.

<sup>21</sup> В. Г. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве, «Мацне» (Орган отделения общественных наук АН ГССР), 1966, № 6, с. 79.

<sup>22</sup> იხ. М. Г. Угрехелидзе, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тбилиси, 1976, с. 93—94.

<sup>23</sup> იქვე, 83-93.

## ავტომანქანის გატაცების კროფილაქტიკის საკითხისათვის

ა. გალოვანი

სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სსრ კავშირში სწრაფად ვითარდება ყველა სახეობის ტრანსპორტი. ცხადია, ჩვენს რესპუბლიკაშიც ტრანსპორტის, კერძოდ, ავტოტრანსპორტის გამოყენება დღითი დღე იზრდება.

რესპუბლიკის ავტობარკში დღეისათვის 492 ათასი ერთეულია. აქედან 136 ათასი ავტოსატრანსპორტო საშუალება სახელმწიფოს ეკუთვნის, ხოლო 356 ათასი ავტომანქანა მოქალაქეებს აქვთ პირად სარგებლობაში. ყოველწლიურად სახელმწიფო ავტობარკი დაახლოებით 5 ათასი ერთეულით მატულობს, ხოლო პირადი სარგებლობისა 24-25 ათასით<sup>1</sup>.

ტრანსპორტის რაოდენობრივი ზრდა, მისი ტექნიკური სრულყოფა სულ უფრო ართულებს ავტომობილების ექსპლოატაციის პრობლემას. ავტომანქანა მომეტებული საფრთხის წყაროა და, ცხადია, მის არასწორ, მით. უმეტეს და-ნაშაულებრივ ექსპლოატაციას თან სდევს მძიმე შედეგები, დიდი მატერიალური და მორალური ზიანი, მსხვერპლი.

დანაშაულის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც სატრანსპორტო საშუალებათა უკონტროლო სარგებლობის ვითარებას ქმნის, არის ავტოტრანსპორტის გატაცება დროებით სარგებლობის მიზნით. ამ დანაშაულის გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება იმით არის განპირობებული, რომ ავტომანქანის გატაცება დიდ მორალურ ტრავმას აყენებს მის მფლობელს და არცთუ იშვიათად ავტოავარიით მთავრდება, რაც თავისთავად იწვევს მსხვერპლს და მატერიალურ ზარალს. ავტომანქანის გატაცება ხშირად ქურდობაში გადაიზრდება, ზოგჯერ დამნაშავე მას იყენებს სხვა დანაშაულის ჩასადენად.

1961 წლამდე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი არ აწესებდა პასუხისმგებლობას ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის. სასამართლოები იძულებული იყვნენ ანალოგიით შეეფარდებინათ ზულიგნობის მუხლი და ამით დაუსაბუთებლად აფართოებდნენ ზულიგნობის ცნებას.

1961 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა 243-ე მუხლით დააწესა პასუხისმგებლობა დროებით გამოყენების მიზნით ავტომანქანის გატაცებისათვის. ეს მუხლი ერთნაწილიანი იყო და სასჯელად ითვალისწინებდა გამასწორებელ სამუშაოებს, ერთ წლამდე ვადით ან ას მანეთამდე ჯარიმას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებით „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“<sup>2</sup>. ამ მუხლს დაემატა მეორე

<sup>1</sup> «Молодежь Грузии», 11 сентября 1984 г.

<sup>2</sup> იხ. «საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები», 1966, № 2, მუხ. 15.

ნაწილი, რომლითაც განმეორებით გატაცება ჩაითვალა გატაცების კვალიფიციურ სახედ და სასჯელად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით.

ეს ცვლილება ამ დანაშაულთან ბრძოლაში ეფექტიანი არ აღმოჩნდა, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებდა ისეთ მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, როგორც არის დანაშაულის ჩადენა სიმთვრალეში, იმ პირის მიერ, რომელსაც არ ჰქონდა მართვის მოწმობა, პირთა ჯგუფის მიერ, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ან ძალადობით და სხვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 18 აპრილის ბრძანებულებით „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“<sup>3</sup> მიღებულ იქნა 243-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომლის წყალობითაც ნორმა უფრო დახვეწილი და მოქნილი გახდა. მას დაემატა მაკვალიფიცირებელი ნიშნები, გაიზარდა სასჯელიც. ეს მუხლი საბოლოოდ შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება დროებით გამოყენების მიზნით;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან საზოგადოებრივი გაიციხვით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ანდა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ან ჩადენილი სიმთვრალეში, ან პირის მიერ, რომელსაც მართვის უფლება არ აქვს, ანდა დაკავშირებული ძალადობასთან, რომელიც საშიში არაა დაზარალებულის სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება, რაც დაკავშირებულია დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე“<sup>4</sup>.

ახალმა კანონმა დადებითი როლი შეასრულა ავტომანქანების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დანაშაულის რაოდენობა წლითიწლობით კლებულობს. მიუხედავად ამისა, ავტომანქანების გატაცების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისა და პროფილაქტიკის გზების ძიება კვლავ აქტუალურ ამოცანად რჩება.

ამ პრობლემის გადაწყვეტისა და საჭირო რეკომენდაციის შესამუშავებლად შესწავლილ და განზოგადოებულ იქნა 1980-1984 წლებში თბილისის სასამართლოებში განხილული ხსენებული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები.

თავის დროზე ასეთივე სამუშაო შეასრულეს ვ. ხომიჩმა ბელორუსიის სს

<sup>3</sup> იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1979, № 4, მუხ. 79.

<sup>4</sup> „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი“, მუხ. 243, გვ. 154-55.



რესპუბლიკის მაგალითზე და ე. ვგოროვმა რსფს რესპუბლიკის რამდენიმე ოლქის მაგალითზე<sup>5</sup>.

შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გატაცებული ავტომანქანების საერთო რაოდენობიდან „ეიფულის“ მარკის ავტომანქანები შეადგენს 51 პროცენტს, ავტომანქანა „ვოლგა“ — 19 პროცენტს, „მოსკვიჩი“ — 13 პროცენტს, „ზაპოროჟეცი“ — 4 პროცენტს, სატვირთო — 10 პროცენტს, სატვირთო-სამგზავრო — 3 პროცენტს.

გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან 29 პროცენტი სახელმწიფო ავტომანქანებია, ხოლო 71 პროცენტი — პირადი სარგებლობის ავტომანქანები.

ავტომანქანების გატაცება თვეების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: იანვარი — 12 პროცენტი, თებერვალი — 7 პროცენტი, მარტი — 19 პროცენტი, აპრილი — 9 პროცენტი, მაისი — 13 პროცენტი, ივნისი — 10 პროცენტი, ივლისი — 4 პროცენტი, აგვისტო — 2 პროცენტი, სექტემბერი — 5 პროცენტი, ოქტომბერი — 7 პროცენტი, ნოემბერი — 6 პროცენტი, დეკემბერი — 7 პროცენტი.

ამგვარად, გაზაფხულის პერიოდში (მარტი, აპრილი, მაისი) ავტომანქანების გატაცებათა ხვედრითი წილი ძალზე დიდია — 41 პროცენტი. ამიტომ მიზანშეწონილია, თუ ადმინისტრაციული ორგანოები სწვადასხვა პროფილაქტიკურ ღონისძიებას (რეიდებს, ერთვიურებს და სხვა) ძირითადად ამ პერიოდს დაამთხვევენ.

ავტომანქანების 90 პროცენტი გატაცებულია სამუშაო დღეებში. ეს ადვილად ასახსნელია, რადგან ამ დღეებში სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა ქალაქში გაცილებით მეტია, ვიდრე შაბათსა და კვირას.

რსფს რესპუბლიკაში წარმოებული გამოკვლევებითაც დასვენებისა და საღესასწაულო დღეებში გატაცებულ მანქანათა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია და შეადგენს მხოლოდ 8,5 პროცენტს<sup>6</sup>.

ავტომანქანების 24 პროცენტი გატაცებულია საცხოვრებელი სახლის ეზოდან. 8 პროცენტი სამსახურის ავტოსადგომიდან, 2 პროცენტი გარაჟიდან, ხოლო 66 პროცენტი ქუჩიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გატაცებული მანქანების 29 პროცენტი უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ე. ი. არ იყო დაკეტული, მათ შორის 6 პროცენტი გატაცებული იყო იმის წყალობით, რომ გასაღები ავტომანქანებში იყო ჩატოვებული. ავტომანქანების გატაცების თავიდან ასაცილებლად მათმა მფლობელებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ავტომობილს, დაკეტონ, თუ შესაძლებელია დააყენონ სამსახურებრივ ან ფასიან ავტოსადგომებზე, გარაჟებში და სხვ.

როგორც ითქვა, გატაცებული მანქანების 29 პროცენტი უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ე. ი. დარღვეული იყო საგზაო მოძრაობის წესების 98-ე მუხლი. მიუხედავად ამისა, არც ერთ შემთხვევაში, არც საგამოძიებო, არც სამართლო ორგანოებს არ მოუხდენიათ ამ ფაქტზე სათანადო რეაგირება, მა-

<sup>5</sup> Егоров В. И. Ответственность за угон автотранспортных средств по советскому уголовному праву. Автореферат, М., 1978, с. 13; Хомич В. М. Уголовная ответственность за угон транспортных средств, Минск, 1982, с. 47.

<sup>6</sup> ე. ი. ვგოროვი, მითითებული ნაშრომი, გვ. 13.

შინ როდესაც ასეთ ვითარებაში გატაცებული ავტომანქანის მძღოლმა ადმინისტრაციული წესით მაინც უნდა აგოს პასუხი. თუკი ასეთ ვითარებაში გატაცებას მიძიმე შედეგი მოჰყვა, შეიძლება დადგეს ავტომანქანის მფლობელის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც.

დღე-ღამის განმავლობაში ავტომანქანების გატაცება სხვადასხვა სიხშირით ხდება. 9-დან 17 საათამდე გატაცებული მანქანების საერთო რიცხვი შეადგენს 10 პროცენტს, 17-24 საათამდე 61 პროცენტს, 24-9 საათამდე 29 პროცენტს.

განსაკუთრებით დიდია გატაცებათა რაოდენობა 17-19 საათამდე და 21-01 საათამდე. პირველი პერიოდი ემთხვევა სამუშაოს დამთავრებას, მეორე კი გვიანი საღამოს საათებს. ეს მონაცემები გათვალისწინებული უნდა იქნეს პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების დროს. მეტი ყურადღება სწორედ ამ მონაკვეთებს უნდა მიექცეს. ამ დროისათვის უფრო მობილიზებული უნდა იყვნენ სისხლის სამართლის სამსახურისა და სახელმწიფო ავტონისპექციის ორგანოები.

რსფს რესპუბლიკის მაგალითზე წარმოებულ გამოკვლევებშიც მსგავსი შედეგებია მიღებული. 17-02 საათამდე გატაცებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა 77.7 პროცენტს შეადგენს.<sup>7</sup>

სახელმწიფო ავტონისპექციის ორგანოები ავტომანქანის ტექნიკური შემოწმების დროს დიდ ყურადღებას აქცევენ, აქვს თუ არა მანქანას სპეციალური სასიგნალო მოწყობილობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გატაცებული მანქანების 95 პროცენტს არ ჰქონდა დაყენებული სასიგნალო მოწყობილობა.

ავტომანქანების 78 პროცენტი გატაცებულია წინასწარი განზრახვით, ხოლო 22 პროცენტი უეცრად აღძრული განზრახვის შედეგად.

პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ უეცრად აღძრული განზრახვით ავტომანქანების გატაცებას, არის დამნაშავეის სიმთვრალე, მძღოლების უყურადღებობა, მანქანების უადგილო ადგილას გაჩერება. აღსანიშნავია, რომ არც ერთი მანქანა, რომელიც უეცრად აღძრული განზრახვით იყო გატაცებული, დაკეტილი არ იყო.

ბრალდებულები დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა მოტივს ასახელებენ, მათ შორის: 85 პროცენტი — გასეირნებას, 12 პროცენტი დანიშნულების ადგილზე მისწრებას და სხვა. ბელორუსიის სს რესპუბლიკის მაგალითზე წარმოებულ გამოკვლევებში გასეირნების მოტივით გატაცებულია მანქანების 58 პროცენტი<sup>8</sup>.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ დამნაშავეთა უმრავლესობა დანაშაულის მოტივად გასეირნებას ასახელებს და ჰკონია, რომ ეს მოტივი ამსუბუქებს პასუხისმგებლობას ან საერთოდ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან. ამიტომ სავარაუდოა, რომ სინამდვილეში დამნაშავეს ხშირად სულაც არ ამოძრავებდა გასეირნების მოტივი.

ავტომანქანის გატაცება წმინდა მამაკაცურ დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება. მსჯავრდადებულთა შორის მხოლოდ ერთია ქალი.

განათლების მიხედვით: საშუალო განათლება აქვს მსჯავრდადებულთა 67,5 პროცენტს, არასრული საშუალო 23,8 პროცენტს, არა სრული უმაღლესი

<sup>7</sup> ვ. ი. ეგოროვი, მითითებული ნაშრომი, გვ. 13.

<sup>8</sup> ვ. ი. ეგოროვი, მითითებული ნაშრომი, გვ. 16.

განათლება 6,7 პროცენტს, უმაღლესი 3,3 პროცენტს:

ავტომანქანათა გატაცება ახალგაზრდული დანაშაულია: 16-18 წლის ასაკმდე დანაშაული ჩაიდინა მსჯავრდადებულთა 15,8 პროცენტმა, 18-25 წლამდე — 59,2 პროცენტმა, 25-35 წლამდე — 23,3 პროცენტმა, 35 წელზე მეტი ხნისამ — 1,7 პროცენტმა. პასუხისმგებაში მიცემულ პირთა საშუალო ასაკი 22,7 წელია, ხოლო რსფს რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი 20,9 წელს შეადგენს<sup>9</sup>.

მსჯავრდადებულთა შორის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმული იყო 71,7 პროცენტი, მათ შორის მოსწავლეა 6,7 პროცენტი, სტუდენტი — 5 პროცენტი, მუშა — 32,5 პროცენტი, მოსამსახურე — 13,3 პროცენტი, პროფესიონალი მძღოლი — 4,2 პროცენტი.

დანაშაულის მომენტისათვის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწეოდა 28,3 პროცენტი. ამ მონაცემების გათვალისწინებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ პირებს, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას.

მსჯავრდადებულთა შორის 72,9 პროცენტი უპარტიოა, 43,3 პროცენტი ცოლშვილიანია, ხოლო 56 პროცენტი უცოლშვილო.

სიმთვრალე და ლოთობა თავისთავად საზოგადოებრივად საშიში მოვლენაა. ამიტომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-12 პუნქტით სასჯელის განსაზღვრის დროს პაუზიმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება „დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც მთვრალი იყო ან ნაკრთიკული ნივთიერების ზემოქმედებას განიცდიდა“.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ძალიან ხშირად სიმთვრალე ავტომანქანის გატაცების მიზეზად გვევლინება. ამ დანაშაულის ჩადენის მომენტში 78,3 პროცენტი მთვრალი იყო. რსფს რესპუბლიკის მაგალითზე ეს მაჩვენებელი შეადგენს 70 პროცენტს<sup>10</sup>. ხშირად გამოძიება არ ადგენს სიმთვრალის ფაქტს, თორემ ეს პროცენტი შეიძლება უფრო მაღალიც იყოს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლს მხედველობაში აქვს ალკოჰოლურ სიმთვრალესთან ერთად სხვა ნარკოტიკული ნივთიერებებით მოწამელის შედეგად ჩადენილი დანაშაული, რადგან ალკოჰოლი ნარკოტიკების ნაირსახეობაა და იურიდიული მნიშვნელობით სხვა ნარკოტიკული ნივთიერებებით მოწამვლა ალკოჰოლურ თრობას უთანაბრდება.<sup>11</sup>

ვინაიდან ორგანიზმში ალკოჰოლის გამოსავლინებლად დანიშნული ექსპერტიზის ჩატარების წესი განსხვავდება სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების გამოვლინებისაგან, აუცილებელია მილიციის ორგანოებმა, საჭიროების შემთხვევაში, ჩაატარონ ორივე სახის ექსპერტიზა.

როგორც ზემოთ ითქვა, ავტომანქანა წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს და მისი მართვისათვის საჭიროა სახელმწიფო ავტონისპექციის მიერ გაცემული მართვის უფლება. ასეთი უფლება საერთოდ არ ჰქონდა მსჯავრდადებულთა 72 პროცენტს, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში ჩატარებულ ანალოგიურ გამოკვლევებში ეს მაჩვენებელი 75 პროცენტს აღწევს<sup>12</sup>.

<sup>9</sup> ვ. ი. ეგოროვი, მითითებული ნაშრომი, გვ. 16.

<sup>10</sup> ვ. ი. ეგოროვი, მითითებული ნაშრომი, გვ. 14.

<sup>11</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 96.

<sup>12</sup> ვ. მ. ხომიჩი, მითითებული ნაშრომი, გვ. 44.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს დანაშაული ჩადენილი ძალადობის გამოყენებით, რაც სატრანსპორტო საშუალების დაუფლების ერთერთი ხერხია. შესწავლილი საქმეების მასალებიდან ჩანს, რომ დამნაშავეთა 7 პროცენტმა ავტომანქანის დასაუფლებლად მიმართა ძალადობას. ყველა შემთხვევაში ნახმარი იყო ცივი იარაღი — დანა.

ნასამართლევი იყო და სხვადასხვა დანაშაულისათვის სასჯელს იხდიდა მსჯავრდადებულთა 35 პროცენტი.

ავტომანქანის გატაცების სპეციფიკურ ნიშნად გვევლინება მათი განმეორებით ჩადენა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამის ძირითადი მიზეზია: სუსტი კონტროლი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებული პირებისადმი, აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონე იმ პირთა მიმართ, რომლებსაც შეეფარდათ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები, დანაშაულის გახსნის დაბალი პროცენტი და სხვა.

მსჯავრდადებულთა შორის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა 91,7 პროცენტს, ადგილობრივი მაცხოვრებელია 90 პროცენტი, ჩამოსული — 10 პროცენტი.

მსჯავრდადებულთა უმრავლესობამ, 90 პროცენტმა, გამოძიების დროს აღიარა დანაშაული.

თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა დამნაშავეთა 99,2 პროცენტს, შრომაგასწორებითი მუშაობა — 0,8 პროცენტს.

საკასაციო წესით გასაჩივრდა გამოტანილი განაჩენების 27 პროცენტი და მხოლოდ ერთში იქნა შეტანილი ცვლილება.

სისხლის სამართლის საქმეებში ხშირად არ არის დადგენილი დანაშაულის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სასჯელის განსაზღვრაზე.

სასამართლოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, გამოძიების მიერ საქმეთა 45 პროცენტზე გამოტანილია კერძო განჩინება, შესწავლილი საქმეებიდან გამოძიებელი ან მოსამართლე არც ერთხელ არ გამოსულა რადიოთი, ტელევიზიით. პრესაში. სასამართლოში განხილულ საქმეთა მხოლოდ 22 პროცენტზეა გამოტანილი კერძო განჩინება, ხოლო გამსვლელ სესია გაიმართა მხოლოდ ერთხელ.

ცუდად არის ორგანიზებული საზოგადოებრიობის მონაწილეობა საქმის სასამართლოში განხილვის დროს. საზოგადოებრივი დამცველი და საზოგადოებრივი ბრალმდებელი მონაწილეობდა საქმეთა მხოლოდ 5 პროცენტზე.

ავტომანქანათა გატაცების წინააღმდეგ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. უამისოდ შეუძლებელია ამ დანაშაულის შემცირება და თავიდან აცილება.

## ხულიგნობა და მასთან ბრძოლა

რ. ვილიგაზიანი,

საქართველოს სსრ პროკურატურის საგანგებო სამმართველოს უფროსის მოადგილე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულებამ „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, რომელშიც შემდეგ, 1981 წლის 5 ივნისის ბრძანებულებით ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი, აგრეთვე მის შესაბამისად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებულმა სი-  
აზღვებმა უზრუნველყო ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გამწვავდა ბრძოლა ისეთი ანტისაზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ, როგორც არის ხულიგნო-  
ბა. ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგ მკვეთრად შემცირდა რესპუბლი-  
კაში ხულიგნობის შემთხვევები.

მიუხედავად ამისა, ხულიგნობა ჩვენში კვლავ რჩება გავრცელებულ და-  
ნაშაულად. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ რესპუბლიკის  
სამართალდაცვითი ორგანოები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ათვისებენ ამ დანა-  
შაულის საზოგადოებრივ საშიშროებას და მთლიანად არ ასრულებენ პრაქტი-  
კაში კანონის მითითებებსა და მოთხოვნებს.

რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო,  
რომ სამართალდაცვითი ორგანოების ზოგიერთი მუშაკი კარგად არ იცნობს  
მოქმედ კანონმდებლობას ხულიგნობის შესახებ და სრულყოფილად არ ასრუ-  
ლებს კანონით დაკისრებულ მოვალეობას.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის სამართალდაცვითს ორგანოებში  
ამ კატეგორიის საქმეთა გამოჩიებისა და სასამართლოში განხილვის დროს უხე-  
შად ირღვევა საპროცესო კანონმდებლობით დაწესებული ვადები, რის გამოც  
ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მოკლებულია ეფექტიანობას. მთელი რიგი  
ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოები  
მთლიანად უგულებელყობენ ხულიგნობის საქმეთა წარმოების იმ ნორმას (საქა-  
რთველოს სსრ სსსკ 401-ე მუხლი), რომელიც ყველაზე ოპერატიულად უზრუნ-  
ველყოფს მარტივი ხულიგნობის მასალების მოკვლევის დამთავრებას (საქართვე-  
ლოს სსრ სსკ 228-ე მუხლის I ნაწილი).

საქართველოს სსრ სსსკ 401-ე მუხლით მარტივი ხულიგნობის საქმეთა  
მოკვლევა უნდა მოხდეს საქმის აღუძვრელად ამისათვის დგება ოქმი, რომელ-  
საც დაერთვის ყველა მასალა და პროკურორის მიერ სანქციონირებული ეს  
ოქმი მასალებთან ერთად განსახილველად უნდა გადაეგზავნოს სახალხო სასა-  
მართლოს.

უდავოა, რომ მარტივი ხულიგნობის მასალების სასამართლოში გაგ-  
ზავნა გაამწვავებს და უფრო ეფექტიანს გახდის ამ დანაშაულის წინააღმდეგ  
ბრძოლას. ამიტომ საჭიროა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებმა უფრო  
წმინდად გამოიყენონ პრაქტიკაში კანონის ეს ნორმა.



საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის I და II ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით აღძრულ საქმეებზე, რომლებიც საქართველოს სსრ სსკ 402-ე მუხლის შესაბამისად უნდა დამთავრდეს მოკვლევით, ფაქტიურად ტარდება წინასწარი გამოძიება, რაც სწორი არ არის. წინასწარი გამოძიება ამ საქმეებზე მხოლოდ მაშინ უნდა ჩატარდეს, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევენ პროკურორი ან სასამართლო, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვანის ან იმ პირთა მიერ, რომლებსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი დაცვის უფლება (საქართველოს სსრ სსკ 126-ე, 211-ე მუხლები).

შემოწმებით გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეთა მოკვლევას აწარმოებენ არა შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლები, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს სსრ სსკ 402-ე მუხლი, არამედ მომკვლევები და უბნის ინსპექტორებიც კი, რაც სრულიად დაუშვებელია.

გაუმართლებლად ირღვევა საგამოძიებო და საპატიმრო ვადები. მათ შორის ისეთ საქმეებზეც, რომლებიც თავისი ხასიათით მოკვლევისა და გამოძიებისათვის არ წარმოადგენენ რაიმე სირთულეს.

ქ. მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილებაში გამოძიებით დამთავრებული ხულიგნობის ათი საქმიდან ხუთი დამთავრდა ვადის დარღვევით.

ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ქალაქების რუსთავისა და გორის, აგრეთვე წალენჯიხის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების საგამოძიებო ქვედანაყოფებში.

ხშირად ხულიგნობის საქმეთა მოკვლევა და გამოძიება უნარისხოდ ტარდება. მოკვლევის და გამოძიების ორგანოები არ ასრულებენ „ხულიგნობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 16 ოქტომბრის № 9 დადგენილების მე-15 და მე-16 პუნქტების მოთხოვნებს, საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით დანაშაულის დაკვალიფიცირების დროს პირის პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში და საბრალდებო დასკვნაში არ უთითებენ სახელდობრ რომელი ნიშნით არის მიჩნეული მისი ქმედობა—ბოროტ თუ განსაკუთრებით თავხედურ ხულიგნობად. ხშირად მოკვლევისა და გამოძიების მიერ დაშვებულ შეცდომებს იმეორებენ სასამართლოებიც, რაც განაჩენის გაუქმების და საქმის გაჭიანურების საფუძველი ხდება.

1984 წლის 8 თვეში აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულია ხულიგნობის ხუთი საქმე, აჭარის ასს რესპუბლიკაში ერთი. ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის პროკურორმა არ დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა ი. ხეცურიანის ბრალდების საქმეზე, მაგრამ ეს არ იქნა ნაჩვენები სტატისტიკურ ანგარიშში. ასევე არ უჩვენა სტატისტიკურ ანგარიშში ქ. ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიონის პროკურორმა სასამართლოს მიერ დამატებით გამოძიებაში დაბრუნებული ხულიგნობის საქმე თ. ჯამბურეას მიმართ.

ხულიგნობის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას ხელს უშლის ამ კატეგორიის საქმეთა დიდი დაგვიანებით და უსაფუძვლოდ აღძვრა, შეწყვეტა შეჩერება, გაჭიანურება და ხულიგნობის ჩადენის ფაქტების მიჩქმალვის შემთხვევები.

შემოწმებისას გამოირკვა, რომ უსაფუძვლოდ იყო აღძრული სისხლის სა-

მართლის საქმეები ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მ. წაქაძის მიმართ საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის II ნაწილით და თ. სადიკოვის მიმართ საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის I ნაწილით.

ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა გ. ზვიადაძემ 1984 წლის 5 იანვარს აღძრა სისხლის სამართლის საქმე მ. წაქაძის მიმართ სსკ 228-ე მუხლის II ნაწილით, ხოლო 7 იანვარს იგი წინასწარ პატიმრობაში აიყვანა. 16 იანვარს გამომძიებელმა გ. ზვიადაძემ ქ. ქუთაისის პროკურატურის მითითებით გამოიტანა დადგენილება ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ. მ. წაქაძე მიცემული იქნა პასუხისგებაში სსკ 228-ე მუხლის I ნაწილით და განთავისუფლდა პატიმრობიდან. ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლის დადგენილებიდან ჩანს, რომ მ. წაქაძის პასუხისგებაში მიცემისა და პატიმრობაში აყვანის მომენტისათვის არ იყო გარკვეული მის მიერ ჩადენილი დანაშაული და საქმე სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით უსწოროდ იყო აღძრული. მ. წაქაძეს სახალხო სასამართლოს განაჩენით შეეფარდა ერთი წლით გამსწორებელი სამუშაო გამომუშავებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 20 პროცენტის დაკავებით.

1984 წლის 3 ივნისს იმავე განყოფილების გამომძიებელმა ლ. ყურაშვილმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე თ. სადიკოვის მიმართ საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამომძიებელმა, რომელიც ოპერატიულ მუშაკებთან ერთად გავიდა შემთხვევის ადგილზე, არ გაარკვია, ნამდვილად ჩაიდინა თუ არა თ. სადიკოვმა ხულიგნობა, არ ჩამოართვა ახსნა-განმრტებები შემთხვევის მნახველ მოწმეებს და საქმე აღძრა მხოლოდ მიღებული შეტყობინების საფუძველზე. 1984 წლის 3-4 ივნისს საქმის გამო დაიკითხა ორი მოწმე და ეჭვმიტანილი თ. სადიკოვი, 23 ივნისს კი საქმის გამოძიება თ. სადიკოვის ავადმყოფობის მოტივით უსაფუძვლოდ შეჩერდა. 1984 წლის 6 სექტემბერს მომკვლევმა ქვარაიამ თ. სადიკოვის ბრალდების საქმე წარმოებით შეწყვიტა საქართველოს სსრ სსკ მე-5 მუხლის მეორე პუნქტით. ამდენად საქმე უსაფუძვლოდ იყო აღძრული და გაჭიანურებული.

ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამომძიებელმა ლ. ყურაშვილმა 1984 წლის 10 მაისს საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის II ნაწილით აღძრა სისხლის სამართლის საქმე ბ. გაბიძაშვილის მიმართ. საქმე აღძრა თერთმეტი დღის დაგვიანებით. 1984 წლის 10 ივლისს გამომძიებელმა საქმის გამოძიება შეაჩერა მ. გაბიძაშვილის ავადმყოფობის მოტივით, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი საექიმო კომისიამ პრაქტიკულად ჯანმრთელად ცნო. 1984 წლის 7 სექტემბერს სხვა გამომძიებელმა ხომასტრიძემ განაახლა ბ. გაბიძაშვილის საქმის გამოძიება და მისი მოქმედება 11 სექტემბერს დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის I ნაწილით. საქართველოს სსრ სსკ 9<sup>1</sup> მუხლით ბ. გაბიძაშვილი აღსაზრდელად გადაეცა შრომით კოლექტივს — ქ. ქუთაისის ტროლეიბუსების სამმართველოს, სადაც იგი მძლოლად მუშაობდა.

ეს მაგალითები მოწმობს, თუ რა დაბალ დონეზე წარმოებს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ქ. ქუთაისის ლენინის რაიონში.

უსაფუძვლოდ შეწყვიტეს საქმეები ხულიგნობის თაობაზე წულუკიძის რაიონში პ. ონიანის და ა. კოვალიოვის მიმართ, ქ. გორში ნ. გურიელაშვილის მიმართ და სხვ.

უკანონოდ იქნა შეჩერებული ხელიგნობის საქმეები ქ. თბილისის გლდანის და ქ. ქუთაისის ლენინის რაიონებში ვ. ვერულაშვილის და სხვათა მიმართ, რომლებმაც გალუსტიანის ოჯახის მიმართ ჩაიდინეს ხელიგნობა.

რესპუბლიკის ბევრ რაიონში ხელიგნობის შემცირება გარკვეულწილად აიხსნება ამ დანაშაულთან ბრძოლის შესუსტებით ან ხელიგნობის ფაქტების მიჩქმალვით.

მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად, ამ დანაშაულობათა რეგისტრაციისა და მოკვლევის პროცესში უხეშად ირღვევა კანონი. ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებებში კვლავ ეხდებით ხელიგნობის მიჩქმალვის ფაქტებს, სისხლის სამართლის წესით დასჯად ხელიგნობას აკვალიფიცირებენ წვრილმანად, ან კერძო ბრალდების საქმედ. არის აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის დადგენილების უსწოროდ გამოტანის შემთხვევები.

მაგალითად, ქ. რუსთავის პროკურორმა წვრილმანი ხელიგნობის მასალების შემოწმების დროს დაადგინა, რომ რუსთავის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მუშაკებს მიჩქმალული ჰქონდათ ხელიგნობის ორი ფაქტი, კერძოდ, ტ. მოსაშვილის და ზ. კურტანიძის მიმართ. ორივეს მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. დადგენილების არ აღძვრის გამოტანის გზით ბოროტი ხელიგნობის ფაქტის მიჩქმალვას ადგილი ჰქონდა თელავის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში.

არაოპერატიულობისა და საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების გამო ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში არის ე. წ. „გაუხსნელი“ ხელიგნობის საქმეები. გაუხსნელია ამ კატეგორიის საქმეები ქ. თბილისის გლდანის რაიონში, სიღნაღის და მახარაძის რაიონებში.

საქმეთა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებები ხელიგნობასთან ბრძოლაში განპირობებულია იმითაც, რომ ქალაქებისა და რაიონების პროკურორები არ ახორციელებენ ჯეროვან საპროკურორო ზედამხედველობას. ფორმალურად უდგებიან საქმეს, ვერ უზრუნველყოფენ ხელიგნობის თაობაზე კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულებას.

ხშირად სასამართლოებში ამ კატეგორიის საქმეები უხარისხოდ იხილება და კიანურდება, რაც ავტორიტეტს უკარგავს სასამართლოს, მის მიერ დადგენილ განაჩენი კი მიზანს ვერ აღწევს.

1984 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ რესპუბლიკის პროკურატურის საზედამხედველო პროტესტების საფუძველზე გააუქმა განაჩენები ა. მამალაძის და თ. თავართქილაძის (თბილისის ლენინის რაიონის სასამართლო), ო. ბოლქვაძის (მახარაძის რაიონის სასამართლო), შ. მიქაბერიძის (წულუყიძის რაიონის სასამართლო), დ. სტურუას (სამტრედიის რაიონის სასამართლო) ბრალდების საქმეებზე.

ეხდებით სახალხო სასამართლოების მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე ლობიერი განაჩენების გამოტანის ფაქტებსაც. მაგალითად, ამ მოტივით გაუქმდა მ. დოგუზოვის და მ. თიბილოვის ბრალდების საქმე (ქ. რუსთავის სახალხო სასამართლო).

რაიონებისა და ქალაქების პროკურორები ჯეროვნად არ ახორციელებენ საპ.  
 4. „საბჭოთა სამართალი“, № 6.

როკურორო ზედამხედველობას სასამართლოებში ხელიგნობის საქმეთა განხილვის კანონიერებისადმი, ყოველთვის არ მონაწილეობენ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვაში, სასამართლოს წინაშე თავიანთი ინიციატივით არ აყენებენ საკითხებს ამ საქმეების გამსვლელ სესიაზე განხილვის შესახებ; არ შეაქვთ საკასაციო პროტესტები სასამართლოების მიერ დაშვებულ დარღვევებზე, რის გამოც შეცდომები ძირითადად სწორდება საკასაციო საჩივრების საფუძველზე ან ზედამხედველობის წესით და დიდი დაგვიანებით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები ხელიგნობის წინააღმდეგ ბრძოლას ეწევიან უსისტემოდ, ეპიზოდურად, ამას მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იმ რაიონებში, სადაც ხელიგნობის შემთხვევები შემცირდა, იმატა ისეთმა მძიმე დანაშაულობებმა, როგორიც არის განზრახ მკვლელობა, სხეულის მძიმე, ნაკლებადმძიმე დაზიანება და სხვა. თითქმის ყოველ მათგანს წინ უძლოდა ხელიგნობა.

ეფექტიანი არ არის და ნაკლებად შედეგიანია სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობა ხელიგნობის გამომწვევი ისეთი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, როგორიც არის ლოთობა, ნარკომანია, მუქთახეობა, მაწანწალობა. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უწყსრიგობა.

ამ მიზნით მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მიერ შესაბამის უწყებებში შეტანილი წარდგინებები და განჩინებები უზარისზოა, არ არის ქმედითი, ძირითადად აქვს ინფორმაციული ხასიათი. არ არის წესად შემოღებული ხელიგნობის ფაქტებზე მშრომელთა კოლექტივების ინფორმირების პრაქტიკა. ქ. მარნეულის, ზუგდიდის, ცხაპიას და სხვა რაიონების სამართალდაცვითს ორგანოებს არ განუზოგადებიათ ხელიგნობის საქმეთა მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პრაქტიკა, არ განუხილავთ საკითხი ოპერატიულ თათბირზე, საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე, ბევრგან ფორმალურად ეკიდებიან წერილობანი ხელიგნობის წინააღმდეგ ბრძოლას. კერძოდ, ირღვევა მათი შემოწმების ვადები, მასალები არასრულყოფილად და ზერელედ დგება, სამართალდამრღვევი პირებისაგან ყოველთვის არ მოითხოვენ ახსნა-განმარტებებს. სრულყოფილად არ სწავლობენ სამართალდამრღვევ პიროვნებას, შეტყობინებებს არ გზავნიან სამართალდამრღვევთა სამუშაო, სწავლის ან საცხოვრებელ ადგილას, ხოლო თუ გზავნიან, პასუხს მიღებული ზომების შესახებ უმრავლეს შემთხვევაში არ თხოულობენ.

სუსტია ხელიგნობასთან ბრძოლის კოორდინაცია სამართალდაცვითს ორგანოებს შორის, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ურთიერთშეთანხმებული და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას.

რესპუბლიკის სამართალდაცვითმა ორგანოებმა არსებითად უნდა გააუმჯობესონ ბრძოლა ხელიგნობასთან, განუხრელად დაიცვან კანონის ყველა მოთხოვნა, უზრუნველყონ ხელიგნობის გამოვლინებათა შემცირება და აღმოფხვრა.



# **საბჭოთა სისხლის სამართლის მნიშვნელობა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კოდიფიკაციისათვის**

**ლე ვან კან,**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის  
კათედრის ასპირანტი**

ვიეტნამის კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობაზე ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლე ზუანმა აღნიშნა, რომ „სოციალისტური კანონიერების განმტკიცება წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ქმედითობის გადაუდებელ პირობას. კანონის შესაბამისად საზოგადოების მართვის საქმეთა განუზრეველი ამადლების მიზნით ჩვენმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს უმოკლეს ვადაში ახალი კონსტიტუციის კონკრეტიზაციას კოდექსების შექმნის გზით...“<sup>1</sup>

პარტიის მითითებებისა და დადგენილებების შესასრულებლად ვიეტნამის სამართალდაცვითი ორგანოები (უმადლესი სასამართლო, უმადლესი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო) და რესპუბლიკის იურიდიულ მეცნიერებათა ინსტიტუტი ერთობლივად შეუდგნენ პირველი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავებას.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მეშვიდე მოწვევის მორიგ სესიაზე 1983 წლის 30 ივნისს წინასწარი განხილვის წესით ჯერ მიღებულ იქნა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი, ხოლო ერთი წლის შემდეგ 1984 წლის 30 ივნისს ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პირველი სისხლის სამართლის კოდექსი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის მიღებული, ამიტომ იგი სამოქმედოდ არ შემოუღიათ. იგი „ძალაში შევა მას შემდეგ, როდესაც ეროვნული კრება საბოლოოდ დაამტკიცებს მთლიანად სისხლის სამართლის კოდექსს და სახელმწიფო საბჭო გამოაქვეყნებს შესაბამის კანონს“<sup>2</sup>.

ვიეტნამის სისხლის სამართალი ჯერჯერობით წარმოადგენს მისი ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილების ნორმათა არასისტემატიზირებულ კრებადობას. ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა სისხლის სამართლებრივი აქტი. მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ვიეტნამის სამართლებრივ სისტემაში და

<sup>1</sup> «V съезд коммунистической партии Вьетнама», изд-во Политическая литература, М., 1982 г., с. 119.

<sup>2</sup> იხ. „Народ“, 1983 წ. 1 აგვისტო. (ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური გაზეთი).

წარმოადგენენ სახელმწიფოს მძლავრ იარაღს რევოლუციურ მონაპოვართა დასაცავად, სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლებისა და სოციალისტური კანონების განსამტკიცებლად. აგრეთვე ახალი წყობილების ან მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივად საშიში ქმედობების აღსაკვეთად.

თუმცა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი წინასწარ იქნა მიღებული, იგი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის საქმეში. სისხლის სამართლის ამ პირველმა კოდექსმა არა მარტო „შეინარჩუნა მექვიდრეობითობა ვიეტნამის სისხლის სამართლის კანონმდებლობისა 1945 წლის აგვისტოს რევოლუციიდან დღემდე, არამედ განავითარა კიდევ იგი, განაზოგადა და დანაშაულობასთან ბრძოლის გამოცდილება უკანასკნელ ათწლეულში და დანაშაულობასთან პროგნოზირების გათვალისწინებით, როგორც ეს მითითებულია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პირველი სისხლის სამართლის კოდექსის პრეამბულაში, გაითვალისწინა ამ დარგში სსრ კავშირის. აგრეთვე სხვა სოციალიტური ქვეყნების გამოცდილება“<sup>3</sup>.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის ძირითადი დებულებების, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების ინსტიტუტების ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საბჭოთა სისხლის სამართალმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებაზე. საქმე ის არის, რომ ამ სახელმწიფოების სისხლის სამართალი წარმოიშვა და ვითარდება როგორც სოციალისტური ტიპის სამართალი, რომელიც პრინციპულად განსხვავდება რეაქციული, ანტიხალხური ბურჟუაზიული სამართლისაგან. სოციალისტური სახელმწიფოების სისხლის სამართალი გამოხატავს მუშათა კლასისა და მშრომელი მასების ნებას და დგას ახალი საზოგადოებრივი წყობილების სადარაჯოზე. „სოციალისტური სახელმწიფოების ერთიანი პოლიტიკური არსი გულისხმობს ძირითადი, პრინციპული პრობლემების ერთგვაროვან გადაწყვეტას დანაშაულის ცნებისა და დაცულ ობიექტთა წრისადმი მატერიალურ მიდგომას, სასჯელის გამოყენებისას დასჯისა და აღზრდის შერწყმას და ა. შ.“<sup>4</sup>.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი ასახავს ან შემოქმედებითად ითვისებს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების<sup>5</sup> მესამე მუხლში გათვალისწინებულია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი. ეს პრინციპი ასევე ასახულია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლში, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ პირს, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაული. ამის შემდეგ იმავე მე-2 მუხლით

<sup>3</sup> იხ. Проблемы совершенствования уголовного законодательства, М., 1984.

<sup>4</sup> Курс советского уголовного права. Общая часть, т. 1, М., 1980, с. 260.

<sup>5</sup> შემდეგ შემოკლებით „საფუძვლები“.

დაწესებულია, რომ „სასჯელი ინიშნება მხოლოდ სასამართლოს მიერ“.

როგორც ცნობილია, მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა დანაშაულად ცნობს მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელსაც ახასიათებს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საშიშროება, ეწინააღმდეგება სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს, მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს და ამიტომ აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი ასევე შეიცავს დანაშაულის მატერიალურ-სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრებას. კერძოდ, მე-8 მუხლის თანახმად, „დანაშაულად ითვლება ამ კოდექსით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა, ჩადენილი შერაცხადი პირის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით, რომელიც ხელყოფს ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო წესწყობილებას, ეკონომიკურ სისტემასა და სოციალისტურ საკუთრებას, მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებას, თავისუფლებას, პატივს, ღირსებას და სხვა კონსტიტუციურ უფლებებს, აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგის სხვა სფეროებს“. ამ სამართლებრივ დებულებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ქმედობის კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციისათვის, აგრეთვე სისხლის სამართლის სწორი შეფარდებისათვის.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სსკ მე-8 მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს ნორმას იმის შესახებ, რომ დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას. ამასთან ერთად ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სსკ მე-8 მუხლის მეორე ნაწილი დამატებით შეიცავს მითითებას, რომ ასეთი არადანაშაულებრივი ქმედობისათვის გამოიყენება ღონისძიებები, რომლებსაც არა აქვს სისხლისსამართლებრივი სასჯელის ხასიათი.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი ურყევად იცავს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. „საფუძვლების“ მე-8 მუხლის ანალოგიურ დებულებას შეიცავს ამ კოდექსის მე-9 მუხლი, რომელშიც განზრახი ბრალი იდენტურად არის განსაზღვრული. ასევე იდენტურია „საფუძვლების“ მე-9 მუხლისა და ხსენებული კოდექსის მე-10 მუხლში ასახული დებულებები გაუფრთხილებელი ბრალის შესახებ. მე-10 მუხლის პირველი ნაწილით დაუდევრობა ასეა განსაზღვრული: „თუ დანაშაულის ჩამდენი პირი დაუდევრობის გამო არ ითვალისწინებდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ მათი გათვალისწინება“ იმავე მუხლის მეორე ნაწილში თვითიმედოვნება ასეა განსაზღვრული: „დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი პირი ითვალისწინებდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ვარაუდობდა, რომ ასეთი შედეგები არ დადგება ან შეიძლება მათი თავიდან აცილება“.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, „აუცილებელ მოგერიებად ითვლება მოქმედება, რომელიც ჩადენილ იქნა სახელმწიფოს, კოლექტივის ან თავდამცველის ან სხვა

პირის კინინერი უფლებების დაცვისას იმ პირისათვის წინააღმდეგობის გაწევით რომელიც ხელყოფს მოცემულ ინტერესებს. აუცილებელი მოგერიება არ ითვლება დანაშაულად“. ამასთან მე-13 მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ „თუ წინააღმდეგობა შეგნებულად იქნა გადამეტებული, ე. ი. თუ ამასთან დაშვებულ იქნა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება, მაშინ თავდამცველ პირს დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა“. ამ დებულებაშიც ასევე ნათლად ჩანს „საფუძვლების“ მე-13 მუხლის გავლენა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ვიეტნამის სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილი ქმედობის დასჯადობაზე.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი შეიცავს უკიდურესი აუცილებლობის ისეთსავე განსაზღვრებას, როგორც „საფუძვლების“ მე-14 მუხლი. ამასთან ერთად ვიეტნამის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი დამატებით შეიცავს შემდეგ დებულებას: „მაგრამ თუ ზიანი შეგნებულად არის მიყენებული, ე. ი. თუ ამასთან ერთად დაშვებულ იქნა უკიდურესი აუცილებლობის ფარგლების გადამეტება, ზიანის მიმყენებელ პირს დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა“.

არსებითად ვიეტნამის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლს ბევრი საერთო ნიშანი აქვს „საფუძვლების“ მე-15 მუხლთან, რომელიც შეიცავს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის განსაზღვრებებს. განსხვავება ის არის, რომ ვიეტნამის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლით სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ მძიმე დანაშაულის მომზადება.

ცალკე ნორმა (მუხ. 16) ეძღვნება ვიეტნამის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. აქაც მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით მოცემულია „საფუძვლების“ მე-16 მუხლით გათვალისწინებული ნორმის ანალოგიური ნორმა.

ვიეტნამის სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლით სასჯელის მიზნებად მიჩნეულია: მსჯავრდადებულის გამოსწორება, მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება და სხვა პირების აღზრდა.

კოდექსის მეშვიდე თავი სპეციალურად ეძღვნება არასრულწლოვნთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს. 58-ე მუხლის მიხედვით 14-დან 16 წლამდე ასაკის პირს დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა განზრახ ჩადენილი მძიმე დანაშაულისათვის, ხოლო 16-დან 18 წლამდე ასაკის პირს დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ყველა დანაშაულისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლი კანონით.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს სხვა ინსტიტუტებსაც, რომლებშიც შემოქმედებითად არის ათვისებული საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმები, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებები და სასამართლო პრაქტიკით განმტკიცებული პრინციპული დებულებები, მაგრამ ეს მაგალითებიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის ბუნება, მიზნები, ამოცანები და პრინციპები ისეთივეა, როგორც საბჭოთა სისხლის სამართლისა.



# ილიას სტრუქტურა სასამართლო მკვლევებისთვის

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სასამართლო მკვლევების უძველესი ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგია. იგი დიდად კომპლარული ვახდით ძველ საბერძნეთში და დამწავის მხილების, ბრალდებისა და თვის დაცვის, შეწყნარების მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა.

ი. დროის ორატორები გამოყოფდნენ სასამართლო მკვლევების ნიშნად მხარეს. ისინი თვლიდნენ, რომ მკვლევარ-მკვლევებმა არის ღამაში, ზატოვანი, გაწაფული მკვლევებმა, რომლის დანიშნულება მოხდენილად წარმოთქმულ სიტყვასთან ერთად ის იყო, რომ მოსამართლენი დაეწმუნებინათ ან შეემჩნათ მათთვის შეწყველების განწყობილება.

ამის მიხედვით სასამართლო მკვლევების ნიშნად მოიხსენიებდნენ „კარგ სიტყვად“ (არისტოტელე), „საუკეთესო სიტყვად“ (ციცერონი), „შთაბეჭდავ სიტყვად“ (კვინტილიანე) და სხვა.

საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული შეხედულება სასამართლოში წარმოთქმული მკვლევარული სიტყვის შესახებ ზოგადად ვერ გამოხატავს სასამართლო ორატორის მოდერნობის ფუნქციას, სიტყვის სამართლებრივ არსს.

ცნობილია, რომ სასამართლო კამათში მონაწილეობს სახელმწიფო ბრალმდებელი, საზოგადოებრივი ბრალმდებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე, საზოგადოებრივი დამცველი, დამცველი და სამართალში მიცემული.

სასამართლო კამათის მიზანია მტკიცებულებათა გამოკვლევა და საქმეზე კომპარატივის დადგენა, კერძოდ: ჩადენილია თუ არა ქმედობა, რომლის გამოც პირი სამართალშია მიცემული, არის თუ არა ამ ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობა და თუ არის, სისხლის სამართლის რომელი მუხლი ითვალისწინებს მას; მიუძღვის თუ არა სამართალში მიცემულს ბრალი ამ დანაშაულის ჩადენაში; თუ დასაბუთებია, რა სახეელი უნდა შეეფარდოს მას; უნდა დაეკისრებინათ თუ არა სამოქალაქო სარჩელი, ვის დაეკისროს ზარალის ანაზღაურება და სასამართლოს ხარჭები.

სასამართლო კამათი შთავრდება პროცესის მონაწილე პირთა შუამდგომლობით — გამოყენებულ იქნეს ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა. მათ მოთხოვნა-შუამდგომლობას

სამართლებრივი ნორმის შეფარდების შესახებ რეკომენდაციის ფორმა აქვს.

ეს რეკომენდაცია ერთიანი, დასრულებული აზრობრივი სიტყვის სახით გამოითქმება და გამოხატავს ორატორის სუბიექტურ შეხედულებას; ილიას კონკრეტულ საქმეზე, სამართლებრივი ნორმის შერჩევას და გამოყენების შესახებ.

ის, თუ რა წესით და თანამიმდევრობით შეიმუშავებს ორატორი ამ ილიას, წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის. ჩვენ შევხებით სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის სტრუქტურულ ბუნებას, რომლის აგებულების სისრულე სასამართლო მკვლევარული ფუნქციის გამოხატავს და გადამოკცემს სიტყვის სამართლებრივ არსს.

როდის უყალიბდება ორატორის საზრისის სახით თავისი შეხედულება საქმეზე, სამსჯავრო გამოძიების პროცესში თუ მხარეთა კამათის დროს? ამ კითხვზე ერთგვაროვანი პასუხის გაცემა ძნელია, ვინაიდან ყოველი საქმე ინდივიდუალურია, ერთმანეთისაგან განსხვავებული. ამვე დროს ბევრი რამ დამოკიდებულია სასამართლო პროცესის მსვლელობაზე, მტკიცებულებათა სისრულეზე. მაშინ როდესაც წინასწარი გამოძიების მასალები მთლიანად დასტურდება, სამსჯავრო გამოძიებაში სამართლებრივი ნორმის იდეის შემუშავებაც ადვილდება. ხოლო წინააღმდეგობათა არსებობის დროს ამ იდეის ჩამოყალიბება ფერხდება.

ამას გარდა, სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის შემუშავება დიდად არის დამოკიდებული ორატორის შირად დირსებზე, განსჯის სისწრაფეზე, აღქმაზე, ალღოზე, ერთდობიანზე. ეს ვარაუდებანი თუმცა განაპირობებს სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის შემუშავებას, მაინც არ არის გადამწყვეტი ამ იდეის ჩამოყალიბებაში.

საზრისის შეცვლა შესაძლოა მაშინაც, როცა ორატორი რეპლიკის უფლებით კამათში კვლავ წარმოთქვამს სიტყვას.

კამათში მონაწილე პირის, ორატორის მიერ სამართლებრივი ნორმის შერჩევასა და გამოყენების იდეა გამოითქმება სასამართლო კამათის დროს წარმოთქმულ სიტყვაში.

კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის კვლევა, საგნის თვისებებისა და ნიშნების დადგენა და შესაბამისი სამართლებ-

რივი ნორმის გამოყენების იდეის შეხუშვა-  
ბა სასამართლო მკვერმეტყველების ძირი-  
თად შესწავლის შედეგად.

ამ ფუნქციის განსაზღვრებებშიადა ორა-  
ტორი იყენებს მსმენელზე ზემოქმედების  
ტექნიკურ ხერხებსა და საშუალებებს: დასა-  
ბუთებულ მსჯელობას, რიტორიულ, ფიგურ-  
რალურ გამოთქმებს, გადმოცემის ხანობებს,  
პაუზას, უცხებს, მიმოხილვას და სხვა.

განვსაზღვროთ, რას ნიშნავს სამართლებ-  
რივი ნორმის გამოყენების იდეა? თუ რა  
არის სამართლებრივი ნორმა, მისი სტრუქ-  
ტურა, ნორმის შეფარდება, მოქმედება დრო-  
ში, სივრცეში და პირთა წრის მიხედვით ეს  
საკითხები გარკვეულია სამართლის თეორი-  
აში. ჩვენ შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ სა-  
სამართლო ორატორის სამართლებრივი  
ნორმის გამოყენების იდეა და მისი სტრუ-  
ქტურა.

იდეა (ბერძ. idea — სახე) — ტერმინი,  
რომელიც გამოხატავს ცნებას, არსს, დაკავ-  
შირებულია აზროვნების კატეგორიებთან და  
ინმარება სხვადასხვა მნიშვნელობით.

ფილოსოფიური ლიტერატურა იდეას გა-  
მოყოფს აზროვნების ისეთი ფორმებისაგან,  
როგორც არის ცნება და თეორია. მართა-  
ლია, აქაც, ისახება ობიექტი, მაგრამ არ არის  
გამოხატული მთლიანი აზრობრივი კონცეფ-  
ციის რეალიზაციის პრაქტიკული გზა, სა-  
შუალება, ხერხი. ამიტომ იდეა აზროვნების  
ფორმებში არის განსაკუთრებული, უმაღ-  
ლესი, თეორიულად განვითარებული პრინ-  
ციპი, მოცემული მთლიანი აზრობრივი სის-  
ტემის სახით, რომელსაც მიზნის მისაღწევად  
აქვს მოქმედების პროგრამირებული გზა,  
ხერხი, რეალური სახით.

უნდა განვსხვავოთ სწორი, ობიექტური,  
ქმედებებიდან გამომდინარე პროგრესული  
იდეა უსწორო იდეებისაგან, რომლებიც მი-  
ზნად ისახავს არა სასარგებლო საზოგადოებ-  
რივი ურთიერთობის გადაწყვეტას, არამედ  
შენიღებული, საზიანო ზრახვის გავრცელებას.  
მათ რეაქციულ იდეებს უწოდებენ. ასეთი  
იდეა მიუღებელია სამართლიანობისა და სა-  
მართლწარმოებისათვის.

პროგრესული და რეაქციული იდეების გა-  
რდა, არსებობს ისეთი იდეებიც, რომლებსაც  
გარეგნულად აქვს სწორი, სარწმუნო სახე,  
მაგრამ მისი არსის განხილვის დროს ირკვევა,  
რომ ასეთი იდეა ორატორის აკვატებული,  
აჩემებული აზრის ნაყოფია, უსარგებლო და  
გამოუყენებელი. მას იდეა ფიქსს უწოდებენ.

სასამართლო მკვერმეტყველებაში სამართ-  
ლებრივი ნორმის გამოყენების იდეა გუ-

ლისმობს სასამართლო კამათში მტკიცებუ-  
ლებათა თაობაზე ორატორისეული ვერსიის  
განსახატვა-გადმოცემას კონკრეტულ საზოგა-  
დოებრივ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად  
და მის საფუძველზე სამართლებრივი ნორმის  
გამოყენებისა თუ გამოუყენებლობის შუა-  
მდგომლობის აღსაძვრელად.

როგორც ვხედავთ, ორატორის სიტყვის  
სამართლებრივი იდეა წარმოადგენს სასამარ-  
თლო მკვერმეტყველებისათვის ერთადერთ  
შეუცვლელ საფუძველს და მის სამართლებ-  
რივ გამოხატულებას.

სასამართლო მკვერმეტყველებაში სამართ-  
ლებრივი ნორმის გამოყენების იდეა ოთხ  
შემადგენელ ნაწილად იყოფა. ისინი მთლიანად  
ემსახურებიან იდეის ძირითადი აზრობრივი  
მიმართულების განხორციელებას, მაგრამ  
განსხვავდებიან როლითა და მნიშვნელობით.

სასამართლო მკვერმეტყველების იდეის  
ფუნქციური დანიშნულების პირველ რგოლად  
უნდა მივიჩნიოთ სასამართლო განხილვის  
საგანზე იმ აზრობრივ შეხედულებათა მთლი-  
ანობა, რომელიც სიტყვას ბოლომდე გას-  
დევს და წარმოადგენს ორატორის საზრისს  
მთელ მასალაზე. საზრისი ემყარება თეზი-  
სებს, დებულებებს, ცნებებს, ფაქტებს. მტკი-  
ცებულების თითოეული ფორმა ცალკე და  
ყველა ერთად საბუთდება შეხედულების  
ერთიანი კონცეფციით, რომელიც შეიცავს  
აზრის რეალობად გადაქცევის პრაქტიკულ  
გეგმას.

საზრისი ცალკეულ ნაწილებში ქმნის შე-  
ხედულებათა ურთიერთდაკავშირებულობასა  
და ურთიერთგამომდინარეობას. ამ რგოლ-  
ების ურთიერთდაკავშირის დარღვევა გამოიწ-  
ვევს სამართლებრივი ნორმის გამოყენების  
იდეის აზრობრივი სისტემის დარღვევას.  
ამიტომ, ცხადია, საზრისი მსჯელობის საგან-  
ზე წარმოგვიდგება თეორიულად განვითარ-  
ებულ აზრობრივ პრინციპად.

ამრიგად: სამართლებრივი ნორმის გა-  
მოყენების იდეის საზრისი არის მსჯე-  
ლობის საბანზე ორატორის შემადგენლ-  
ბათა კონცეფცია.

სამართლებრივი იდეის საზრისზე მსჯე-  
ლობის დროს მიუყოთით, რომ იგი მკვერ-  
მეტყველების სიტყვის აზრობრივი მხარეა  
და ქმნის შეხედულებათა სისტემას და სა-  
სამართლოს სთავაზობს წინადადებას გამო-  
ყენონ ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა.

მხარის წინადადება — შუამდგომლობა ნო-  
რმის გამოყენების შესახებ თავსდება კანონის  
განმხორციელებლის, სასამართლოს იმ უფ-  
ლებებისა და მოვალეობების ფარგლებში,  
რომლებიც მას მინიჭებული აქვს სისხლის

სამართლის სამოქალაქო და სამართლის სპაროცესო კოდექსებით (მაგალითად, გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, მსჯავრდება, ჯარალის ანაწლურება, სარჩელის დაქმყოფილება, სარჩელის უარყოფა და სხვა), მოწოდება გამოითქმება ორატორის მიერ საქმეში არსებულ მასალის ანალიტიკური განხილვის შემდეგ, რითაც, იგი გამოხატავს დასკვნით თვალსაზრისს, ვერსიას. ორატორის ვერსია სასამართლოსაგან უნდა ითხოვდეს ამ თუ იმ სამართლებრივი ნორმის გამოყენებას. მოთხოვნა კატეგორიული ხასიათის, სხვადასხვა ვარიანტის დაუხახელებლად ზდება და გამოითქმება შუამდგომლობის სახით.

ამრიგად, სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის მიმართ რბოლი — მოწოდება გამოხატავს სასამართლო ორატორის შუამდგომლობას კონკრეტული სამართლებრივი ნორმის გამოყენების შესახებ.

სიტყვის იდეის ნაწილებად დაყოფის მიხედვით უნარი მესამე შემადგენელ რგოლს შეადგენს. როგორც აღრე აღვნიშნეთ, სამართლებრივი ნორმის გამოყენების, შეფარების უფლება აქვს კომპეტენტურ პირს ან ორგანოს. კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი უფლებით აღჭურვილია სასამართლო.

სასამართლო მკვერმეტყველების სიტყვაში სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეა მიმართულია მსმენელისადმი, მათ შორის სასამართლო შემადგენლობისადმი. ორატორის შუამდგომლობა, მოთხოვნა უნდა თავსდებოდეს სამართალმწარმოების ქმედობაუნარიანობაში, ე. ი. მას უნდა შესწევდეს ორატორის სამართლებრივი იდეის განხორციელების უნარი. თუ ასეთი მას არ გააჩნია, მოწოდება მცდარია, ყალბი. ორატორი იდეის გამოხატვის დროს აუცილებლად მიუთითებს რელიზაციის გზას, საშუალებას, რომლის დროსაც უნდა გაითვალისწინოს სასამართლო შემადგენლობის უფლებაუნარიანობა სამართლებრივი ნორმის რელიზაციის საკითხში.

ამიტომ: სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის მესამე რგოლი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას, უნარს.

და ბოლოს, მეოთხე რგოლი: უნდა განვხახვოთ სამართლებრივი ნორმის რელიზაცია სასამართლო მკვერმეტყველების სიტყვის სამართლებრივი ნორმის იდეის გამოყენების

რელიზაციისაგან.

სამართლებრივი ნორმა ზოგადი ხასიათის ქცევის წესია, რომლის გამოყენებითაც ზდება კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგება. სამართლებრივი ნორმის შეფარდებას ახდენენ სასამართლო ორგანოები.

სასამართლო მკვერმეტყველების სიტყვაში ორატორის იდეის რეალიზაცია შეიძლება რგოლს მიეკუთვნება და გამოხატავს სასამართლო კამათში მონაწილე პირთა მოთხოვნას — გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი ნორმის სანქცია.

მსჯელობა სათანადო სამართლებრივი ნორმის სანქციის გამოყენებაზე და შუამდგომლობაში მისი მოთხოვნა განხორციელების შესახებ სასამართლო კამათის აუცილებელი პირობაა და კამათში მონაწილე პირის მოვალეობა.

რეალიზაციის დონისძიების სსწორეს განაპირობებს სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის ხაზრისთან ნორმის სანქციის სრული შესაბამისობა. იდეის ხაზრისი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სანქციის გამოყენების მოთხოვნას.

ამრიგად: სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის მიმართ რბოლი — რელიზაცია გამოხატავს ორატორის საზრისით გამთვალისწინებულ დონისძიებას, რამდენიმე ნორმის სასამართლო კამათში რელიზაციის იდეის სასამართლო კამათში მონაწილე პირისაგან წამოითქმის სასამართლოს მიერ სამართლებრივი ნორმის შეფარდებაში. ამიტომ პროცესზე გამოთქმული სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეა სასამართლო ორატორის პირობებზე შეადგენს, რადგან საჭაროვდება განჩენამდე.

ამრიგად: სასამართლო კამათში მონაწილე პირთა, სასამართლო მკვერმეტყველების განხორციელებას დროს გამოთქმამდე სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის სასამართლო ორატორის პირობებზე შეადგენს, რადგან საჭაროვდება განჩენამდე.

ამრიგად: სასამართლო კამათში მონაწილე პირთა, სასამართლო მკვერმეტყველების განხორციელებას დროს გამოთქმამდე სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის სასამართლო ორატორის პირობებზე შეადგენს, რადგან საჭაროვდება განჩენამდე.

ამრიგად: სასამართლო კამათში მონაწილე პირთა, სასამართლო მკვერმეტყველების განხორციელებას დროს გამოთქმამდე სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეის სასამართლო ორატორის პირობებზე შეადგენს, რადგან საჭაროვდება განჩენამდე.

1 ვ. კაკაბიძე, სასამართლო მკვერმეტყველება, 1980 წ., „საბჭოთა საქართველო“.

# მკვლევარები გაიხსნა თითქმის ოცი წლის შეკმა

1965 წლის ნოემბერში, გვიან ღამით, თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის თანამშრომელი შემადარწუნებელი სურათის მოწმე გახდა ოფიცერთა სახლის დამის დარაჯი თავჯაჭებილი, უგონოდ ეკდო. დაზარალებული საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ მაშინვე გარდაიცვალა.

იმ ღამეს ოფიცერთა სახლში დარაჯთან ერთად სხვა პირებიც იყვნენ, მაგრამ დამნაშავე შინაც შეუმჩნეველი დარჩა.

საქმის გამოძიება დაიწყო ქ. თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურატურამ, რადგან პირველდაწყებითი ვერსიის მიხედვით, მკვლეული ნაშენდრო პირი უნდა ყოფილიყო. გამოძიების მონღომებისა და სწორად წარმართული გამოძიების მიუხედავად, მკვლეელი ვერ იქნა დადგენილი. ცოტა ხნის შემდეგ საქმე განიხილეს სახელმწიფო უსწრის კალენინის პროკურატურას, მაგრამ მკვლელობა კვლავ გაუსწვლი დარჩა. გამოძიებლები ოპერატიულ მუშაკებთან ერთად ახალ-ახალ ვერსიებს სახავენენ, მაგრამ ბოროტებას ფარდა ვერ ახადეს იყვნენ ამ მკვლელობაში ეჭვმიტანილები, მაგრამ ეჭვი უკვად რჩებოდა და დამნაშავის დასასჯელად გამზადდებოდა თეძილას მხვალიც პაერში იყო გამოკადებული.

...ორი წლის შემდეგ კი ასეთივე შემზარავი სურათის მოწმენი გახდნენ ქ. რუსთავის მოსწავლეები.

ბავშვები მტკვრის ნაპირას სანაგვეზე ბავშურ ცნობისმოყვარეობას მოუყვანა. მოულოდნელად ნავის გროვაში ბრეზენტის დიდ ტომარა შეამჩნიეს, საიდანაც აღამიანის ხელის მტკვანი მოჩანდა. შემინებული ბავშვები შინ გაიქცენენ და უფროსებს აუწყეს რა საზარელი სურათი ნახეს.

ბრეზენტის ტომარაში ახალგაზრდა ქალის შიშველი გვაში აღმოჩნდა, მალე დადგინდა მოკლულის ვინაობა. იგი აღმოჩნდა თბილისის მესამე მასივში მცხოვრები 27 წლის მ., რომელიც ვარდაზნის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში მუშაობდა უცხო ენის მასწავლებლად.

საკამოძიებო ორგანოებს მოკლულის პიროვნების დადგენა არ გასჭირვებიათ, მაგრამ ამ საზარელი მკვლელობის საიდუმლოსათვის ფარდის ახდა დიდი ხნით გადაიდო.

წლებმა თავისი ვაიტანეს და ახლობლებიც შეეკვივნენ უბედურ ხვედრს, თუმცა გულში ყო-

ველთვის უღვივოდათ იმედის ნაპერწკალი რომ ქალიშვილის მკვლელს თემილას მასვილი ალბათ ადრე თუ გვიან მაინც მისწვდებოდა.

წლების მანძილზე გამოძიებით რამდენიმე საინტერესო დეტალი დადგინდა, თუმცა ვერც დაფერი ეს საქმის გახსნისა და დამნაშავის დადგენისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

1967 წლის 15 იანვარს დაზარალებული მ. მესამე მასივიდან შეგობართან ერთად ქალაქის ცენტრში გაემგზავრა. იმ დღეს ორივენი მკვლობის დაბადების დღეზე იყვნენ მიწვეული და იუბილარისათვის ექვსი ჭიჭა შეიძინეს. 20 საათისათვის შეგობარმა მ. № 35-ავტობუსით მესამე მასივში შინისაკენ განისტუმრა...

ამის შემდეგ იგი აღარავის უნახავს, ვიდრე მისი გვაში რუსთავში არ იქნა აღმოჩენილი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებით დადგინდა, რომ მკვლელთა შენობაში (ბინაში) უნდა მომხდარიყო და დამნაშავეს დიდი დრო ჰქონდა მსხვერპლის თავიდან მოსაცილებლად. ამის მოწმობდა საგულდაგულოდ ბრეზენტისაკენ შეკერილი ტომარა, მარლა, რომელშიც გვაში იყო გახვეული, გარდაცვლილის პოხა, რომელიც მოძალადეებმა ხელოვნურად მიაღობინეს ბრეზენტის ტომარაში მის მოსათავსებლად.

როდესაც თითქმის ოცი წლის წინათ მომხდარ მკვლელობას დღევანდელი მონაცემებით ვეწნობით აშკარად ვრწმუნდებით ქართული ხალხური გამოთქმის სიბრძნეში კომპარაგვა ერთი ცოდო ჰქნა, დამკარგავმა ათასით.

ამ საქმეშიც ბევრი იყო ეჭვმიტანილი, ზოგი ლოგიკური დასკვნების საფუძველზე გამოტანილი საგარძობი სამხილებით, ზოგიც სრულიად ულოგიკო, გაუსწვლი საქმეზე მუშაობა წყვილადში ხელების ფათურს ჰვავს გამოძიებლისა და ოპერატიული მუშაკების წყვილადში ხელის ფათური ამ საქმეზე, სამოქმედო წესბაროდ, უნაყოფო გამოდგა.

...ქ. თბილისის საქარზნო რაიონის მილიციის უფროსის შოთა ენუქიძის კაბინეტში ოპერატიული თათბირი დაშთავრდა. განყოფილების უფროსის მოადგილე კრავეიშვილი თათბირის შემდეგაც დარჩა და უფროსს რამოდენიმე ფრიად საყურადღებო ცნობა მოახსენა. კრავეიშვილი განყოფილების უფროსის დიმილით მიხვდა, რომ ამ ინფორმაციას უფროსიც კარგად იცნობდა. აზრები შეაჯერეს

და დასაკენს ათეული წლების წინათ ჩადენილ მკვლევლობასთან დაკავშირებული საქმის გახსნას უკვე არსებული მონაცემების პირობებშიც დიდო სიფრთხილე და პროფესიული ოსტატობა სჭირდებოდა, საბედნიეროდ, ეს არც ერთ მათგანს არ აკლდა.

იმავე დღეს ენუქიძე და კრავიშვილი ქალაქ რუსთავის პროკურორს ტელეფონით დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ საინტერესო მონაცემები ჰქონდათ მ-ს მკვლევლობის საქმესთან დაკავშირებით. შეთანხმდნენ, რომ პროკურორი დელტალურად გაეცნობოდა შეჩერებული საქმის მასალებს და მასში არსებულ მტკიცებულებებს შეაჯერებდნენ ახლად მიღებულ მონაცემებს. დათქვეს, რომ მეორე დღით ერთმანეთს შეხვდებოდნენ, მაგრამ პროკურორსაც და მილიციის უფროსსაც ნერვებმა უმტყუნა. იმავე დღეს პროკურორი და ახალგაზრდა გამომძიებელი ნუგზარ თადიაშვილი თბილისში ჩამოვიდნენ და საქარხნი რაიონის მილიციის უფროსის კაბინეტში იმ დროს შევიდნენ, როდესაც მილიციის უფროსი ტელეფონით სწორედ ქ. რუსთავის პროკურატურაში რეკავდა, რათა პროკურორს იმავე დღეს შეხვედროდა.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. პროკურორი სკეპტიკურად იყო განწყობილი. მასაც ეჩქარებოდა დანაშაულის გახსნა, მაგრამ არსებულ მასალებს კრიტიკულად განიხილავდა, მილიციის თანამშრომლებს სხვადასხვა ცნობების ხელშეორედ შემოწმებას სთხოვდა.

თითქოს დაუჯერებელი ჩანდა, რომ ჩვიდმეტი წლის წინათ, ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა ქალმა და მისმა ქმარმა სრულიად ალაღმართალი ახალგაზრდა ქალი სიცოცხლეს გამოასალმეს, რამდენიმე ათეული მანეთის გულისთვის.

ფაქტი ჯიუტია და ობიექტურად განმსჯელი კაცისათვის დაუჯერებელი დასაჯერებელი უნდა გამხდარიყო. კაბინეტში 34 წლის საკმაოდ სიმპათიური გარეგნობის შავგვრემანი ქალი იჯდა. როდესაც ახალგაზრდა გამომძიებელს ნუგზარ თადიაშვილს უთხრეს, რომ სწორედ ეს ქალი იყო მ-ს მკვლევლობაში ეჭვმიტანილი ფერაძე, გამომძიებელმა რატომღაც ირონიულად გაიღიმა და ისეთი სახე მიიღო, რომ ამსჯარად ჩანდა „უკმაყოფილო დარჩა“. გამომძიებელი ამ მდგომარეობიდან პროკურორმა გამოიყვანა.

— ნუგზარ, ვთხოვ დაჰკითხო, სწორედ ეს განსვთ ლიანა ფერაძე.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. ჩანდა, რომ ყველა ერიდებოდა პირველი სიტყვის თქმასა და საუბრის დაწყებას. დამნაშავემ თითქოს

შეება იგრძნო და გამომწვევად განაცხადა:

— მე იმ დროისათვის არასრულწლოვანი განვლდით, მკვლევლობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. შინ მხოლოდ მაშინ დავბრუნდი, როდესაც ჩემს ქმარს უცნობი ქალი უკვე მოკლული ჰყავდა. სიკვდილით დამეშუქრა და იძულებული ვავნდი გვამის ბრუნვის ტომარაში ჩადებასა და ავტომანქანით ქალაქ რუსთავში გადატანაში მიგხმარებოდი. გამომძიებელი ცოტათი აღვივდა. ეტყობა, ემზადებოდა ეჭვმიტანილისათვის შეეტია და ერთი ხელის დაკვრით მოეთავებინა მტკიცებულებანი შემზარავი მკვლევლობის შესახებ. პროკურორმა და მილიციის უფროსმა ერთდროულად თითქოს სხვათა შორის თავისთავის ჩაილაპარაკეს: „პო, ნუგზარი ჩაწერე ფერაძის ჩვენება და შემდეგ კი გულდასმით შეამოწმე. ქალმა იგრძნო, რომ მის ჩვენებას რაღაც დამაჯერებლობა აკლდა, აწრიალდა, წამოწითლდა, თვალის გუგები გაუფართოვდა და შეჰყვირა: „ვიცი, ვიცი, რაც მოვიმოქმედე, მე სრულიად ახალგაზრდა ვიყავი და ნუ დამღუპავთ, შემახვედრეთ ჩემს მეუღლეს, ვთხოვ მას და იგი მარტოდენ თავისთავზე იკისრებს ამ მკვლევლობას. მე მჯერა, განაგრძობდა გააგებებული ქალი, რომ თუ ვთხოვ, იგი ამ მკვლევლობაში არ გამამხელს, ოღონდაც თქვენ შემობრალეთ, დამეხმარეთ, თუ საჭიროა, ჩემი ქმრის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულის შესახებაც შემიძლია ვიამბოთ, ოღონდაც მე დამეხმარეთ!“

ქალის ამ „აღსარებამ“ დამსწრეთა ზიზღი გამოიწვია, მაგრამ ამის აშკარა გამოხატვის უფლება ამჯერად არც ერთს არ ჰქონდა. ქალს საშუალება მისცეს დაწინარებულყოფი — შემდეგ კი სთხოვეს, ყველაფერი დაწვრილებით ეამბინა.

...1963 წლის იანვარში საღამოს ქ. თბილისის ცენტრიდან სახლში, III მასივში ავტობუსით გავემგზავრე, შემთხვევით ჩემს გვერდით ახალგაზრდა სიმპათიურ შვსახედაობის ქალი აღმოჩნდა. ერთმანეთს გავესაუბრეთ. აღმოჩნდა, რომ ისიც III მასივში მიემგზავრებოდა და ორივენი სწორედ ერთსა და იმავე გაჩერებაზე უნდა ჩამოვსულიყავით.

ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ახალგაზრდა ქალი გემოვნებით იყო ჩაცმული, ხელში ქალის ხელჩანთა უჭირა და ჩანთაზე მუყაოს ყუთში ჩადებული რაღაც ნივთები ეწყო.

გზაში უცნობმა ქალმა ჩემი ზუსტი მისამართი მკითხა. როდესაც ვუთხარი, ჩვენი ბინა დასახლების ბარაკებშია-მეთქი, მოულოდნელად მკითხა: გამიგონია, რომ თქვენს

უბანში ვიღაც გადამყიდველი ქალი უნდა ცხოვრობდეს და ხომ არ იცით ამ ქალის მისამართიო. უცხად თავში მოულოდნელმა აზრმა გამოივლია. და ვკითხე, მაინც რის შეძენა გსურთ-მეთქი, როდესაც მითხრა, რომ ქალის ტუფლი უნდოდა, ფცხებზე დავხედე და ვუთხარი, თქვენი ფცხის ზომის ტუფლი მე თვითონ მაქვს შინ და შემოდლია მოგყიდოთ-მეთქი.

ყველაფერი ელვის სისწრაფით განვითარდა. მ. გამომყვა ხანძში ტუფლის საყიდლად. მე კი ამეკვიტა ფქვირი, რომ მე და ჩემს ქმარს შეგვეძლო მოგვეყვა მ, და ნივთებსა და ფულს დავპატრონებოდით.

როდესაც ჩვენს ორთახიან ბინაში შევედი, შევუღლე მეორე ოთახში იყო. შესვლისთანავე მსხვერპლი პირველ ოთახში დავტოვე და გვერდით ოთახში მყოფ მუღლეს ჩემი გეგმა გავაცანი. ოთახში შემობრუნებულს, მ. აფორიაქებული დამხვდა მივხვდი, ცოტა დაყოვნებაც კი საქმეს წახდენდა — უცხად ხელებით ყელში ვეცი. მის ყვირილზე მეორე ოთახიდან ჩემი ქმარი ვოვა გამოვარდა და ჩემს შეძახილზე, სწრაფად თორემ ვინმე გაიგებს-თქო, ვოვამ მას ნაჯახის ყუა ჩაართვა თავში. მ-მ ერთი შეპყვირა და“...

ყველაფერი ეს ლიანა ფერაძემ ერთი ამოსუნთქვით ამოაფრქვია, შემდეგ მოეშვა, სუნთქვა გაუზშირდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ დაამთავრა თავისი ჩვენება.

— გვაში ბრეზენცის ტომარაში ჩავდეთ, ზემოდან თოკი მოვუჭირეთ და იმავე ღამეს ტაქსით ქ. რუსთავეში გადავიტანეთ.

ლიანას ყოფილი ქმრის ვლადიმერ სუხანოვის დაკითხვა უფრო ძნელი აღმოჩნდა. გარეგნულად ვოვა წესიერი მუსიკანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როდესაც მის ბიოგრაფიას ზოგადად გავეცანით, რაიმე განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნეთ. თუმცა ეს გაცნობა პირველი შეხვედრისას მხოლოდ სუხანოვის ჩვენებაზე იყო დამყარებული.

დაიბადა 1936 წელს, მცირეწლოვანი იყო, როდესაც დედასთან და დასთან ერთად დასახლდა თბილისში. შემდგომში ბავშვური თავშეუკავებლობისა და სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის სასჯელს იხდიდა შრომა-გასწორების კოლონიაში.

ვ. სუხანოვი ყველაფერ ამას იხე ჰყვებოდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მისი ცხოვრებისეული ტრაგედია ეს-ეს არის დამთავრდება და მკვლელობასთან მას არავითარი კავშირი არა აქვს.

სრულიად ახალგაზრდა დაქორწინდა, შვილი შეეძინა, სამწუხაროდ, მეუღლეს ვერ შეეწყო და

მიატოვა. 1965 წელს თავისივე თანამშრომლის ცოლისდა გაიცნო. ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ასაღვაცნობილი გოგონა მხოლოდ 15 წლისა იყო, სუხანოვმა იგი ცოლად შეირთო. გულმა გული იცნო და ცოლ-ქმარს ერთნაირაზნულით მოცული წარსული აღმოაჩნდათ. 15 წლის ლიანა ფერაძეს აკვალბობის გრძელი გზა გაეწყო. ხაშურის რაიონის სოფელ ნახანტეში ქურდობაცავს სახელი გავარდნოდა. ოჯახისათვის მორიგი ღაქის მოცხების თავიდან ასაცილებლად, ლიანას მშობლებმა იგი მკლასის დამთავრების შემდეგ თბილისში გამოგზავნეს დასთან. ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. ლიანამ თბილისშიც უწესო ცხოვრებას მიჰყო ხელი. ათასგვარ საეჭვო პირებს ხვდებოდა და უპატიოსნო გოგოს სახელიც დაიმკვიდრა. სამწუხაროდ დიდხანს მის ბედზე არც მის დასა და სიძეს უფიქრიათ. როგორც თავის დროზე ლიანას მშობლებმა, ახალმა პატრონებმაც გამოსავალი იმით გამოიხატეს, რომ ლიანა თავიდან მოიცილეს. ასე გახდა 15 წლის ლიანა იმ დროისათვის უკვე სმის მოყვარული წარსულში ნასამართლევ ვლადიმერ სუხანოვის მეუღლე.

პირველ ხანებში პატარძალს სუხანოვების ოჯახში გაუჭირდა. ლიანამ რუსული არ იცოდა, ხოლო სუხანოვის ოჯახის წევრებს მასთან ქართულად ლაპარაკი არ შეეძლო. ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ როდესაც ერთმანეთს თავის აზრებს ვერ აგებინებდნენ, აიშლებოდნენ და დავას მუშტი-კრივით წყვეტდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ „მუნჯმა“ რძალმა ოჯახის ყველა წევრი დაიმორჩილა. ენის შესწავლა ლიანამ ზედმეტად მიიჩნია, რადგან დაშინებული ოჯახის წევრები ლიანას პრეტენზიებს სულ ერთია უსიტყვოდ ასრულდებნენ.

თაფლობის თვიდან რამდენიმე თვის შემდეგ ნეფემ პატარძალს პატარა სიურპრიზი მოუმზადა.

1965 წლის ოქტომბერში გვიან ღამით ვლადიმერ სუხანოვი კინოთეატრ „გაზაფხულს“ ეწვია. ქურდობაცობაში კარგად გაწაფულ კაც კინოდარბაზში შეღწევა და სალაროდან 60 მანეთის მოპარვა არ გაძნელებია.

დედოფალი დილით გულისფანცქალით ელოდა თავისი რაინდის დაბრუნებას და როდესაც განთიადისას ვოვამ ოთახში შეაბიჯა, ნეფე-დედოფალმა ბოხჩაში გახვეული ნადავლი უმაღლე გადათვალეს. ბედი არ გვწყალობსო, და იღრინა ლიანამ. ასეთი სუფთა საქმე, ასეთი რისკიანი და მხოლოდ 60 მანეთი?! შემდეგ გამომწვევად შეხედა მეუღლეს და უთხრა:



რა თავში ვიხალღე შენი კაპიკები, ამით სახლს ვიყიდით თუ აგარაკს ავიშენებთო. დააღონა რაინდი ცოლის საყვედურებმა. თვითონაც კარგად ხედავდა, რომ ეს ის ზღაპრული ოქროს თევზი არ იყო, რომელიც პატარა დედოფლის დაუოკებელ სურვილებს ხორცს შეასხამდა. ვოვამ მორჩილად დახარა თავი ლიანას წინაშე და მოახსენა: ჩემი პატარა მბრძანებელი! ვიდრე ზღვა ჯერ კიდევ ბო-ბოქრობს და შიგ თევზიც ბლომად ირევა, მე კი ბადე ყოველთვის მზადა მაქვს ოქროს თევზის საძებნელად, ნუ დაღონდები და შენს თვალმებს ცრემლს ნუ გააკარებო.

მესამე ღამეს უშისარი რაინდი, რომელიც იმ დროისათვის თბილისის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში დურგლად მუშაობდა, გზას გაუყვა და წინ, სიბნელეში, ლოცვა-კურთხევად ცოლის ცბიერი მზერა გაიყოლა.

ვლადიმერ სუხანოვი იმ ღამის ფათურაკს ცოლს რამდენიმე დღის შემდეგ გაანდობს.

სადურგლო ხელსაწყოებით დიდხანს უარა გარშემო ქ. თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლს. შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, ქუჩაში მოძრაობა შეწყდა, მხოლოდ თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე — რუსთაველის პროსპექტზე კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა დაგვიანებული მგზავრი. ბედად, ოფიცერთა სახლისაკენ არც ერთს არ შემოუხვევია. ვოვა ხის ქვეშ ატუზულიყო და გამკვლევი კაცის იერით არემარეს უგულოდ ათვალიერებდა. თუმცა მისთვის ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი გახლდათ. ამ ადგილიდან არცთუ შორს ცხოვრობდა. ბევრჯერ დასწრებია ამ კინოთეატრში სხვადასხვა ღონისძიებას, მრავალი სურათიც უნახავს.

დილის სამი საათისათვის შენობის ხახურავზე ასვლა მოახერხა. სახურავიდან შენობაში შეაღწია. გზადაგზა სადურგლო ხელსაწყოებს იშველიებდა და ოფიცერთა სახლის შიგნიდან ჩაკეტილ კარებსაც რიგრიგობით დაუბრკოლებლად აღებდა. ქურდბაცაცა საღაროსთან მიიჭრა, ფანჯარა გამოაღო, შიგნით შეძვრა და... ჰოი, საოცრება! მის სურვილს, რომ აუცილებლად დაეჭირა ოქროს თევზი, ფრთების შეკვეცვა მოუნდომეს. იქვე შორიან-ლოს, ძილბურანში ღამის დარაჯს აშოტ გელციანს რაღაც ხმაური შემოესმა, ვინ არის? — უკითხავს მოხუცს და ეს სიტყვები იყო მის ცხოვრებაში უკანასკნელი სიტყვები. სუხანოვი საქმის ასეთ შემობრუნებას არ ელოდა, ჯერ ხელი აუკანკალდა, გაქცევა დააპირა, მაგრამ როდესაც გაერკვა რომ მის წინაშე მოხუცი კაცი იდგა, როგორც მხალღებს

სხვევით, გამარდა, მყისვე იქვე კედელზე განლაგებულ სახანძრო ნივთებს შეავლო თავი და სახანძრო წერაქვის თავში ჩარტყმით გელციანის სიცოცხლეს გამოასალმა.

ნეფე-დედოფლის ოქროს თევზის ძებნის ოდისეას ფარდა აეხადა. ჩადენილი მკვლევან-ბებიდან თითქმის ორმა ათეულმა წელმა განვლო. ოცი წელი მ.-ს დედას თვალზე ცრემლი არ უშრებოდა.

შფოთავდნენ მკვლევლების ახლობლებიც. მკვლევრობის ჩადენის რამდენიმე ხნის შემდეგ ლიანას და ვლადიმერის მშობლებმა უკვე იცოდნენ მათი არაკაცობის ამბავი, მაგრამ წლობით დუმდნენ.

ლიანას დედამ კარგად იცოდა, რომ ქალის ტუფლი და კაშხი, რომელსაც მისი ქალიშვილი ატარებდა, უდროოდ სიცოცხლეს გამოსალმებულ ახალგაზრდა ქალს ეკუთვნოდა; ვლადიმერის დედას კი დიდხანს შემორჩა სახლში შვილის მიერ მიტანილი ექვსი ჭიქა, რომლებიც მოკვლულ ახალგაზრდა ქალს მეგობართან საჩუქრად მიჰქონდა.

თითქმის ოცი წლის შემდეგ მიეზღოთ მკვლევლებს საცადრისი. შეიძლებოდა ამბავიც აქ დაგვესრულებინა, მაგრამ...

როდესაც დღეს ერთხელ კიდევ ვფურცლავთ ამ ორი მკვლევრობის საქმეს, სინანულის გრძნობა გვეუფლება წინასწარი გამოძიების დროს დაშვებული ხარვეზების გამო. ორივე შემთხვევაში თავის დროზე გამოძიებას არსებულ მტკიცებულებათა შეფასებისას მიუტევებელი შეცდომა აქვს დაშვებული.

მკვლევრობამდე რამდენიმე დღით ადრე ღამის დარაჯს გელციანს სამსახურში ერთ-ერთ თავის თანამშრომელთან უსიამოვნება მოუვიდა, როგორც ყოველთვის, ადამიანურმა სისუსტემ აქაც იჩინა თავი და თანამშრომელი გელციანს დაემუქრა, მოგკლავო. გამოძიებამ სწორედ ამ პიროვნებაზე მიიტანა ეჭვი და დიდი ხნის განმავლობაში გულმოდგინედ ამოწმებდა ამ ვერსიას. მკვლევრობასთან დაკავშირებით ასეთი „ლოგიკური“ მსჯელობის საფუძველზე ეჭვმიტანილთა რიცხვი უფრო მეტი აღმოჩნდა, მათ შორის ერთ-ერთი ანლონათესავიც კი...

ყოველთვის ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს; თუ როდენ დიდი სიფთხილის გამოჩენა გვმართებს ადამიანების მიმართ, რომლებსაც ეჭვმიტანილთა სამოსელში ვხვდეთ. ეს გაკვეთილი უნდა გახდეს ყველა იმისათვის, ვინაც კანონი ადამიანთა ბედის განსჯას ანდობს.

## და ნ ი შ ვ ნ ა

საპარტოვლოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 27 სექტემბრის № 685 დადგენილებით თევდოვამ გიორგის ძე ნინიძემ დაინიშნა საპარტოვლოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ და შეაყვანილია კრესუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრად.

თ. გ. ნინიძე დაიბადა 1950 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ასკანაში, ქართველია. სკკპ წევრია 1971 წლიდან. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლისმცოდნეობის სპეციალობით. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე თ. გ. ნინიძე ჩაირიცხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართ-

ლის ინსტიტუტის ასპირანტურაში საბჭოთა სამოქალაქო სამართლის სპეციალობით. დისერტაციის დაცვის შემდეგ 1975-1976 წლებში მუშაობდა ამავე ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1976-1978 წლებში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1978 წელს დაწინაურებული იქნა პარტიულ სამუშაოზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად. 1984 წლიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით დავით ხასანის ძე თამაზაშვილი დაინიშნა ახარის ასსრ პროკურორად.

დ. ხ. თამაზაშვილი დაბადებულია 1928 წელს, ქართველია. სკკპ წევრია 1954 წლიდან. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

დ. ხ. თამაზაშვილმა შრომითი საქმიანობა დაიწყო პროკურატურის ორგანოში 1950 წელს. იყო ქ. ბათუმის პროკურატურის გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე, ხულოს რაიონის, ქობულეთის რაიონის და ქალაქ ბათუმის პროკურორი. 1971-1984 წლებში მუშაობდა აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ, საიდანაც გადაყვანილ

იქნა აჭარის ასსრ პროკურორად. დ. ხ. თამაზაშვილი აქტიურად მონაწილეობს პარტიული და საზოგადოებრივი ორგანოების საქმიანობაში. არის პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია საიუბილეო მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, არის საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

დ. ხ. თამაზაშვილი კარგი მუშაობისათვის არაერთხელ წაუხალისებიათ აჭარის ასსრ პროკურორსა და საქართველოს სსრ პროკურორს.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1984 წლის 13 ნოემბრის № 916-ა ბრძანებით ა. ვ. გუგუნიძე დაინიშნა ტრანსკორტში კანონიერების შესრულებისადმი წმინდათადად მისივე დახმარების უფროსად.

ალექსანდრე ვიქტორის ძე ბუენავო დაბადებულია 1946 წელს, სკკპ წევრია 1970 წლიდან, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება — 1971 წელს დაამთავრა ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1966 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა ლაბორანტად,

ბულატერ-პრეტენზიონისტად, იურისკონსულტად, სამართლებრივი მუშაობის ინჟინრად, საოლქო პროფსაბჭოს სამართლებრივ ინსპექტორად. 1971-1972 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიას.

პროკურატურის ოგანოებში მუშაობს 1978 წლის ივნისიდან. იყო ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე სასამართლო-



ში სამოქალაქო საქმეების განხილვისადმი ზედამხედველობის დარგში, ქ. ორჯონიძის ლენინის რაიონის პროკურატურის გამოშვებული, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, ტრანსპორტზე კანონიერების შესრულებისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, 1984 წლის 13 ნოემბრიდან ამავე განყოფილების უფროსია.

კავშირის პროკურატურის ბელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში.

აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაში. არის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ პროკურატურის ადგილობრივი და სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი.

1982 წელს წახალისებულია სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მიერ.

ა. ვ. ბეჟანოვი სწავლობდა მოსკოვში, სსრ

\* \* \*

## ა რ რ ე ვ ა

გომადი ბრიგადის ძე გორჩხაძე არჩეულია აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

გ. გ. ბორჩხაძე დაბადებულია 1939 წელს ქ. მახარაძეში, ქართველია, სკკპ წევრია 1965 წლიდან. აქვს უმაღლესი იურიდიული განათება, 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1973 წლის თებერვლამდე.

1973 წლის თებერვლიდან 1984 წლის მარტამდე ჯერ იყო აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილე, შემდეგ კი პროკურორი.

1962 წლის აგვისტოდან 1971 წლის აპრილამდე მუშაობდა მახარაძის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად, პროკურორის თანამშემწედ, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორად.

აშხ. გ. გ. ბორჩხაძე აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1974 წლიდან არის საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრი, 1973-1977 წლებში იყო სახალხო დეპუტატთა ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, 1975 წლიდან არის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

1971 წლის აპრილიდან გადაყვანილ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, სადაც იმუშავა

კეთილხინდისიერი მუშაობისათვის მრავალჯერ არის წახალისებული.

\* \* \*

## ს ა ა მ რ ი უ მ ა რ ი ს მ ი ნ ი ქ ვ ა

სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს მალაქიან ალექსანდრეს ძე მღვიმეაშვილს მიენიჭა საპატიო წოდება — „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“.

## ვ ა ს ა ლ ი ს ე ბ ა

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1984 წლის 22 ოქტომბრის № 862-II ბრძანებით საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობისათვის, ამ საქმეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უნარიანი გამოყენებისათვის საქართველოს სსრ პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი პრპი თამაზაშვილი ძე ნარმანიანი დაჯილდოებულია ფაჩიანი საჩუქრით.

# სისხლის სამართლის პროკლავების ამაგლარი მკვლევარი

იურიდიული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ვლადიმერ მაყაშვილს, შესანიშნავ მოქალაქესა და მეცნიერს, რომლის სისხლის სამართლის რთული პრობლემებისადმი მიძღვნილი შრომები კარგად არის ცნობილი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. იგი კრიმინალისტიკის იმ მცირერიცხოვან წრეს ეკუთვნის, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართული საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებას, დასაბამი მისცეს მის პრესტიჟსა და ავტორიტეტს, სამართალდაცვის ორგანოებში სამუშაოდ ეროვნული კადრების მომზადებას.

ვ. მაყაშვილის მეცნიერ იურისტად ჩამოყალიბება სტუდენტობის ხანაშივე დაიწყო, რასაც დიდად შეუწყო ხელი გამოჩენილი იურისტ-მოაზროვნის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ბრწყინვალე ლექციებმა, რომლებიც მსმენელებს საგნის სიღრმეს აზიარებდა და წარუხმოცელ შთაბეჭდილებად რჩებოდა. ანდრონიკაშვილმა აღუძრა სტუდენტ ვ. მაყაშვილს ცხოველი დაინტერესება სისხლის სამართლის მწვევე სოციალური და ზნეობრივი პრობლემებით და მისი მომავალი იმთავითვე და საბოლოოდ განისაზღვრა. სათაყვანებელი მოძღვრის ხელმძღვანელობით ვ. მაყაშვილი ეწაფება კვლევა-ძიებითს საქმიანობას, ისწრაფვის ჩასწვდეს სისხლის სამართლის მეცნიერების არსს და გამოყენებითს ღირებულებას.

1934 წლიდან იგი მუშაობს თბილისის უნივერსიტეტში, მაღალი ტიპის სემინარში, რომელიც ლ. ანდრონიკაშვილმა წამოიწყო და სადაც თერთნ მისი და ახალგაზრდა ასისტენტების ხელმძღვანელობით კომპლექსურად შეისწავლებოდა სისხლის სამართლის, აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის და კრიმინალისტიკის საკითხები. 30-იანი წლების ბოლოდან ვ. მაყაშვილი მოღვაწეობს საქვეშირთ იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. ამ დროს ეკუთვნის მისი პირველი პუბლიკაცია, რომელიც

სისხლის სამართლის ერთ-ერთ ძირითად და ურთულეს ბრალის პრობლემას მიუძღვნა. ბრალის საკითხების კვლევა ვ. მაყაშვილს განსაკუთრებით იზიდავდა და შემდგომაც მან არაერთი შრომა გამოაქვეყნა ამ პრობლემაზე.

ვ. მაყაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში შეეხო თვით ბრალის ცნებას. ნაშრომში „ბრალი და შართლწინააღმდეგობის შეგნება“ ვ. მაყაშვილი სცილდება ბრალის გაბატონებულ წმინდა ფსიქოლოგიურ გაგებას და იმ აზრს ავითარებს, რომ შეუძლებელია ბრალის ცნების ახსნა შეფასებითი მომენტის — ზნეობრივი გაიცხვის გარეშე. ბრალი მხოლოდ მაშინ არის დასაბუთებული, თუ მოქმედს შეგნებული პქონდა, ანდა შეეძლო შეეგნო, რომ მისი ქმედობა საზოგადოებრივად საშიშია.

ამ სერიის სხვა გამოკვლევებში ვ. მაყაშვილმა კიდევ უფრო სრულყო ბრალის პრინციპის ზნეობრივი დასაბუთება საბჭოთა სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში, ცხადყო ბრალის, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის, მნიშვნელობა. გამოიქნა ბრალის ფორმები და სახეობანი, განიხილა და გააქრიტიკა ბურჟუაზიული სისხლის სამართლის თეორიები ბრალის პრობლემების თაობაზე.

ამ შრომებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მონოგრაფიულ გამოკვლევას „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის გამო“. მასში მოცემულია გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის ფილოსოფიური დასაბუთება, გამოკვლეულია გაუფრთხილებლობის კრიტერიუმების მნიშვნელობა და ხასიათი, მათი კონსტრუქციული თავისებურება. ამ კრიტერიუმების დადგენისას ავტორმა დოქტრინული და საკანონმდებლო მასალის ანალიზის პარალელურად შეისწავლა და ღრმად

განაწილება სასამართლო პრაქტიკა. ამჭერადაც გამოვლინდა მისი გამოკვლევების ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება — რა საკითხიც უნდა იყოს, მისი თეორიული შესწავლა პრაქტიკის საჭიროების გათვალისწინებით წარმოებს.

ვ. მყაუშვილის მონოგრაფიას მაღალი შეფასება მიეცა საბჭოთა და უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში, გამოქვეყნდა გამოჩენილ მეცნიერთა რეცენზიები ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ცნობილი ბულგარელი კრიმინალისტი ლიუტოვი წერდა, რომ ავტორი თავის შეხედულებებს მეტად საფუძვლიანი საბუთებით განამტკიცებს და გამოკვლევა ცხოვრებას მრწვეტილი არ არის, რაც ვ. მყაუშვილის წიგნის დიდ ღირსებას შეადგენს თეორიული სიღრმის მხრივაც და პრაქტიკული სარგებლობის თვალსაზრისითაც.

ვ. მყაუშვილი იკვლევს სსსხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის საკითხებსაც. მან შეისწავლა შექრთამების რთული შემადგენლობა, დანაშაულისა, რომლის სწორ გაგებას თეორიასა და პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ვ. მყაუშვილს ყოველთვის იზიდავდა სსსხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებისა და სრულყოფის პრობლემები. იგი მონაწილეობდა საკავშირო და საქართველოს სსრ სსსხლის სამართლის კანონმდებლობის განახლებაში, რაც განხორციელდა 50-იანი წლების ბოლოს. ამ საკითხებს მან რამდენიმე წერილი მიუძღვნა და არაერთი წინადადება წამოაყენა, რომლებიც გაიზიარეს საკანონმდებლო ორგანოებმა.

ვ. მყაუშვილი იყო საქართველოს სსრ სსხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემდგენელი კომისიის წევრი, მისი თაოსნობით ამ კოდექსის რიგი მუხლები სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებისაგან განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული და ჩვენი სსსხლის სამართლის აღიარებულ თავისებურებას წარმოადგენს;

ვ. მყაუშვილი 1976 წელს გამოცემული საქართველოს სსრ სსსხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარების თანავტორია.

ვ. მყაუშვილი არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად, მისი მონაწილეობა საბჭოს საქმიანობაში, რჩევა-თათბირი იქნება ეს თუ უშუალო თანამშრომლობა, დიდად უწყობს ხელს სადავო საკითხების მართებულ გადაჭრას. მის მკაფიოდ ჩამოყა-

ლიბებულ და მეცნიერულად ღრმად გააზრებულ დასკვნებს უდიდესი დამაჩქარებელი ძალა აქვს. დიდა ვ. მყაუშვილის წვლილი სასამართლო პრაქტიკის განვითარებასა და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოების შესაბამის დადგენილებათა პროექტების შემუშავებაში.

ვ. მყაუშვილის პირად ცხოვრებასა და მეცნიერულ საქმიანობაზე დიდი გავლენა იქონია მისმა თანამოღვაწეობამ გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერთან თინათინ წერეთელთან. ათეული წლების მანძილზე მათ ცხოველი შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდათ. ერთობლივად დაწერილი მათი ნაშრომები იბეჭდებოდა საბჭოთა და უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში. ამ თანამშრომლობის მნიშვნელოვანი მხარე იყო მათი გამუდმებული ნაყოფიერი საქმიანობა ახალგაზრდა სამართალმცოდნეთა აღზარდელად. მათ ირგვლივ ყოველთვის ამაღლებული, გონებრივი და სულიერი ცხოვრების ვითარება სუფევდა, ურთიერთობა ჰქონდათ საბჭოთა და უცხოელ პროგრესულ სწავლულ იურისტებთან. მათი ოჯახი იყო სამართლის პრობლემების, ზნეობრიობისა და მოქალაქეობრიობის საკითხების განმსჯელი კერა, რომელიც იზიდავდა ქართველ იურისტებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, იმათ, ვინც აპირებდა თავისი უნარი და ძალა სამეცნიერო ასპარეზზე გამოეცადა. მათ გარშემო თავი მოიყარა ნიჭიერი დამწყები იურისტების ჯგუფმა, რომლებიც მრავალწლოვანი, თავგამოდებული შრომის შედეგად ახლა კვალიფიციური, ჩვენიც და უცხოეთშიც საქმაოდ ცნობილი მეცნიერები არიან.

1966 წელს, როგორც კი გაიშალა მუშაობა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შესაქმნელად, ვ. მყაუშვილი ჩაება ამ საქმიანობაში და ეს შემთხვევითი არ იყო. ფართო იურიდიულმა განათლებამ, დიდმა შინაგანმა და საერთო კულტურამ, მეცნიერულმა სისუსტემ და კეთილსინდისიერებამ, სხვებისა და საკუთარი თავისადმი მტკიცე მომთხოვნელობამ განაპირობა მისთვის დიუკისრებიანთ საენციკლოპედიო იურიდიული მასალების მომზადება, რედაქციის ხელმძღვანელობა. მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ საერთო მეთოდიკური საკითხების განსჯა-გადაჭრაში, რომლებიც ენციკლოპედიაზე მუშაობის წინა მოსამზადებელ ხანაში ირკვეოდა და წესრიგდებოდა. ფასდაუდებელია მისი წვლილი საენციკლოპედიო სიტყვარის მომზადების მეთოდებისა და პრინციპების შემუშავებაში. თუ სამართალმცოდნეობის სხვა დარგებში სამისო ჯეროვან, საიმედო მასალას საბჭოთა



ენციკლოპედიური გამოცემები, აგრეთვე უცხოური ენციკლოპედიები იძლეოდა, ქართული სამართლის ისტორიის დარგში ყამირი იყო გასატენი. ვ. მაყაშვილის თაოსნობით და ენციკლოპედიის რედაქციის ხელშეწყობით ამ ნაწილსაც შვედარი ნიადაგი შეექმნა. ვ. მაყაშვილის მზრუნველობით იურიდიულ ტერმინოლოგიურ მუშაობაში გაწაფული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჭაფუფმა დაამუშავა მთელი ქართული ისტორიულ სამართლებრივი ლიტერატურა და სამართლის ძირითადი ძეგლები. ამის შედეგად შეიქმნა ქართული სამართლის ტერმინების 2.000-მდე სიტყვანის ფონდი. იგი მომავალში საფუძვლად დაედება დარგობრივ ზოგადსამართლებრივ და, კერძოდ, ქართული ისტორიულ სამართლებრივი ენციკლოპედიური ლექსიკონების გამოცემას. უფრო მეტიც, ეს ფონდი მოკლებული არ არის მნიშვნელობას თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიის შესავსებად და სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვისაც. საენციკლოპედიო სტატიების ავტორების შერჩევით და დახელოვნებული სარედაქციო და მუშავეებით ვ. მაყაშვილმა მნიშვნელოვნად უზრუნველყო ეროვნული ენციკლოპედიის სამართლებრივი ნაწილის ღირსეული დონე. მასვე ეკუთვნის რამდენიმე ათეული სტატია ღიდი მნიშვნელობის რთული იურიდიული ცნებების თაობაზე.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მუშაობასთან ერთად ვ. მაყაშვილი ნაყოფიერ კვლევითს საქმიანობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორში. განსაკუთრებით აღსანიშნავია და ღიდალ დასაფასებელია რედაქტორული შრომა, რომელსაც იგი აქტიურად ეწევა ქართველ იურისტთა მიერ მომზადებული მონოგრაფი-

ების, სტატიების კრებულებისა თუ სხვა გამოცემის დასაზვეწად.

ვ. მაყაშვილი ცხოველ მონაწილეობას იღებს ქვეყნის იურიდიულ ცხოვრებაში, რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო თათბირებსა, კონფერენციებსა და კოლოკვიუმებში. იგი დაუცხრომელი ხალისით ებმარება იმას, ვინც მეცნიერების ძნელ გზას ადგება, არ იშურებს მათთვის დროს, თავის ღიდი ცოდნასა და ენერგიას. მიუხედავად მოუცლელობისა, მუდამ მზად არის მოუსმინოს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკს, განიხილოს მასთან ერთად საჭოკმანო საკითხები, სწორი მიმართულება მისცეს მის ცხოვრებასა და მეცნიერულ საქმიანობას.

ვ. მაყაშვილი უკვე 80 წლისაა და კვლავ აქტიურად იღწვის ჩვენი კანონმდებლობის სრულყოფისა და სამართალდაცვითი ორგანოების დასახმარებლად. ღიდი ხნის შთაგონებულმა შრომამ მას აღიარება, ღიდი სამეცნიერო და ზნეობრივი ავტორიტეტი მოუპოვა თავის მოწაფეებსა და კოლეგებს შორის, მთელ იურიდიულ საზოგადოებრიობაში.

დაე, კიდეც მრავალ წელს იღვაწოს მან ქართული იურიდიული მეცნიერების სასარგებლოდ და საამაყოდ.

ბ. შუშანაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი,


რ. მეტრეველი,

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე,

თ. შავგულიძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ღირეკტორის მოადგილე.

# ხალხის ბედნიერებისათვის დაუსხრომელი მეზრძოლი



გრიგოლ მგალობლიშვილის სახელი კარგად არის ცნობილი საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდობიდანვე მან მოახხარა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობისაგან მშრომელი ხალხის განთავისუფლების, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეს.

სიძნელეებით აღსავსე და ფათურაკიანი იყო რევოლუციონერის საბრძოლო გზა, რომელიც გრ. მგალობლიშვილმა სახელოვნად განვლო; სამშობლოსა და მშრომელი ხალხის უანგარო სამსახურში ვალმოხდილმა დაასრულა თავისი სიცოცხლე.

სიღარიბემ, დუხჭირმა ცხოვრებამ აიძულა იგი, სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდას მშობლიური კერა მიეტოვებინა და სამუშაოს საძებნელად სოფელ ერკეთიდან (ოზურგეთის მაზრა) თბილისში წამოსულიყო, აქ რკინიგზის მოწინავე მუშებს დაუახლოვდა, რომელთა დახმარებითაც შეუდგა პოლიტიკური ლიტერატურის შესწავლას; 900-იანი წლებიდან კი აქტიურად ჩაება მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში.

საქართველოში ამ პერიოდში გამწვავდა ყოველგვარი ჩაგვრა. აღმავალი მუშათა კლასი საზოგადოების იმ მოწინავე ძალებს წარმოადგენდა, რომელმაც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით გაბედულად აღმართა კლასობრივი და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის დროშა. იმ ხანებში თბილისის პროლეტარიატის მიერ კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ გაჩაღებულმა გაფიცვებმა, განსაკუთრებით კი 1901 წლის 1 მაისს ქალაქის მშრომელების პოლიტიკურმა გამოსვლამ, რომელიც თბილისის მუშების პირველ აშკარა საპირველმართო დემონსტრაციას წარმოადგენდა, უდიდესი როლი შეასრულა ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლის გრ. მგალობლიშვილის რევოლუციონერად ჩამოყალიბებაში.

გრიგოლ მგალობლიშვილი რევოლუციის გარიჟრაჟიდანვე გურიაში გაჩაღებული გლეხთა აგარული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. ახალგაზრდა რევოლუციონერის მებრძოლი ბუნება და გამჭრიახი გონება ვერ ურიგდება სოფლად გამეფებულ უსამართლობას, მთავრობის მოხელეთა, მემამულეთა და სამღვდელოების აღვირახსნილ თარეშს. მისი ხელმძღვანელობით გურიის სხვადასხვა სოფლებში იქმნება არალეგალური წრეები. გრ. მგალობლიშვილი ენერგიულ მუშაობას ეწევა მშრომელი გლეხობის გათვითცნობიერებისათვის, აცნობს მათ რსდმპ ბათუმის კომიტეტის პროკლამაციებს, არალეგალურ ლიტერატურას, რაზმავეს გლეხობას მემამულეებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ საბრძოლველად, არსებული ხელისუფლების დასამხობად.

გრ. მგალობლიშვილი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე ჩოხატაურის რაიონის მშრომელების 1904 წლის საპირველმართო დემონსტრაციისა, რომელშიც ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრაციას სოფ. ხიდისთავთან თავს დაესხა პოლიციის გაძლიერებული რაზმი, რომელმაც მხეცურად დაარბია დემონსტრანტები და აპატიმრა 25 მონაწილე.

1904 წელს გრ. მაგალობლიშვილი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. 1905 წელს სხვა ხელმძღვანელ ბოლშევიკებთან ერთად ენერგიულად მონაწილეობს ბოლშევიკების ჩონხატაურის რაიონული კომიტეტის შექმნაში, იგი არჩეულ იქნა კომიტეტის წევრად და ორგანიზაციის დავალებით გურიის სხვადასხვა სოფლებში (ხიდისთავი, ფარცხმა და სხვ.) აყალიბებს პარტიულ უჯრედებს.

გრ. მაგალობლიშვილმა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც მასების უნარიანმა ორგანიზატორმა, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. იგი სხვა რევოლუციონერებთან ერთად სათავეში ედგა და გაბედულად ხელმძღვანელობდა გურიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ვლესთა შეიარაღებულ გამოსვლებს თვითმპყრობელობის ბატონობის დასამხობად. რუსეთის პირველი რევოლუციის დროებითი მარცხის შემდეგ ყოველგვარი პანიკის გარეშე, როგორც ამას მოითხოვდა ლენინური პარტიის საბრძოლო ტაქტიკა; განაგრძობდა მოღვაწეობას არალეგალური ბოლშევიკური ძალების შენარჩუნებისათვის, მომავალი გადაწყვეტი ბრძოლისათვის პარტიული რიგების დასარაზმავად.

1907 წელს გრ. მაგალობლიშვილი ჯარში გაიწვიეს. 1908 წელს არალეგალურ-პარტიულ მუშაობას ეწეოდა ქ. ოჩაკოვის გარნიზონის ნაწილებში, მაგრამ მეფის ხელისუფლების აგენტებისათვის მისი მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა. ამიტომ დაპატიმრების თავიდან ასაცდენად თვითნებურად ტოვებს სამხედრო სამსახურს და არალეგალურად ბრუნდება სამშობლოში.

1908-1909 წლებში, მიუხედავად გაძლიერებული რეპრესიებისა, გრ. მაგალობლიშვილი პარტიულ მუშაობას განაგრძობდა გურიაში, მაგრამ გამუდმებული დევნისა და შევიწროების გამო იძულებული გახდა 1910 წელს არალეგალურად თბილისში გამგზავრებულიყო, სადაც პარტიის დავალებით აქტიურ მუშაობას ეწევა ბოლშევიკების მესამე რაიონულ ორგანიზაციაში, შემდეგ კი გორის მაზრაში იგზავნება სამუშაოდ.

1911-1917 წლებში გრ. მაგალობლიშვილი ისევ გურიაშია, არის გურიის კომიტეტის პრეზიდენტის წევრი და მასებში ფართო პარტიული მუშაობისათვის მოხერხებულად იყენებს მის მიერ სხვადასხვა სოფლებში (ერკეთი, ბჟოლიეთი, ნაბელავი, ხევი და სხვა) დაარსებულ ლეგარულ დაწესებულებებს — კოოპერატივებს, წვრილ საკრედიტო საზოგადოებებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვა.

გრ. მაგალობლიშვილის უსაზღვრო სიხარული გამოიწვია 1917 წლის თებერვალში თვითმპყრობელობის დასმობამ. ახლა იგი მთელ პარტიასთან ერთად გაორკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას იმ სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის, რომელიც პარტიის ბელადმა ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადასაზრდელად. ამ მიზნით ბოლშევიკების მუშაობას ყველგან განსაკუთრებული ძალა შთაბერა გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებიდან ბოლშევიკების გამოყოფამ და დამოუკიდებელ ორგანიზაციებად მათ გაფორმებამ; გრ. მაგალობლიშვილი გურიაში დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და მოთავე იყო. მისი ხელმძღვანელობით სხვადასხვა ადგილებში შეიქმნა დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები, აგრეთვე ბოლშევიკების ჩონხატაურის რაიონული კომიტეტი.

საქართველოს ბოლშევიკების, მშრომელი მასების უდიდესი სიხარული გამოიწვია ცნობამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ. პეტროგრადში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებამ მძლავრი ბიძგი მისცა სოციალისტური რევოლუციის განვითარების საქმეს საქართველოში. გურიის ბოლშევიკებმა კიდევ უფრო გააცხოველეს მუშაობა მასებში. 1917 წლის დეკემბერში გრ. მაგალობლიშვილის ინიციატივით გაიმართა ბოლშევიკების გურიის სამაზრო კონფერენცია, რომელმაც გურიის პარტიული ორგანიზაცია ხუთ რაიონად დაყო და დასახ მასებში მუშაობის გაძლიერების ღონისძიებანი, კონფერენციამ გრ. მაგალობლიშვილი შეიყვანა სამაზრო კომიტეტის შემადგენლობაში. 1918 წლის იანვარში იგი კვლავ აირჩიეს პარტიის გურიის სამაზრო კომიტეტის პრეზიდენტის წევრად.

გრ. მაგალობლიშვილი მედგრად იბრძოდა საქართველოში მენშევიკური ბატონობის დამხობისა და უცხოელი ინტერვენტების განადგურებისათვის. ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მითითებით იგი შედიოდა ბათუმში შექმნილ მებრძოლი წითელი რაზმის ხელმძღვანელი კომიტეტის შემადგენლობაში, იყო 1919 წელს გურიაში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მზადების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, მაგრამ შეიარაღებული გამოსვლების წინა დღეებში 1919 წლის სექტემბერში, იგი ლანჩხუთში დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოა-

თავსეს, საიდანაც შეშდევ ქუთაისის საგუბერ-  
ნიო ციხეში გადაიყვანეს.

1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთისა და  
საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შო-  
რის დადებული ხელშეკრულების ძალით გრ.  
მგალობლიშვილი სხვა დაპატიმრებულ ბოლ-  
შევიკებთან ერთად განათავისუფლეს. პარტიის  
დავალებით იგი დაუყოვნებლივ მიემგზავრე-  
ბა გურიის მენშევიკების რეპრესიების შედე-  
გად დარბული პარტიული ორგანიზაციების  
აღსადგენად. გრ. მგალობლიშვილი, რომელიც  
აირჩიეს გურიის ბოლშევიკური სამაზრო კომი-  
ტეტის თავმჯდომარედ, ენერგიულად განაგრ-  
ძობს ბრძოლას პარტიული ორგანიზაციების  
განმტკიცებისათვის, მასებში ეწევა ბოლშე-  
ვიკური იდეების დაუღალავ პროპაგანდას, მაგ-  
რამ რამდენიმე სხის შემდეგ მას კვლავ აპა-  
ტიმრებენ და ქუთაისის ციხეში აგზავნიან.

გრ. მგალობლიშვილი ციხეშიც შეუპოვრად  
განაგრძობს ბრძოლას მენშევიკების წინააღ-  
მდეგ, მონაწილეობს ტუსალების საპროტესტო  
გაფიცვასა და შიმშილობაში. 1920 წლის დე-  
კემბერში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი  
წარმომადგენლობის ენერგიული ჩარევის შედე-  
გად, მენშევიკური მთავრობა იძულებული გახ-  
და გრ. მგალობლიშვილი, რამდენიმე სხვა  
დაპატიმრებულ ბოლშევიკთან ერთად, ციხიდან  
გაენთავისუფლებინა და ბაქოში გაესახლებინა.  
აჭერბაიჯანში ყოფნის დროს იგი აჭერბაიჯა-  
ნის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კო-  
მიტეტის დავალებით მუშაობდა ზაქათალის  
ოლქში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების  
გამარჯვების შემდეგ გრ. მგალობლიშვილი მუ-  
შაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო პარტი-  
ულ და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, ახა-  
ლი შემართებით შრომობდა პარტიისა და

საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული გრან-  
დიოზული ამოცანების შესასრულებლად, ახალ-  
გაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მე-  
ურნეობის უსწრაფესად აღდგენისათვის, საბ-  
ჭოთა ხელისუფლების ძლიერების განმტკიცე-  
ბისათვის. იყო პარტიის გურიის სამაზრო კო-  
მიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, საქართვე-  
ლოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური  
კომიტეტის ინსტრუქტორი. 1928 წლის ნოემ-  
ბერში აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი  
სასამართლოს წევრად და ოზურგეთის სამაზ-  
რო სასამართლოს თავმჯდომარედ. 1927 წელს  
დაინიშნა ოზურგეთის მაზრის სახალხო მო-  
სამართლედ, ხოლო 1934 წელს ამავე თანამ-  
დებობაზე ჩოხატაურის რაიონში.

გრ. მგალობლიშვილი იყო საქართველოს და  
ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების  
მთელი რიგი ყრილობების დელეგატი. სხვა-  
დასხვა დროს აირჩიეს საქართველოს კომუ-  
ნისტური პარტიის ცენტრალური საკონტრო-  
ლო კომისიის, საქართველოსა და ამიერკავ-  
კასიის საბჭოების ცენტრალური აღმასრულე-  
ბელი კომიტეტების წევრად.

ჩვენი პარტიის სახელოვანი ლენინური გვარ-  
დიის ღირსეული შვილის, გრ. მგალობლიშვი-  
ლის მიერ განვლილი რევოლუციური ბრძო-  
ლებისა და შრომითი ცხოვრების ნათელი გზა  
საუკეთესო მაგალითია მშრომელი ხალხის  
ბედნიერებისათვის თავდადებული მებრძოლი-  
სა. იგი დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

### ს. კვაჭაძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ  
კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის  
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშ-  
რომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდი-  
დატი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

1984 წლის 27 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პ. კარბანძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

„სასამართლოების მიერ იმ კანონების გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის დაცვის უფლებებს“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 16 ივნისის ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა მ. დონჯაშვილმა.

აღინიშნა, რომ საბჭოთა სისხლის სამართალწარმოების ამოცანების განხორციელებაში რომლის ძირითადი მიზანი ის არის, რომ თითოეული დამნაშავე სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და მსჯავრდადებული, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სსრ კავშირის კონსტიტუციის 158-ე მუხლში და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 170-ე მუხლით დამკვიდრებულ ბრალდებულის დაცვის უფლებას, რომელიც სრულად გამოხატავს საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1978 წლის 16 ივნისის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ბრალდებულის (განსახელების) დაცვის უფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს კონსტიტუციურ პრინციპს და უუსტად უნდა შესრულდეს სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე როგორც ჭეშმარიტების დადგენის, კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის გამოტანის მნიშვნელოვანი გარანტია.

უკანასკნელი სამი წლის სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ რესპუბლიკის სასამართლოები ძირითადად ასრულებენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის (განსახელების) კონსტი-

ტუციით გარანტირებულ დაცვის უფლებას, რაც დადებით ზემოქმედებას ახდენს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხზე.

ამასთან ზოგიერთი სასამართლო ყოველთვის ჭეროვან ყურადღებას არ უთმობს ამ სრულიად განსაკუთრებული უფლების უზრუნველყოფას მოკვლევის და წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში თვითონაც უშვებს ბრალდებულის (განსახელების) დაცვის უფლების უზემ დარღვევებს, რასაც შედეგად მოხდევს გამოტანილი განაჩენების გაუქმება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის საკასაციო და საწესდამხედველო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევის გამო განაჩენების გაუქმების ყოველი მე-8 შემთხვევა გამოწვეულია ბრალდებულის (განსახელების) დაცვის უფლების დარღვევით.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ ხასიათის სასამართლო შეცდომების მრავალრიცხოვანი მოდის ისეთი ელემენტარული ხასიათის დარღვევებზე, როგორც არის დამცველის მიერ საქართველოს სსრ სსსკ 46-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა.

ხშირია შემთხვევები (27,1 პროცენტი), როცა სასამართლო სხდომაზე დამცველის და სამართალში მიცემულის პოზიციები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ხოლო სასამართლო არ ახორციელებს დონისძიებებს ამ წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად და სამართალში მიცემული ფაქტობრივად რეალური დაცვის გარეშე რჩება.

ზოგჯერ რამდენიმე ბრალდებულის (განსახელების) დაცვას ახორციელებს ერთი დამცველი, მიუხედავად იმისა, რომ მათი ინტერესები ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

დაცვის უფლების დარღვევების 22,9 პროცენტი დაკავშირებულია საქართველოს სსრ სსსკ 44-ე მუხლის მოთხოვნათა შეუსრულებლობასთან.



მთელ რიგ შემთხვევებში პირებს, რომლებსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თვითონ განახორციელონ თავისი დაცვის უფლება, არ უზრუნველყოფენ დამცველით ბრალდების წაყენების მომენტიდან გვხვდება ცალკეული ფაქტები, როცა პირებს, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, არ უზრუნველყოფენ დამცველით წინასწარი გამოძიების დამთავრების და საქმის მასალების გასაცნობად წარდგენის დროს.

საქმის სასამართლოში განხილვის დროს ირღვევა ის წესი, რომ დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ისეთ საქმეებზე, რომელშიც მონაწილეობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ბრალდებელი, აგრეთვე წინააღმდეგობის არსებობისას განსასჯელთა ინტერესებს შორის, თუ ერთ მათგანს შინც ჰყავს დამცველი.

დაცვის უფლების დარღვევების 14,5 პროცენტი დაკავშირებულია ისეთ შემთხვევებთან, როდესაც ბრალდებულს არ ეძლევა შესაძლებლობა იყოლოს დამცველი, რომელიც მას სურს.

ცალკეულ შემთხვევებში (5,8 პროცენტი) დარღვეულია ბრალდებულის უფლება იცოდეს, თუ რას სდებენ ბრალად.

ზოგჯერ წინასწარი გამოძიების დამთავრებისას ბრალდებულს არ აცნობენ საქმის მასალებს ან წელუდავენ ამ მხრივ მის უფლებას. მასზე მოდის დაცვის უფლებების დარღვევების 6,6 პროცენტი.

დაცვის უფლების დარღვევების 4,2 პროცენტი დაკავშირებულია ბრალდებულის უფლების იმდაგვარ შეზღუდვასთან, რომელიც განპირობებული იყო მის მიერ სამართალწარმოების ენის არცოდნით.

ზშირად ხდება, რომ განსასჯელს საბოლოო ტყუას არ აძლევენ ხოლმე. (დაცვის უფლების დარღვევების 2,1 პროცენტი).

გვხვდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის იმ ნორმის დარღვევები, რომელიც აწესრიგებს დამცველზე უარის თქმას, აგრეთვე სასამართლოში ბრალდების ისეთი შეცვლის შემთხვევები, რითაც უარესდება სამართალში მიცემულის მდგომარეობა.

პრაქტიკაში ზშირად ბრალდებულს არ განუმარტავენ უფლებას აღძრას შუამდგომლობა პროკურორის წინაშე ბრალდების წაყენების მომენტიდან დამცველის დაშვების შესახებ.

ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოები ყოველთვის არ ამოწმებენ, ხომ არ ყოფილა დარღვეული მისი საპროცესო უფლებები მოკვლე-

ვისა და წინასწარი გამოძიების სტადიაზე, არ ახდენენ ჭეროვან რეაგირებას გამოვლენილ დარღვევებზე.

ყოველთვის არ სრულდება კანონის ხავალდებულო მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ განაჩენზე პროტესტის ან საჩივრის შემოსვლის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლო ატკობინებს მსჯავრდადებულს, გამართლებულს და პროცესში მონაწილე სხვა პირებს, რომელთა ინტერესებსაც ეხება საჩივარი ან პროტესტი, ამასთან არ განუმარტავს მათ უფლებას გაეცნონ სასამართლოში შემოსულ პროტესტებსა და საჩივრებს და წარადგინონ თავისი საწინააღმდეგო მოსაზრება.

ამის გამო საკასაციო ინსტანციის სასამართლოები იძულებული ხდებიან განუხილველად დააბრუნონ საქმეები პირველი ინსტანციის სასამართლოში კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, რაც საქმის გაჭიანურებას იწვევს.

ცალკეულ შემთხვევებში უხეშად ირღვევა საქართველოს სსრ სსკ 84-ე მუხლის კატეგორიული მითითება, რომ თუ მსჯავრდადებული პატიმრობაში იმყოფება, განაჩენის გასაჩივრების ვადა იმ დღიდან იანგარიშება, როდესაც მას ჩაბარდა განაჩენის ასლი. სასამართლოები უგზავნიან რა პატიმრობაში მყოფ მსჯავრდადებულს განაჩენის პირს, ამავე დროს სხვა მსჯავრდადებულის საკასაციო საჩივართ საქმეს განსახილველად გზავნიან მეორე ინსტანციის სასამართლოში საკასაციო განაჩივრების ვადის გასვლამდე, რომელიც იანგარიშება განაჩენის პირის ჩაბარების დღიდან, რითაც უხეშად ირღვევა პატიმრობაში მყოფი მსჯავრდადებულის დაცვის უფლება.

საგულისხმოა, რომ ბრალდებულის (განსასჯელის) დაცვის უფლების დარღვევების სამი მეოთხედი, რომელმაც განაჩენის გაუქმება გამოიწვია, სასამართლოებმა დაუშვეს მხოლოდ ექვსი კატეგორიის საქმეებზე, კერძოდ, ზუღიგნობის, მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცების, პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, ნარკომანიის და ავტოსატრანსპორტო დანაშაულის საქმეებზე.

საგანგებო ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ბრალდებულის (განსასჯელის) დაცვის უფლების დარღვევის გამო გაუქმებული განაჩენების ნახევარზე მეტი მოდის სასამართლოების უმცირეს ნაწილზე — ხაშურის, მცხეთის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ამბროლაურის, ცხაკაიას, გარდაბნის ქუთაისის დენინის რაიონების აგრეთვე ქალაქების რუს-



თავის, ფოთის, ზუგდიდის სახალხო სასამართლოებზე.

საკასაციო და საწესდამხედველო სასამართლოები, აუქმებენ რა განაჩენებს ბრალდებულის (განსახტელის) დაცვის უფლების დარღვევის გამო, ყოველთვის ჭეროვან რეაგირებას არ ახდენენ იმ თანამდებობის პირების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს ასეთი.

განხილულ საკითხზე კამათში მონაწილეობდნენ — აფხაზეთის ახსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. არღუნი, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. კობახიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი პროფესორი ბ. შაბლიაშვილი, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. რინიშვილი, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში ნიხილის სამართლის საქმეთა განხილვის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი უ. კობახიძე, ქ. რუსთავის და გარდაბნის რაიონების სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები მ. მინიშაძე და ბ. ხაბაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ბ. სულაშვილი, ე. ხითარიაშვილი და ჯ. რუსიანიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ელიშვილი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — „სასამართლოების მიერ საბინაო დავათა გადაწყვეტისას ახალი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ბ. ლეონიშვილმა.

აღნიშნა, რომ საბჭოთა მოქალაქის ბინის უფლება გარანტირებულია და დაცული სსრ კავშირის კონსტიტუციით. ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფო, საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარებით, კერძო სახლი მოწყობილი ბინების მშენებლობის პროგრამის განხორციელებით. საცხოვრებელი ფართობის სწორად განაწილება და დანიშნულებისამებრ გამოყენება მოსახლეობის საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობაა, რომლის შესრულების საქმეში დიდ როლს ასრულებს საბინაო კანონმდებლობა.

მოქალაქეთა, აგრეთვე იმ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების,

ორგანიზაციების საბინაო უფლებების დაცვის საქმეში, რომლებიც ახორციელებენ მათთვის დაკისრებულ საბინაო ფონდის მართვას, ექსპლოატაციასა და დაცვის ფუნქციებს მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება სასამართლოებს, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ კანონიერების დაცვა საბინაო საქმეთა განხილვის დროს.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1988 წლის 1 სექტემბერიდან, მოქალაქეთა საბინაო უფლებების მნიშვნელოვან გაფართოებასთან ერთად, იცავს სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების უფლებებს.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის გამოყენებისას სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა ბევრი სადაო საკითხი, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვს.

ამ საკითხზე კამათში მონაწილეობდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ჩორბოლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები პროფესორი შ. ჩიკვაშვილი და ბ. სომოხაშვილი, ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ი. აშვინიძე, ქ. გორის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ბ. ბიწვიანი, თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ი. ტყეშელაშვილი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ბ. ციხრაშვილი, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი მ. შურაბაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი ბ. ტალიაშვილი, აჭარის ახსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. ბორჩხაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე ი. ჩიქოვანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ლევანიანი.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების ლ. ისაბაძის და მ. ჯიბლაძის ინფორმა-

ციები საქართველოს სსრ უმაღლესი სასა-  
მართლოს პლენუმის ზოგიერთი დადგენილე-  
ბის გაუქმების და ზოგიერთ დადგენილება-  
ში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო  
სათანადო დადგენილებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ  
საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეო-  
ბის შემსრულებელი მ. იოსელიანი, სა-  
ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კო-  
მიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების გან-  
ყოფილების ინსტრუქტორი რ. შპილმძე.

\* \* \*

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

1984 წლის 28 სექტემბერს გაიმართა სა-  
ქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს  
სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მო-  
რიგი სხდომა, რომელიც გახსნა საქართვე-  
ლოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯ-  
დომარემ ა. კარანაძემ.

ინფორმაციით „სამეცნიერო-საკონსულტა-  
ციო საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შე-  
სახებ“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღ-  
ლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოად-  
გილე, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს  
თავმჯდომარე გ. ყოლბაია.

საბჭოს წევრთა უმრავლესობა, აღნიშნა  
მომხსენებელმა, რესპუბლიკის სხვადასხვა  
სამეცნიერო და სამართალდაცვითი ორგა-  
ნოების მუშაკები არიან. სამწუხაროდ, ყვე-  
ლა ერთნაირი პასუხისმგებლობით არ ასრუ-  
ლებს თავის მოვალეობას.

საბჭოს წევრებს, როგორც წესი, ეგზავნე-  
ბათ სხვადასხვა დოკუმენტი, პლენუმის და-  
დგენილებების პროექტები შენიშვნებისა და  
წინადადებებისათვის. ამ დავალებას საბჭოს  
ბევრი წევრი მთელი გულისყურით არ ეკი-  
დება.

საბჭოს წევრთა ერთი ჯგუფი, უმაღლეს  
სასამართლოს წევრებთან ერთად, (აქტიურ,  
სასარგებლო შრომას ეწევა და მთელი პა-  
სუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მო-  
ვალეობას. მაგალითად, ვ. შაყაშვილი, ა. ხო-  
ჭოლავა, ო. გამყრელიძე, ო. კაციტაძე, გ. რო-  
ინიშვილი, ბ. ზომერაძე, შ. ჩიკვაშვილი,  
ე. ნიძიძე, ა. კობახიძე და სხვ. საჭიროა საბ-  
ჭოს ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობ-  
დეს საბჭოსა და უმაღლესი სასამართლოს  
პლენუმის საქმიანობაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორმა შ. ჩიკვაშვილმა თქვა, რომ  
ყველა წევრი უფრო აქტიურად უნდა მო-  
წოდებდეს საბჭოს საქმიანობაში, ნორ-

მატიული აქტების შემუშავებაში.  
ადვოკატმა ა. ხოჭოლაძემ ილაპარაკა იმის  
თაობაზე, რომ ზოგიერთი სასამართლო თა-  
ვის გადაწყვეტილებებში არ მიუთითებს  
მატერიალური საშარტლის ნორმას, რომ-  
ლითაც იგი ხელმძღვანელობდა დავის გადა-  
წყვეტისას, რის გამოც გაუგებარი ხდება,  
თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობას  
მიაკუთვნა სასამართლომ სადავო ურთიერ-  
ობა. ამ საკითხს უმაღლეს სასამართლოს-  
თან ერთად საბჭომაც უნდა მიაქციოს ყუ-  
რადღება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართ-  
ლოს წევრმა ო. ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ  
სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭომ მეტი  
დახმარება უნდა გაუწიოს უმაღლეს სასა-  
მართლოს პლენუმის მასალების მომზადებასა  
და დახვეწაში. პლენუმის დადგენილებების  
პროექტის შემუშავებისას სწავლულმა იური-  
სტებმა უნდა მოგვეწოდონ საინტერესო შე-  
ნიშვნები და წინადადებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯ-  
დომარის მოადგილე ლ. ჩორგოლაშვილი  
შეეხო საბინაო დავათა გამო წამოჭრილ  
პრობლემებს, საბინაო-სამშენებლო კომპე-  
რატივების საინჟინერო წესდებით გადასაწ-  
ყვეტ საკითხებს. მოსაწესრიგებელია, თქვა  
მან, მთელი რიგი საკითხები, კერძოდ, პაის  
ურჩი გადაწესდებების მიმართ სანქციების  
გამოყენება.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ  
ვ. იოსელიანმა თქვა, რომ საბჭო უპირვე-  
ლესად უმაღლეს სასამართლოს უნდა დაეხ-  
მაროს პრაქტიკის მიერ წამოჭრილი პრობ-  
ლემების გადაწყვეტაში, ხოლო მეცნიერი  
მუშაკებისაგან დახმარების ინიციატორები  
ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორმა ბ. ბარაზიშვილმა საბჭოს წი-

ნაშე დასვა საკითხი, რომ მის პრაქტიკაში შემოღებულ იქნეს თეორიული საკითხების განხილვა, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირის განმტკიცებას, საბჭოზე გატანილ საკითხთა განხილვის, მიღებული დოკუმენტების ხარისხის ამაღლებას.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. გამყრელიძემ საკიროდ მიიჩნია, რომ საბჭოს ინიციატივით პერიოდულად (წელიწადში ერთხელ მაინც) მოეწყოს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ედიშერაშვილი და გ. დედვარიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი შ. ფაფავილი, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი ნ. ერქომაიშვილი და სხვები.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი

სასამართლოს თავმჯდომარეშ ა. კარანაძემ. საბჭოს ძირითადი მიზანია ამაღლოს განყოფადების, სასამართლო პრაქტიკის შესწავლის და სახელმძღვანელო განმარტებების ხარისხი. საბჭოს გეგმა აუცილებლად უნდა გამოიმდინარეობდეს უმაღლესი სასამართლოს საერთო გეგმიდან და შეადგენდეს მის განუყოფელ ნაწილს.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თითოეული სხდომისათვის შედგენილი უნდა იყოს დღის წესრიგი, ყველა წევრს წინასწარ დაურიგდეს განსახილველი მასალები. საბოლოოდ უნდა დადგინდეს საბჭოს სხდომის პერიოდულობა, დღე და საათი, რომელიც ხელსაყრელი იქნება საბჭოს წევრთა უმრავლესობისათვის.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

\* \* \*

# საკომრდინაშიო-მეთოდოკური საბჭოს სხდომა

1984 წლის 8 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკომრდინაშიო-მეთოდოკური საბჭოს სხდომა.

ინფორმაცია — სამართლის პროპაგანდის და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების საქმეში რესპუბლიკის საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების მონაწილეობის შესახებ — გააქეთა საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული განყოფილების უფროსმა ბ. ბახტაძემ. საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციები, თქვა მან შექმნილია რესპუბლიკის საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების პროფკავშირის კომიტეტებთან და პროფკავშირთა რაიონულ, საოლქო და რესპუბლიკურ კომიტეტებთან. საზოგადოებრივ იურიდიულ კონსულტაციებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მართლწესრიგის განმტკიცებაში, აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდაში, სამართლებრივ დახმარებას უწყვენ მუშა-მოსამსახურეებს, პენსიონრებს და მათი ოჯახის წევრებს, ამხანაგურ სასამართლოებს, ნებაყოფლობით

სახალხო რაზმელებს, შრომის დავის კომისიებს.

დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტები, რომლებსაც დავალებული აქვთ საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციებისადმი ხელმძღვანელობა, პერიოდულად ამოწმებენ მათ მუშაობას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გაერთიანებულ სხდომაზე ორჯერ 1988 და 1984 წლებში განხილა საკითხი საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების საკავშირო დათვალიერებაში რესპუბლიკის სასოფლო საწარმოების საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების მონაწილეობის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე ანალოგიური საკითხი იქნა განხილული 1988 წელს.

განვლილი ორი წლის მანძილზე თითქმის ყველა დარგობრივმა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეამოწმა და განიხილა

ღარვის საწარმოებსა და დაწესებულებებში საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების მუშაობა. მთელი რიგი მოწინავე იურიდიული კონსულტაციები და მათი ხელშეწყობის მიზანმიმართულ იქნენ ფულადი და ფასიანი ჯილდოებით (ჩოხბატურის რაიონის სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის კომმუნისტების საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციის გამგე, იურისკონსულტი ნ. ცანტარაძე, ხაშურის სოფელ ალის საბჭოთა მეურნეობის კონსულტაციის გამგე ნ. პინაძე, ცეკავშირის აპარატის იურიდიული კონსულტაციის გამგე, იურისკონსულტი პ. რამაზიშვილი, საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზის“ იურიდიული კონსულტაციის გამგე, იურისკონსულტი მ. ელტიშვილი და სხვ.).

საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების აქტიური მონაწილეობა შრომის დისციპლინის დარღვევათა თავიდან აცილებაში ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საწარმოთა ხელშეწყობის და პროფკომიტეტები, როგორც წესი, ზრუნავენ, რომ კონსულტაციებს ჰქონდეთ მუშაობის ნორმალური პირობები (ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების დირექტორი მ. ბონდარაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ბაბუაშვილი, თბილისის ქარხანა „ეკრანის“ დირექტორი ნ. ბაბუაშვილი, პროფკომიტეტის თავმჯდომარე თ. პარპალიშვილი, კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორი ბ. ჯიბიძე, პროფკომიტეტის თავმჯდომარე მ. მუჯირი, შახაძის რაიონის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების დირექტორი ი. ბაბიშვილი, პროფკომიტეტის თავმჯდომარე თ. შინდორაძე, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი ს. ხაჩიანიშვილი, პროფკომიტეტის თავმჯდომარე ბ. ბანდუქიანი, ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის დირექტორი მ. შატაბაძე, პროფკომიტეტის თავმჯდომარე მ. შინდორაძე).

ამასთან ერთად, თქვა მომხსენებელმა, საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების მუშაობაში ბევრი სერიოზული ნაკლია. ამის მიზეზია ის, რომ ზოგიერთი საწარმოს, ორგანიზაციის, სამინისტროსა და უწყების პროფორგანიზაციების ხელშეწყობა სათანადოდ არ აფასებს საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციის როლს სამართალდარღვევების პროფილაქტიკის, სახალხო სამეურნეო გეგმების შესრულების უზრუნველყოფის საქმეში.

არაერთგვის მითითების მიუხედავად, სა-

ზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციები შექმნილი არ არის სადღივად მუშაობის პირობების, საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, განათლების სისტემაში, რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოების ფართო ქსელში სულ შექმნილია 18 იურიდიული კონსულტაცია, ხე-ტყისა და ზის დამამუშავებელ საწარმოებში 11, კავშირგაბმულობის სისტემაში 20 და ა. შ. საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციები, როგორც წესი, იქმნება მხოლოდ იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც არის შტატიანი იურისკონსულტი ან იურიდიული განყოფილება. ხოლო იმ საწარმო-ორგანიზაციებში, სადაც ასეთი სამსახური არ არის, თავს არიდებენ კონსულტაციების შექმნას.

საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების როლის შეუფასებლობის შედეგია ის, რომ სწორედ ამ სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში იქმნება რთული შრომითი, საბინაო და სხვა კონფლიქტური სიტუაციები, ირღვევა შრომის დისციპლინა, დაბალია გეგმის შესრულების მაჩვენებლები.

საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციები ძირითადად იფარგლებიან კონსულტაციებით და აქტიურად არ მონაწილეობენ სამართალდაცვითი ორგანიზაციების მიერ დასახულ და განხორციელებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებებში. ისინი არ ამოწმებენ საწარმოებში შრომის, საბინაო კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობას, შემოწმებისას არ ახორციელებენ ღონისძიებებს წარმომადგომელი კონფლიქტების აღსაკვეთად.

საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციები საკმარის ყურადღებას არ აქცევენ შრომის დისციპლინის განმტკიცების თაობაზე მიღებული ახალი საკანონმდებლო აქტების პროპაგანდას, შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის დებულებათა განმარტებას, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების ახსნა-განმარტებას.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად დიდი ტირაჟით არის გამოცემული შრომის კანონთა, საბინაო, საქორწინო, საოჯახო კანონთა კოდექსები, იურიდიული კონსულტაციებს არა აქვთ ისინი და არც ზრუნავენ მათი შექმნისათვის.

საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების გამგეები, რომლებიც ძირითადად იურისკონსულტები არიან, არ ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რის გამოც ადგილებზე სწორად არ წყვეტენ სამართლებრივ



საკითხებს, განმარტებები ხშირად ორტოფუ-  
ლია და დამაჩრებელი არ არის, ზოგჯერ კა  
დაუსახუთებელია, რაც იწვევს კონფლიქტების  
გადრმავებას, საჩივრებს ზემდგომ ინსტანცი-  
ებში.

სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოე-  
ბისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობა  
მკაცრად არ მოპოთხავენ იურიდიული სამსა-  
ხურის იმ მუშაკებს, რომლებიც აქტიურად არ  
მონაწილეობენ სამართლებრივ პროპაგანდა-  
სა და დანაშაულის თავიდან აცილებაში.

რაიონული, საქალაქო, საოლქო და დარ-  
გობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური ცო-  
მიტეტების საზოგადოებრივი იურიდიული  
კონსულტაციებისადმი მეთოდოლოგიური ხელმ-  
ძღვანელობა უნდა გაუმჯობესდეს. საჭიროა  
უფრო მეტი ოპერატიულობა და პრინცი-  
პულობა გამოიჩინონ პროფკავშირის კომიტე-  
ტებმა, რომლებიც ეგუებიან საზოგადოებრივი  
იურიდიული კონსულტაციების პასიურობასა  
და უმოქმედობას. საზოგადოებრივ იურიდი-  
ულ კონსულტაციებს არასაკმაო დახმარებას  
უწევენ რაიონებისა და ქალაქების პროფკავ-  
შირული მუშაობის საკოორდინაციო საბჭოები.  
მასალები მათი მუშაობის შესახებ იშვიათად  
ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში და რადიო-  
გადაცემებში.

რესპუბლიკაში სახალხო მსაჯულთა არჩე-  
ვებთან დაკავშირებით რაიონებსა და ქალა-  
ქებში სამართლის პროპაგანდის საკოორდი-  
ნაციო-მეთოდოლოგიური საბჭოების ამოცანების  
შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს  
სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის  
პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებ-  
რივი აღზრდის სამმართველოს უფროსმა  
ბ. მიქანაძემ.

1984 წლის ოქტომბერ-დეკემბერში, აღ-  
ნიშნა მომხსენებელმა, რაიონებისა და ქალა-  
ქების სახალხო სასამართლოების სახალხო  
მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გასვ-  
ლასთან დაკავშირებით გაიმართება სახალხო  
მსაჯულთა მორიგი არჩევნები.

არჩევნების მომზადებამ და ჩატარებამ ყო-  
ველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სასამართლო  
საქმიანობის გაუმჯობესებას, საბჭოთა კავში-  
რის კომუნისტურის პარტიის XXVI ყრილო-  
ბის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომ-  
ღვენო პლენუმების გადაწყვეტილებების შე-  
საბამისად სოციალისტური კანონიერების გან-  
მტკიცებას, სამართალდარღვევათა პროფილაქ-

ტიკას და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის  
ეფექტიანობის ამაღლებას.

ზედღე მომხსენებელმა ილაპარაკა რაიო-  
ნებისა და ქალაქების საკოორდინაციო-მეთო-  
ლოგიური საბჭოების და საზოგადოებრივი ორ-  
განიზაციების ამოცანებზე, კერძოდ, თქვა,  
რომ სახალხო მსაჯულთა რიგები უნდა შეივ-  
სოს ლირსეული, მოწინავე, პოლიტიკურად  
მოწიფებული მუშების, კოლმეურნეებისა და  
ინტელიგენციის წარმომადგენლებით.

ამ ეტაპზე რესპუბლიკაში სამართლებრივ  
ლექციურ პროპაგანდაში ლექტორებმა უნდა  
ნათელყონ, რომ სახალხო მსაჯულთა მონაწი-  
ლეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში  
სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის  
განხილვის დროს წარმოდგენს საბჭოთა დე-  
მოკრატიუზმის გამოვლინების ერთ-ერთ ფორ-  
მას, ლექციებში მშრომელებს უნდა განუშარ-  
ტონ, რომ სსრ კავშირში ყველა სასამართლო  
იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულ-  
თა არჩევითობის პრინციპზე, მოსამართლეები  
და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არი-  
ან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საქარ-  
ველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამარ-  
თლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სამართ-  
ლის სექტორის მიერ წარმოდგენილი რეკო-  
მენდაციების პროექტი მოსახლეობის სამარ-  
თლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი  
პროპაგანდის ზემდგომი სრულყოფის საკით-  
ხებზე. საკოორდინაციო-მეთოდოლოგიურმა საბჭომ  
მოიწონა იგი და დასახა ღონისძიებები რეს-  
პუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მისი  
პრაქტიკული გამოყენებისათვის.

გამართულ კამათში მონაწილეობდნენ უურ-  
ნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქ-  
ტორი მ. პატიძემ, რესპუბლიკის პროკუ-  
რორის მოადგილე ვ. შარბაშენიძე, თბილი-  
სის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიუ-  
ლი ფაკულტეტის დეკანი რ. შინბელიძე, საზო-  
გადოება „ცოდნის“ თავმჯდომარის მოადგილე  
ბ. ბაპუშრაძე.

მუშაობის შედეგები შეაჯამა საკოორდინა-  
ციო-მეთოდოლოგიური საბჭოს თავმჯდომარემ  
ზ. რატიანმა.

ბ. კობრიძემ,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს  
უფროსი კონსულტანტი.

# ბიბლიოგრაფია

## ქურნალ „საბჭოთა სამართალი“ 1984 წელს გამოქვეყნებული მასალების საქმიანობა

### მოწინავე სარედაქციო სტატიები, ოფიციალური ცნობები და მასალები

არჩევნები და ჩვენი ამოცანები, № 6, გვ. 9-10.

ახალი ძალით გავაჩაღოთ ბრძოლა დამნაშავეობასთან, № 1, გვ. 5-10.

მექრთამეობა უშიშრის დანაშაულია. № 8, გვ. 3-7.

მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა, № 4, გვ. 3-7.

ოფიციალური მასალა № 1, გვ. 68. № 8, გვ. 62-63.

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, № 1, გვ. 3-4.

სახალხო მსაჯული. № 5, გვ. 3-5.

სოციალისტური დემოკრატიის ზეიმი, № 2, გვ. 3-6.

### სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ისტორია, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამართავრონის სამართალი.

დანელია ფ. — ქართველი ბოლშევიკების მოღვაწეობა ქ. მოსკოვის მართლმსაჯულების ორგანოებში, № 6 გვ. 61-64.

კალმახელიძე ა. — სრულყოფილი საბჭოების იდეოლოგიურ აღმზრდელობითი მუშაობა, № 3, გვ. 8-11.

კაკაბიძე ვ. — იდეს სტრუქტურა სასამართლო მკვიდრმეტყველებაში, № 6, გვ. 55-57.

ლორია ვ. — რესპუბლიკის პირველი კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, № 6, გვ. 12-22.

მამინაშვილი მ. — საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიზმი, № 6, გვ. 11-14.

ნადარეიშვილი გ. — ერთი ძველქართული

ლი სასამართლო მტკიცებულება, № 1, გვ. 45-51.

ნადარეიშვილი გ. — კლასიკური ნაწარმი პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის შესახებ, № 4, გვ. 54-60.

სურგულაძე პ. — ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია, № 1, გვ. 52-60.

### სამოქალაქო, შრომის, სამეურნეო, საოჯახო სამართალი, კრიმინალი, არაბიტრაჟის პრაქტიკა, კანონის კომენტარი

გიორგობიანი ნ. — მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამართლებრივი საშუალებანი პროდუქციის ჭარბის ამალგებში. № 3, გვ. 35-40.

გოლოშვილი გ. — სამოქალაქო დავების განხილვა შემცირებულ ვადებში. № 1, გვ. 19-24.

გოლოშვილი გ. მისკარიანი ე. — ახალგაზრდობის შრომითი უფლებები და მოვალეობები, № 4 გვ. 38-44.

ზოიძე ბ. — მხარეთა ინტერესების თანაფარდობა ქონებრივ ურთიერთობაში, № 2, გვ. 7-12.

კომახიძე ა. — უსაფუძვლოდ შექმნილი ქონების დაბრუნების ვალდებულების შესახებ, № 5, გვ. 36-45.

ლემონჯავა ტ. — აგროსამრეწველო გაერთიანების იურიდიული სამსახურის საქმიანობის სრულყოფისათვის, № 5, გვ. 51-56.

ლილუაშვილი თ. — სასურსათო პროგრამის განხორციელების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, № 5, გვ. 24-29.

სულხანიშვილი გ. — რეკვიზიცია და მისი გამოყენება, № 1, გვ. 25-29.

ჭველიძე გ. — უცხოელ ავტორთა ნაწარ-



მოებების თარგმანის გამოყენების წესი სსრ კავშირში. № 2, გვ. 27-32.

**ქუტიძე შ.** — შრომითი კოლექტივის როლი საწარმოს მართვაში, № 4, გვ. 50-53.

**ღლონტი ძ.** — სახალენი სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობაში, № 5, გვ. 65-68.

**შაფაძე ი.** — საბჭოთა სამოქალაქო სამართალში სამართალსუბიექტობის საკითხისათვის, № 5, გვ. 6-13.

**ჯორბენაძე ს.** — მოქალაქის რეაბილიტაცია სრული და შეუქცევადი აქტია. № 2 გვ. 13-22; № 3, 17-26.

**სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, კანონის კომენტარი**

**ანდლუაძე თ.** — დანაშაულებრივი ქცევა და პოლიმოტივაცია. № 1, გვ. 5-10.

**გაბიანი ა.** — საქართველოში ქალთა დამნაშავეობის დინამიკისა და სტრუქტურის ზოგერთი საკითხი, № 4, გვ. 45-49.

**ებრაძიძე თ.** — პასუხისმგებლობა დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმისათვის, № 6, გვ. 32-39.

**ლე ვან კამ** — საბჭოთა სისხლის სამართლის მნიშვნელობა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კოდიფიკაციისათვის, № 6, გვ. 51-54.

**ნაჭყებია გ.** — სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა საპაერო ზომადის გატაცებისათვის, № 3, გვ. 27-34.

**ფალიაშვილი ა.** — ბრალდებულის სამართალში მიცემა, № 6, გვ. 23-31.

**ფაფიაშვილი შ.** — თანამდებობრივი დანაშაულის მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები, № 5, გვ. 46-50.

**წიკლაური ე.** — ზოგერთი მოსაზრება სისხლის სამართლის საწესიის სრულყოფისათვის, № 5, გვ. 30-35.

**ხიტირი ლ.** — ნეგატიური მოვლენები და მათთან ბრძოლა, № 4, გვ. 30-37.

**სამართალდაცვითი ორგანოების უზრუნველყოფის კანონები**

**ანჭავაძე ა.** — შინაგან საქმეთა პოლიტიკის განთავსი: პირველი ნაბიჯები, ამოცანები, პრობლემები, № 3, გვ. 12-16.

**გილიაშვილი რ.** — ხელაგნობა და მასთან ბრძოლა, № 6, გვ. 46-51.

**ბარათელი მ.** — პირველად რესპუბლიკაში, № 2, გვ. 45-49.

**გერსამია თ.** — სამშენებლო ობიექტებზე სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ, № 3, გვ. 47-49.

**ერქომაიშვილი ნ.** — პროკურორის საბრალდებო სიტყვა, № 2, გვ. 33-40.

**დევედარიანი ზ.** — ნოტარიატი: მუშაობის ორგანიზაცია, ამოცანები, პრობლემები. № 5, გვ. 57-60.

**კარანაძე ა.** — ზუსტად დავიცვათ კანონები სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს. № 4, გვ. 8-19.

**კომახიძე მ.** — სახალენი კარგების გადაზღადებაში, № 3, გვ. 55-58.

**როკეტლიშვილი მ.** — საფინანსო კონტროლის გაუმჯობესებისათვის, № 3, გვ. 63-66.

**ქურდაძე მ.** — მკვლელობები გაიხსნა თითქმის ოცი წლის შემდეგ, № 6, გვ. 58-61.

**ყოლბაია გ.** — სასამართლოს მიერ დამატებითი გამოძიებისათვის საქმეთა დაბრუნების საფუძვლები და წესი, № 4, გვ. 20-29.

**ჯავარიძე თ.** — ავამდლოთ კერძო განჩინებების ეფექტიანობა, № 3, გვ. 47-49.

უწყრეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო იურისტების დელეგაცია თბილისში, № 4, გვ. 61.

**დანაშაულის პროფილაქტიკა — მთავარი მიმართულება**

**გელოვანი მ.** — ავტომატანის გატაცების პროფილაქტიკის საკითხისათვის, № 6, გვ. 40-45.

**რიგვაჯა ს.** — სამართალდარღვევების აღკვეთა პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებში: განხორციელებული ღონისძიებები, ამოცანები, პრობლემები; № 5, გვ. 14-23.

**ჯაოშვილი ვ.** — საექსპერტო დაწესებულებების როლი დამნაშავეობის პროფილაქტიკაში; № 3, გვ. 50-54.



დისკუსია, კოლემიკა, რეპლიკა

**ბეუაშვილი თ.** — დაწარალებული თუ მოკლული? № 2, გვ. 41-44.

**სიხარულიძე გ.** — სამართლებრივი აქტების ენობრივი სტილი, № 3, გვ. 52-62.

**შალამბერიძე გ.** — კანონის ენის დახვეწისათვის, № 1, გვ. 30-36.

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია, ჟურნალ „საბჭოთა მართალში“ 1983 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი, № 1, 1984 წ. 1984 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი, № 6, გვ. 77-79.

**დოღოვა ა., შურაშვილი მ.** — ნაშრომი დამნაშავეობის კომპლექსური შესწავლის შესახებ, № 2, გვ. 64-66.

**მერკვილაძე ვ.** — გამოკვლევა ისტორიულ-პარტიულ და სამართლებრივ თემაზე. № 3, გვ. 71-74.

**მესენგისერია ზ.** — საინტერესო წიგნი, № 4, გვ. 62.

**კურიხი პ., ვადაპალასი ვ.** — მნიშვნელოვანი შენაძენი საერთაშორისო სამართლის თეორიაში. № 1, გვ. 64-66.

**ლაფია ვ.** — საინტერესო მეცნიერული ნაშრომი. № 1, გვ. 67-68.

ნარკვევები, მსახვრული ნაწარმოებები, წარსულის ფურცლები

**აბშილავა ა.** — ექსპერიმენტის ქალაქში, № 1, გვ. 37-44.

**კაციტაძე ო.** — ჩვენი პროფესიის ადამიანები, № 2, გვ. 52-55.

**კვაჭაძე ს.** — ხალხის ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, № 6, გვ. 67-69.

**კლაუს პოლკენი, ჰორსტ სტეპონი** — ორგანიზებული დამნაშავეობის სამყაროში, № 2, გვ. 56-60; № 3, გვ. 75-80; № 4, გვ. 65-70.

**მორუა ანდრე** — გუსტავ ფლომერის გასამართლება, № 1, გვ. 61-63.

**სიღამონიძე ვ.** — ლადო მესხიშვილი სამსჯავროს წინაშე, № 2, გვ. 62-63.

**ქრისტესიაშვილი ო.** — პირველი ლურჯატი, № 3, გვ. 69-70.

**შუშანაშვილი ა., მეტრეველი რ., შავგულიძე თ.** — სისხლის სამართლის პრობლემების ამგდარი მკვლევარი, № 6, გვ. 64-66.

**ძნელაძე ნ.** — ნოტარიუსი, № 3, გვ. 70. საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე, № 2, გვ. 50-51.

**არბიტრაჟის პრაქტიკა**, № 4, გვ. 63-64. **ნარევი**, № 1, გვ. 74-77; № 5, გვ. 77-80.

**ინფორმაცია**, № 1, გვ. 70-73; № 2, გვ. 74-79; № 4, გვ. 71-80; № 5, გვ. 74-79; № 6, გვ. 70-76.

**ცნობები ავტორთა შესახებ**, № 2, გვ. 80; № 3, ყდის მე-4 გვ.; № 4, ყდის მე-4 გვ.; № 5, გვ. 80; № 6, გვ. 80.

## ცნობები ავტორთა შესახებ

**მიხეილ ნიკოლოზის ძე მამნიშვილი** — ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი, ერთი სამეცნიერო შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება უურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**ვალერი აზვარკის ძე ლორია** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, 50-მდე სამეცნიერო შრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიისა და ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს უურნალში.

**აოლონ იაკობის ძე ფალიაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის პროფესორი, მრავალი მეცნიერულა შრომის, წიგნისა და ბროშურის ავტორი, სისტემატურად იბეჭდება უურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**თამარ რევაზის ასული ებრაღიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, პირველად იბეჭდება ჩვენს უურნალში.

**მირაზ შურადის ძე გელოვანი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილების ასპირანტი, პირველად იბეჭდება უურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**როსანდ ნიკოლოზის ძე ვილიგაშვილი** — საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე, პირველად იბეჭდება უურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**ლე ვან კამ** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის ასპირანტი.

**ვახტანგ ოლიფანტის ძე პაპახიძე** — ქ. თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი, 5 მეცნიერული შრომისა და 1 წიგნის ავტორი, პირველად იბეჭდება უურნალ „საბჭოთა სამართალში“.

**მიხეილ ზაქარაიას ძე შურაღაძე** — ქ. რუსთავის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 80 შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს უურნალში.

**სიმონ მიხეილის ძე კვაჭაძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 80 შრომის და 4 მონოგრაფიის ავტორი, პირველად იბეჭდება უურნალ „საბჭოთა სამართალში“.

გარეკანის პირველ გვერდზე: ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საჯარო-საპატრულო სამსახურის უფროსი ინსპექტორები, მილიციის ლეიტენანტები მუშრმან სარაბაძე (მარცხნივ) და ტარიელ ჯანაძე რესპუბლიკის მოედანზე პატრულირების დროს.

ბ. სეირანიანის სლოადი.

---

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 6, 1984 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

---

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-58-87; 95-88-49.

---

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

---

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კპვ.

ნიმუში 76185

667/37